ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

*ხელნაწერის უფლებით*

ირმა ბერძენიშვილი

# ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს)

07.00.06 - არქეოლოგია

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტ. მეცნ. დოქტორი,
პროფ. ვ. მ. ჯაფარიძე

თბილისი
2006

# შინაარსი

შესავალი.

თავი I. **საკითხის ისტორიოგრაფია და წერილობითი წყაროები.**

1. აფხაზეთის ადრებიზანტიური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია.
2. წერილობითი წყაროები.

თავი II. **აფხაზეთის ზღვისპირა ძეგლები.**

1. ბიჭვინთა და მისი “ქვეყანა”.
2. სებასტოპოლი – ცხუმი.
3. ოჩამჩირე – გიენოსი.
4. ანაკოფია - "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა".
5. გუდავა –ზიღანეოსი.
6. განთიადი.
7. აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები.

თავი III. **მთისწინა და მთიანი აფხაზეთის ძეგლები.**

1. აფსილთა ქვეყანა–წებელდა (წებელდა, შაპკა, მრამბა).
2. ხაშუფსე.
3. დრანდა.

თავი IV. **არქეოლოგიური მონაცემები.**

1. სამაროვნები და სამარხთა ძირითადი ტიპები. ქვის სარკოფაგები.
2. კერამიკა.
3. მინა.
4. მცირე პლასტიკის ძეგლები (ჯვრები, აბზინდები, მშვილდსაკინძები).
5. რელიეფური სკულპტურის ძეგლები.

დასკვნა.

მითითებული ლიტერატურის სია.

შემოკლებათა განმარტება.
ტაბულების აღწერილობა.
რუკა და ტაბულები.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

აფხაზეთის ადრექრისტიანული ძეგლები – აქ, უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიური მონაცემები და განათხარი არქიტექტურის ძეგლები იგულისხმება – ნათლად წარმოადგენენ ამ მხარის კულტურულ სიტუაციას მოცემულ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონის სიძველეებისადმი ინტერესი დიდი ხანია არსებობს და არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით, დღეს მაინც რჩება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა ამ მხარის სრულად შესწავლასთან დაკავშირებით. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (IV-VIII სს.) ძეგლთაგან ზოგიერთი ჯერაც არ გამხდარა არქეოლოგიურ კვლევის ობიექტი. არსებულ ვითარებას განსაკუთრებით ართულებს დღეისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია. თუმცა არქეოლოგიური გათხრები აფხაზეთში დღეს, და განსაკუთრებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. 2002 წლიდან კი აფხაზეთში რუსულ-აფხაზური ექსპედიცია მუშაობს, რუსულ მხარეს წარმოადგენს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ა. სკაკოვი) და აღმოსავლეთის სახელმწიფო მუზეუმი (ვ. ერლიხი), აფხაზურ მხარეს კი აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევის ინსტიტუტი (გ. შამბა). მაგალითად ითხრება კოლხური კულტურის დროინდელი სამაროვანი აბგარხუკში – გუდაუთის რაიონი (ა. სკაკოვი, ა.

ჯობუა, ი. წვინარია, გ. შამბა); ეშერის ნამოსახლარი (გ. შამბა, ვ. ერლიხი, ი. ქსენიფონტოვა); აჭანდარაში ბორცვ ცოუხუაზე IV-VI სს-ის სამაროვანი (ა. სკაკოვი, ა. ჯობუა, ო. ბრილოვა); ითხრება აქამდე უცნობი ადრექრისტიანული ტაძარი ლიძავაში, ბიჭვინთის მახლობლად (რ. ბარციცი); სოხუმის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია (მ. აბრამზონი, დ. ბჟანია და სხვ.), გრძელდება სოხუმის ციხეში 1988 წელს მ. გუნბას მიერ დაწყებული ადრე შუა საუკუნეების ეკლესიის გათხრა და სხვ. ამ არქეოლოგიური გათხრების და მათი შედეგების შესახებ რეზიუმირებული ინფორმაციის მოძიება ძირითადად მხოლოდ რუსულ-აფხაზური ინტერნეტ-საიტებით არის შესაძლებელი.

დღეისათვის აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის 26 არქიტექტურული ძეგლია გამოვლენილი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VIII საუკუნეებში თავსდება. ქვემოთ თითოეულ მათგანს განვიხილავთ აღნიშნულ პუნქტებზე ცალ-ცალკე მსჯელობისას; ცალკე პარაგრაფი ეთმობა აფხაზეთის სამეკლესიან ბაზილიკებს, როგორც საერთო ქართულ არქიტექტურულ თემას, რომელიც აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის არსებულ კონტაქტებზე მიუთითებს და აღნიშნულ პერიოდში ქართლსა და ეგრისს შორის საეკლესიო-კულტურული ერთიანობის მაჩვენებელია; შევეხებით აგრეთვე სამაროვნებსა და სამარხეულ მასალას; ნაქალაქართა და ნასახლართა ტერიტორიაზე გამოვლენილ სამზარეულო, სამეურნეო თუ სამშენებლო კერამიკას, რომლებიც ქრისტიანული

სიმბოლოებითაა შემკული და რელიეფური სკულპტურის ძეგლებს, რომლებიც საეკლესიო არქიტექტურას უკავშირდება.

უძველესი ეკლესიები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, უპირველეს ყოვლისა, ზღვის სანაპიროზე არსებულ გამაგრებულ პუნქტებში ჩნდება. ეს პუნქტები რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენდა ამ რეგიონში. ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მნიშვლენოვანი როლი ითამაშა აქ რომაული გარნიზონების არსებობამ, რომელთა მიზანს, ერთის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა და, მეორეს მხრივ, ჩრდილოეთიდან მოძალებული მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან იმპერიის საზღვრების დაცვა წარმოადგენდა. ამასთან ცნობილია, რომ ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში ჩაყენებული გარნიზონები უმეტესად მცირეაზიელებით იყო დაკომპლექტებული. მცირე აზია კი ის რეგიონია, სადაც თავდაპირველად გავრცელდა ქრისტიანული იდეები და, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მყოფ ჯარისკაცთაგან ბევრი იქნებოდა ამ იდეებს ნაზიარები. სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ იმპულსების მიმცემი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი ქრისტიანული მსოფლხედველობისა და იდეებისა. გარდა ამისა, აფხაზეთი, როგორც ცნობილია, რომის იმპერიისაგან დევნილი პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილს წარმოადგენდა, რაც აგრეთვე ხელისშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქ ახალი მრწამსის გავრცელება-დამკვიდრების საქმეში.

## თავი I. ისტორიოგრაფია და წერილობითი წყაროები

### § 1. აფხაზეთის ადრებიზანტიური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია

ადრე შუა საუკუნეები (IV-VIII სს.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული პერიოდია დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. ამ ხანის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ საჭიროებს გამოკვლევასა და არქეოლოგიურ შესწავლას. ჩრდილო-დასავლეთ ლაზიკის – აფხაზეთის, ადრებიზანტიური ხანის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა XX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, თუმცა აფხაზეთის სიძველეებისადმი ინტერესი დიდი ხანია არსებობს. XVII საუკუნიდან დაწყებული, არაერთი უცხოელი მოგზაური, ვაჭარი თუ მისიონერი დაინტერესებულა ამ მხარით; მაგრამ ეს ინტერესი მიწის ზედა, ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების აღნუსხვა-აღწერითა და ჩანახატებით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, იტალიელი მისიონერების ა. ლამბერტის, ი. ძამპის, ქ. კასტელის ნაშრომებში მოხსენიებულია ამ მხარის ციხეები, ტაძრები და დასახლებული პუნქტები (მაგ. დრანდა, ილორი, ბედია, ანაკოფია, კელასურის კედელი და სხვ.) [ლამბერტი ა., 1938, გვ. 118-121; ძამპი, 1975, გვ. 129-200; კასტელი, 1976, გვ. 30, 82, 171, 180, და ა.შ.]. მსგავსი ცნობებია დაცული ფრანგი კომერსანტის ჟ. შარდენის [შარდენი, 1975, გვ. 147, 157, 185, და ა.შ.] და სხვათა ნაშრომებში.

საინტერესო მონაცემებს შეიცავს XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". იმ ქვეთავში რომელიც ოდიშ-აფხაზეთს ეხება, იგი საუბრობს მოქვის, დრანდის და ბიჭვინთის ეკლესიებზე, ქალაქ ცხომზე, ანაკოფიაზე და სხვ. [ბაგრატიონი ვ., 1997, გვ. 170-172].

1833 წელს აფხაზეთის ძეგლებს გაეცნო ფრანგი მეცნიერი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. კავკასიის ეთნიკურმა სიჭრელემ და შესანიშნავმა ისტორიულმა ძეგლებმა გაიტაცეს დიუბუა როგორც ეთნოგრაფი და არქეოლოგი. მას გულდასმით შეჰქონდა თავის დღიურებში ყოველგვარი შთაბეჭდილებები და იხატავდა ყველაფერს რასაც ხედავდა. ამ მოგზაურობის შედეგად ყირიმსა და კავკასიაში დიუბუას დაუგროვდა დიდძალი მასალა, რომელიც მან 6 ტომად გამოაქვეყნა 1839-1843 წლებში პარიზში. ნაშრომს ერთვის ატლასი [Dubois de Monpéreux F., 1839]. ნაშრომის სრული სახელწოდებაა: "Voyage autour de Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée". პირველ ტომში, რომლის რუსული თარგამანი გამოიცა 1937 წელს სოხუმში სახელწოდებით "Путешествие вокруг Кавказа", მოცემულია ჩერქეზეთის და აფხაზეთის გეოგრაფია, ეთნოგრაფიულ-ისტორიული მასალები. ამავე ტომშია აღწერილი გაგრის ციხე და ეკლესია, ბიჭვინთის ტაძარი, აილაგუ-აბიკუსა და სიმონ კანანელის ეკლესიები, ლიხნი, ანაკოფია, ეშერის ეკლესია, დრანდა, ილორი, სოხუმის ციხე, ეკლესია "ოხვამე" სოხუმში, კელასურის კედელი და სხვ. [Дюбуа де Монперэ Ф., 1937, გვ. 95-118, 130-136, 151-162].

1847 წელს საქართველო და მათ შორის აფხაზეთიც მოინახულა მ. ბროსემ. მისი გამოკვლევის შედეგად გამოიცა მ. ბროსეს 3 ტომიანი ნაშრომი რაპორტების სახით. პირველი ტომის მერვე რაპორტი სამურზაყანოსა და აფხაზეთს ეხება [Brosset M., 1851, გვ. 87-150]. ატლასში კი, რომელიც ერთვის რაპორტებს [Brosset M., 1850] სხვა ძეგლებთან ერთად მოცემულია დრანდის, ბედიის, მოქვის, ლიხნის და ბიჭვინთის არქიტექტურული ძეგლების გეგმები, აღწერილობა, სურათები. ძირითად ყურადღებას იგი ძველებურ წარწერებს უთმობს [Brosset M., 1850, Pl. XXXI, XXXIV, XXXV, XXXVI, XXXVII, XLIV, XLV].

მაგრამ, განსაკუთრებული ღვაწლი აფხაზეთის უძველესი ძეგლებით დაინტერესებისა და მათი არქეოლოგიურად შესწავლის დაწყების საქმეში დ. ბაქრაძეს მიუძღვის. 1886 წელს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დავალებით იგი არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებს სოხუმის ოლქში, რომელიც ასახულია მივლინების ანგარიშში: Отчёт об археологических находках 1886 г. на Кавказе преимущественно в Сухумском округе[1]. ამ მივლინების შედეგად გამოვლინდა და აღიწერა წებელდის რაიონის სოფ. პოლტავსკოეში ძველი ეკლესია სხვადასხვა საღვთისმეტყველო ნივთებით: წიგნები, ხატები და სხვ. პოლტოვსკოეს შემდეგ მას სოფ. ოლგინსკოეში აღუწერია მომცრო ზომის ეკლესია, შიგ ეკლესიაში მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია, სადაც აღმოჩნდა ორი კვადრატული ფილაქვა, შესანიშნავი ორნამენტით, ერთ-ერთ მათგანზე კარგად შემონახული ასომთავრული

[1] გავეცანი გ. ლომთათიძის პირად არქივში.

წარწერით: “წმ. თევდორე, შეიწყალე მიქაელი.” დ. ბაქრაძემ იგი X1 ს-ით განსაზღვრა. აქვე აღმოჩნდა სვეტისა და კაპიტელის ნატეხები; ქვის ფილებისგან შემდგარი სამარხი, ადამიანის ძვლებით და ცხენის 2 კბილით. ოლგინსკოედან დ. ბაქრაძე მიემართება ვორონოვების მამულში, სადაც არსებული ცნობით, ეკლესიის ნანგრევებში ქ-ნ უვაროვას მიერ აღმოჩნდა სამი რელიეფურგამოსახულებიანი ქვა ევანგელური და საეკლესიო სიუჟეტებით, რომელიც დ. ბაქრაძემ კანკელის ფილებად მიიჩნია. აქვე აღმოჩნდა სხვადასხვა ორნამენტირებული ქვის ნატეხები, მათ შორის სვეტის ორი მრგვალი კაპიტელი. ერთ-ერთ მათგანზე რქებით ერთმანეთთან შერკინებული ორი ვერძია გამოსახული, მეორეზე კი პირდაღებული დრაკონი, ნახევრადგადაყლაპული ადამიანის ფიგურით. აქვე იყო ნაპოვნი სპილენძის ისეთივე ჯვარი, როგორიც პოლტავსკოეს ეკლესიაში აღმოჩნდა; დ. ბაქრაძემ კიდევ ერთი ეკლესია აღწერა ვორონოვების მამულიდან 6 ვერსის დაშორებით. აქვე მან იპოვა სხვადასხვა ორნამენტირებული ქვა, ერთ-ერთ მათგანზე ქართული ასომთავრული წარწერით.

დ. ბაქრადძე ამ ანგარიშში მოიხსენიებს სოხუმში, პოლკოვნიკ ვედენსკოეს სახლში ნანახ ქვის ორ სკულპტურულ ნატეხს დრანდის მონასტრიდან, სადაც იმ დროს სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა. მოგვიანებით ისინი პ.ს.უვაროვამ გამოაქვეყნა, დღესდღეობით კი ეს რელიეფური სკულპტურის ძეგლები დაკარგულია. ვორონოვის, ოლგინსკოეს და დრანდის ეკლესიებს დ. ბაქრაძე საკმაოდ ძველი ეპოქის ძეგლებად

მიიჩნევდა. შემდგომმა არქეოლოგიურმა გამოკვლევამ დაადასტურა მისი ეს მოსაზრება.

დ. ბაქრაძის მიერ შემუშავებულ იქნა სოხუმის ოლქის (რომელშიაც იმ დროს შედიოდა აფხაზეთი, წებელდა და სამურზაყანო, შავი ზღვის სანაპირო კავკასიის მთავარ ქედს, გაგრასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორია) სიძველეების გამოკვლევის პროგრამა, რომლის პროექტიც წარმოდგენილ იქნა 1887 წელს. ეს პროგრამა გულისხმობდა სოხუმის ოლქის ყოველმხრივ არქეოლოგიურ შესწავლას: 1. გათხრების ჩატარება ძველ ქალაქ პიტიუსში, აფხაზი კათოლიკოსების კათედრის სიახლოვეს; ქ. სოხუმში ზღვის სანაპიროზე, ბულვარის პირდაპირ ძველი ფუნდამენტის გათხრა, და სხვ.; 2. ძველი ბერძნულ-რომაული ტექსტების შესწავლა და მათი მიმართება კავკასიის მთავარ ქედთან და მის უღელტეხილებთან, და იმ ციხე-კოშკებთან, რომლებიც გზის გაყოლებაზეა განლაგებული; 3. აფხაზეთსა და წებელდაში ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლა და გარკვევა; 4. უცნობი ქრისტიანული ძეგლების გამოვლენა; ამ ძეგლებთან დაკავშირებული გუჯრებისა და აქტების მოძიება-შესწავლა და სხვ. დ. ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ამ პროექტში იმაზეც კი იყო საუბარი, რომ შემოდგომა, გაზაფხული და ზამთარიც, თუკი ნაკლებ წვიმიანია, ხელსაყრელი დროა აქ არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად.

1875 წელს გამოვიდა დ. ბაქრაძის ნაშრომი: ”Кавказ в древних памятниках христианства”. ნაშრომში მოცემულია ძირითადად საქართველოს ქრისტიანული ძეგლების აღწერილობა (სულ 320-მდე

ძეგლი) და კვლევის შედეგები, რომელთა შორისაა დრანდა, ბიჭვინთა, სოუკ-სუ (ლიხნი), მოქვი, ბედია, გაგრა და ანაკოფია [Бакрадзе Д., 1875. გვ. 65-66, 121-122, 136, 102, 103, 39, 48, 25]. ამ მონოგრაფიისთვის 1877 წელს დ. ბაქრაძე საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს [გამყრელიძე გ., 1996. გვ. 12].

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზეთის ქრისტიანული ძეგლების შესწავლის საქმეში პრასკოვია უვაროვამ. მან კავკასიის შესწავლა 1879 წლიდან დაიწყო. მისი მეუღლე, არქეოლოგი ა.ს.უვაროვი, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 1886 წელს ქ-მა უვაროვამ ორი ეკლესია გათხარა წებელდაში (პოლტავსკოეს და ოლგინსკოეს). აქვე ვორონოვების ეკლესიის ნანგრევებს შორის აღმოჩნდა წებელდის ცნობილი ქვის ფილები, რომელიც კანკელის ნაშთებად მიიჩნია. მანვე მიაკვლია დრანდაში ტაძრის ძველ ხუროთმოძღვრულ დეტალებს, რომლებიც დღეს დაკარგულია და მხოლოდ პ. უვაროვას პუბლიკაციითაა ცნობილი. მისი ნაშრომი “Христианские памятники” აღწერილობით ხასიათს ატარებს, სადაც ანაკოფიის სიმონ კანანელის, ბზიფის, ალაჰაძის, ლიხნის და სხვა ტაძართა აღწერილობაა მოცემული [Уварова П., 1894, გვ. 9-11, 22-23, 30].

თბილისში 1881 წელს გამართული V არქეოლოგიური ყრილობით ახალი ეტაპი იწყება კავკასიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში. ამიერკავკასიაში აქტიურად მოღვაწეობდა თბილისში დაარსებული არქეოლოგიის მოყვარულთა კავკასიის საზოგადოება, რომელიც მჭიდროდ იყო

დაკავშირებული მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებასთან; ამავე საზოგადოების დავალებით იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს არქეოლოგიური შესწავლა, რომლის განხორციელებაც 1887 წელს დაევალა ვ. სიზოვს. მან გათხრები ჩაატარა სოხუმში, შუა საუკუნეების ცხუმის ტერიტორიაზე, მდ. ბესლეთის შესართავთან, "ძველ სოხუმში", და სხვ. [Сизов В., 1884].

1888 წელს, იგივე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით ა.მ.პავლინოვმა აზომა და აღწერა დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია და სხვა ტაძრები [Павлинов А., 1893, გვ. 1-3, 8-13].

1885 წელს არქიმანდრიტი ლეონიდე (კაველინი) აქვეყნებს თავის ნაშრომს "Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь", რომლის პირველ ნაწილში მოცემულია აფხაზეთის ქრისტიანული ძეგლების (გაგრა, ბიჭვინთა, ამბარა, ლიხნი, ანაკოფია, კამანი, დრანდა, ილორი, მოქვი, ბედია) აღწერილობა და ფოტო მასალა (გვ. 28-70). გარკვეული ცვლილებებით ეს წიგნი ხელახლა გამოიცა 1898 წელს. აღნიშნულ ნაშრომში პირველად გამოქვეყნდა ივერიის მთაზე, ანაკოფიის ციხის ნანგრევებში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები (გვ. 47-56). ამ წარწერების გაშიფვრას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ვ. ლატიშევმა [Латышев В., 1911, გვ. 22-23].

1903 წელს აფხაზეთი მოინახულა ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა და სპელეოლოგმა ე. მარტელმა. მან დაგვიტოვა გაგრის ტაძრის ("ბიზანტიური ეკლესია"), ცანდრიფშის, ლიხნის, ბიჭვინთის, ახალი ათონის ("ტრაიანეს ციხე") და სხვ. აღწერილობა ფოტომასალებით და ნახაზებით [Martel E., 1904].

1907 წელს ა. მილერი დაზვერვებს და მცირე გათხრებს აწარმოებდა სოხუმის ციხის მიდამოებში და წებელდის ციხეში, რომელიც მან პირველმა აზომა. ა. მილერმა სოხუმის ციხის მიდამოებში მიაკვლია მცირე ძველი ეკლესიის ფუნდამენტს, რომლის საკურთხეველშიც აღმოჩნდა ქვა ჯვრის გამოსახულებით. ეს ფუნდამენტი ციხის უძველესი წყობის თავზე იყო გამართული ზღვის დონიდან 2 მეტრის სიმაღლეზე; წებელდაში ადაგოს მთაზე მანვე გამოავლინა სასიმაგრო ნაგებობა, ორი ეკლესიისა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, საინტერესო ქვის ფილები რელიეფური ჯვრის გამოსახულებით. ეს რელიეფები დღესდღეობით დაკარგულია და სწორედ მილერის პუბლიკაციითაა ცნობილი [Миллер А., 1909, გვ 71-82. სურ. 6].

ახალი ეტაპი აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში იწყება 1922 წელს, როცა დაარსდა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, თუმცა ამ საზოგადოებამ მხოლოდ 9 წელი იარსება. ამავე საზოგადოების დავალებით 1925 წელს ა.ს.ბაშკიროვი იწყებს აფხაზეთის ჩრდილოეთ სანაპიროს არქეოლოგიურ შესწავლას. მისი კვლევის სფეროში მოექცა სოხუმის მიდამოები, ლიხნი, მდ. ფსირცხის რაიონი, ბიჭვინთის კონცხი, სადაც ძველი ნაქალაქარის ნაშთებს მიაკვლია (გალავნის კედლებს, კოშკებს და ქრისტიანული ტაძრის ნაშთებს); სოხუმის (თურქული) ციხის შესწავლის შემდეგ, ა.ბაშკიროვმა 3 კულტურული ფენა გამოჰყო: თურქული, ბიზანტიური და რომაული; ახალ ათონში, ივერიის მთაზე არსებული ციხის

ნანგრევები მან ანაკოფიის ციხედ ჩათვალა, ხოლო მთის თხემზე არსებული ტაძარი VIII-IX სს-ით დაათარიღა [Башкиров А., 1925].

XX საუკუნის 30-40-იან წლებში აფხაზეთის შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლა ძირითადად ლ.ნ.სოლოვიოვის და ი.ე.აძინბას სახელთანაა დაკავშირებული. ლ.სოლოვიოვმა საგანგებოდ გამოიკვლია აფხაზეთის ისეთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობები, როგორიცაა გაგრის (აიგივებს ტრაქეასთან) და ანკოფიის ციხეები, და კელასურის კედელი. მაგრამ ეს ნაშრომი ხელნაწერის სახით არსებობს და დღემდე გამოუქვეყნებელია [Л.Н.Соловьев, Древние оборительные рубежи феодальной эпохи на черноморском побережье Западной Грузии (Гагрская крепость, Иверская гора, Келасурская стена), Сухуми, 1940. (Рукопись, Архив АбИЯЛИ, №344)]. 1947 წელს დაიბეჭდა ლ. სოლოვიოვის საკმაოდ მოზრდილი სტატია სოხუმის შესახებ, რომელიც ეძღვნებოდა ქალაქის ისტორიას დაარსებიდან ძვ.წ. VI ს-ში, ვიდრე XIX ს-ის დასაწყისამდე [Соловьев Л., 1947].

1958 წელს გამოქვეყნდა აფხაზი მხარეთმცოდნის ი.ე.აძინბას ნაშრომი “Архитектурные памятники Абхазии”, სადაც აფხაზეთის შუა საუკუნეების თითქმის ყველა ძეგლია თავმოყრილი, საკულტო თუ თავდაცვითი. მათ შორისაა ცანდრიფშის (ყოფ. პილენკოვოს), გაგრის, ჯგერდის, დრანდის და სხვა ეკლესიები. ნაშრომი საინტერესოა იმითაც რომ ძეგლების აღწერილობას ზოგ შემთხვევაში ეთნოგრფიული მონაცემები ავსებს [Адзинба И., 1958, გვ. 9-25, 90-93, 71-74].

1945 წელს სოფ. ოლგინსკოეს მიდამოები დაზვერა და მცირე გათხრები ჩაატარა ი. გრძელიშვილმა და გამოაქვეყნა თავისი მონაპოვარი [გრძელიშვილი ი., 1947, გვ. 89-95]. ი. გრძელიშვილის მიერ მოპოვებული წებელდური კერამიკის ნაწილი კი მოგვიანებით ქ. ბერძენიშვილმა გამოაქვეყნა [ბერძენიშვილი ქ., 1959, გვ. 95-108]. 1949 წელს ბ. კუფტინი აქვეყნებს ბოტანიკოს ი. ვორონოვის კოლექციას კავკასიის მუზეუმიდან და ათარიღებს VI-VII სს-ით [Куфтин Б., 1949, с.94-95].

50-იან წლებიდან იწყება მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები. 1957-58 წლებში კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო ანაკოფიაში მ. თრაფშის ხელმძღვანელობით [Трапш М., 1961]. ექსპედიციის მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ ივერიის მთის სამხრეთი ფერდობი ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში ყოფილა ათვისებელი სამოსახლოდ. ცხოვრება აქ ანტიკურ ხანაშიც ძვ.წ. IV-II სს. გრძელდება. ძირითადი არქეოლოგიური მონაპოვრის ქრონოლოგირი დიაპაზონი VII-XII სს-ში თავსდება. ასევე თარიღდება ძირითადი ხუროთმოძღვრული კომპლექსიც. ამავე ექსპედიციის წევრმა ვ. ლექვინაძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ ძეგლს. ანაკოფიის სასიმაგრო სისტემას ის ორ ნაწილად ყოფს: ციტადელი და ციხე-ქალაქის დიდი გალავანი. მისი აზრით, ციტადელი მრავალფენიანი არქიტექტურული ძეგლია, რომელიც IV-VI სს-ით თარიღდება [Леквинадзе В., 1968]. ციხე-ქალაქის დიდ გალავანს თავისი კოშკებით ვ. ლექვინაძე, ისევე როგორც მ. თრაფში, VII-VIII სს-ით ათარიღებს.

50-იანი წლებიდან იწყება ქ. სოხუმის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა. იგი მ. თრაფშის სახელთანაა დაკავშირებული. 1952 წელს მის მიერ ითხრებოდა სოხუმის ციხე, სადაც შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი გამოიკვეთა: I ფენა- გვიანი საშუალო საუკუნეები, II ფენა- XI-XIII სს, III ფენა- ახ.წ. I-II სს, და IV ფენა- დაახ. ძვ.წ. V-III სს [Трапш М., 1955]; მანვე 1954 წელს აღმოაჩინა რომაული კოშკი ("ოდინეცი") და დიოსკურიის დროინდელი სამოსახლო; 1954-56 წლებში შესწავლილ იქნა ანტიკური და შუა საუკუნეების ნამოსახლარი ბაგრატის მთაზე. სოხუმსა და მის მიდამოებში მოპოვებული მასალა თვალნათლივ არის წარმოდგენილი მ. თრაფშის მონოგრაფიულ ნაშრომში "Древний Сухуми" [Трапш М., 1969].

1958-59 წლებში მიმდინარეობდა სებასტოპოლისის რომაული ციხის გათხრები (ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, ვ. ლექვინაძე, მ. თრაფში, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე), ე.წ. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე. აქ ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპია წარმოდგენილი, ადრეანტიკული ხანიდან დაწყებული, ვიდრე გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. 1959 წელს ა. აფაქიძისა და ო. ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა ხუთი კულტურული ფენა, I ზედა ფენა–ახ.წ. IV-V სს, V ფენა–ძვ.წ. III-II სს. [ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, 1965, 3, გვ. 104-127].

იმავე, 1959 წელს ლ. სოლოვიოვის და ლ. შერვაშიძის მიერ სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ რომაული ციხე აქ ახ.წ. I ს-ში ჩნდება, საქალაქო

ცხოვრების აყვავების ხანა II-III საუკუნეებია, IV-V სს. კი ქალაქის დასუსტების პერიოდი. იმავე გათხრების დროს ¹1 კოშკთან აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კედლის მოზაიკის კენჭები, რამაც გამთხრელებს აქ ეკლესიის არსებობა ავარაუდებინა, მით უფრო, რომ აქვე რამდენიმე ქრისტიანული სამარხიც გაითხარა [Шервашидзе Л., Соловьев Л., 1960, გვ. 171-179]. 1987-1990 წლებში სოხუმის თურქული ციხის ტერიტორიაზე მ. გუნბას ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა კიდეც ეკლესიის ნაშთი. ციხის მთელ ტერიტორიაზე ორი კულტურული ფენა გამოიკვეთა, ზედა ფენა თარიღდება განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით, ქვედა ფენა კი–გვიანრომაული და ადრებიზანტიური ხანით [М. Гунба, Кратки отчёт об археологических раскопках на територии Сухумской крепости в 1987 году][1].

აფხაზეთში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ფასდაუდებელი ღვაწლი. 1952 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით იწყებს არქეოლოგიურ გათხრებს ბიჭვინთის ნაქალაქარზე, რასაც წინ უსწრებდა სადაზვერო სამუშაოები (1952-53 წწ., მ. თრაფში). 1975 წლიდან ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში უდგება გ. ლორთქიფანიძე. მრავლწლიანი გათხრების შედეგად გამოვლინდა

[1] ვსარგებლობ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დოკუმენტაციის და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული მ. გუნბას გამოუქვეყნებელი საველე ანგარიშებით.

ბიჭვინთის კასტელუმი და კანაბე, საკმაოდ ვრცელი სამაროვანი, ადრექრისტიანული ტაძრები და ბიჭვინთის უნიკალური მოზაიკა, რომელიც აფხაზეთის ადრექრისტიანული ხანის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. მოზაიკა თავისი უნიკალურობის გამო მოიჭრა აღმოჩენის ადგილიდან და გადმოტანილ იქნა თბილისის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ინახება დღემდე. ბიჭვინთის მოზაიკასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, სხვადასხვაგვარად, IV-VI სს-თი არის დათარიღებული [ჭყონია ა., 1978, გვ. 194-217; ყაუხჩიშვილი თ., 1978, გვ. 218-241; Шервашидзе Л., 1978, გვ. 169-193; Леквинадзе В., 1970, გვ. 174-192; Мацулевич Л., 1978, გვ. 100-168; Мацулевич Л., 1956, გვ. 146-153; Одишели М., 1988; Odišeli M., 1995; Вачнадзе Н., 1982, გვ. 106-111]. ჩვენის აზრით გასაზიარებელია ლ. მაცულევიჩის მიერ შემოთავაზებული მოზაიკისა და წარწერის თარიღი – IV ს. დასაწყისი [Мацулевич Л., 1956, გვ. 153]. ბიჭვინთის ექსპედიციის მიერ ჩატარებული მრავალწლიანი გათხრების შედეგად დაგროვდა უმდიდრესი მასალა, რომლის მეცნიერული შესწავლა დღემდე გრძელდება. გამოქვეყნდა "დიდი პიტიუნტის" სამი კრებული [1975, 1977, 1978], გ. ლორთქიფანიძის მონოგრაფია "ბიჭვინთის ნაქალაქარი" [1991] და სხვ.

1956-57 წლებში ბიჭვინთის ნაქალაქარიდან სამხრეთით 400-500 მ დაშორებით გაითხარა ორაფსიდიანი ეკლესია, რომელიც თავისი დაგეგმარებით ქართული ხუროთმოძღვრებისთვის საკმაოდ უჩვეულო აღმოჩნდა. გამთხრელის აზრით, ტაძარი მარტირიუმია

[მიქელაძე თ., 1963, გვ. 125-131]. 1980 წელს X ს-ის კათედრალის დასავლეთით გაითხარა V-VI სს-ის მცირე ეკლესიის ნანგრევები. შიგ ეკლესიაში გამოვლინდა რანდენიმე უინვენტარო ადრექრისტიანული სამარხი [Лордкипанидзе Г., 1981]. 1970-71 წლებში ზ. აგრბას მიერ ითხრებოდა ალაჰაძის ბაზილიკა ბიჭვინთის კონცხზე [Агрба З., 1972].

1968-69 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ გუდავაში (ისტორიული ზიღანეოსი) ჩაატარა პირველი არქეოლოგიური კამპანია და სხვადასხვა პერიოდის მასალებთან ერთად გამოავლინა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მასალები და ბაპტისტერიუმი [ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., 1971, გვ. 96-102]. 1971 წელს გაგრძელდა მუშაობა, ბაპტისტერიუმის მიდამოებში აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეთა ხანის მარმარილოს არქიტექტურული დეტალები [ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., 1974, გვ. 139-147].

1960 წელს წებელდაში გათხრებს იწყებს დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურის და ისტორიის აფხაზეთის ინსტიტუტი მ. თრაფშის ხელმძღვანელობით. მან წარმატებით განახორციელა გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამარხების და ნამოსახლარების შესწავლა. 1960-67 წლებში გამოვლინდა 200-მდე სამარხი, რომელიც ხუთ საგვარეულო სამაროვანს შეადგენდა–აბგიძრახუ, ახუამახუ, აჰაცარახუ, ალრახუ, ახაჩარხუ. სწორედ მათ განხილვას მიეძღვნა მკვლევარის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული მისი ნაშრომების მესამე ტომი [Трапш М., 1973].

1960-64 წლებში ი. ვორონოვის მიერ წებელდაში გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარები, ციხეები და სამაროვნები (შაპკა, წებელდა, ახისთა, ბათი, აფუშთა, ზემო იურევკა და სხვ.). წებელდის საინტერესო მასალამ მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო, შედეგად წებელდაში გვიანანტიკური ხანის თავისებური არქეოლოგიური კულტურა გამოიყო [Воронов Ю., 1975]. 1968-70 წლებში მ. გუნბას მიერ გრძელდება გათხრები წებელდაში. მის მიერ ითხრება სამარხეული კომპლექსები ათარა-არმიანსკოეში (ოჩამჩირის რ-ნი), შაუმიანოვკაში (გულრიფშის რ-ნი), ეშერასა (სოხუმის რ-ნი) და აჭანდარაში (გუდაუთის რ-ნი), აქ გამოვლენილი ძეგლები მან ე.წ. წებელდური კულტურის არეალში მოაქცია [Гунба М., 1978].

1977-79 წლებში წებელდის ციხეზე ი. ვორონოვის ხელმძღვანელობით გაითხარა სამი ეკლესია, ამათგან ორი ადრექრისტიანული ხანის. ეს ეკლესიები საგანგებოდ იქნა შესწავლილი ლ. ხრუშკოვას მიერ [Хрушкова Л., 1982, გვ. 147-177].

1982 წელს იგივე წებელდაში, დასახლება მრამბაში, აღმოჩნდა დარბაზული ეკლესია და არქიტექტურული დეტალები ადრექრისტიანული სიმბოლოებით [Бгажба О., 1984, გვ. 421].

1983 წელს ო. ბგაჟბას მიერ ითხრებოდა შაპკის ციხე და ეკლესია (VI ს.) [Вгажба О., 1985, გვ. 463-464].

1976 წელს ლ. შერვაშიძე გათხრებს აწარმოებს აბაანთის ციხეში. შედეგად გამოვლინდა სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც მან VII-VIII სს-ით განსაზღვრა [Шервашидзе Л., 1979, გვ. 223-234], სწორედ მისი დამსახურებაა აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველად

სამეკლესიამი ბაზილიკის აღმოჩენა და განსაზღვრა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ამ ტიპის ძეგლები განხილული აქვს თავის ნაშრომში ლ. რჩეულიშვილს [Рчеулишвили Л., 1988. გვ. 72-78], თ. ბერიძესა [ბერიძე თ., 1995] და დ. თუმანიშვილს [თუმანიშვილი დ., 1993] რომელთაც, ასევე, უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვით აფხაზეთის ქრისტიანული ძეგლების შესწავლის საქმეში.

დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის ადრექრისტიანული ძეგლების შესწავლის საქმეში ლ. ხრუშკოვამ. 70-იანი წლების ბოლოდან იგი აქტიურად იყო ჩართული ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლების გამოვლენა–შესწავლის საქმეში. 1977-79 წლებში მონაწილეობდა წებელდის ციხის საკულტო კომპლექსის გათხრებში. 1980 წელს მის მიერ ითხრებოდა განთიადის (ცანდრიფში) ბაზილიკა, რომელსაც მან მონოგრაფიაც უძღვნა [Хрушкова Л., 1985], სადაც საკუთრივ განთიადის გარდა აფხაზეთის სხვა ადრექრისტიანული ძეგლებიცაა მიმოხილული. იმავე 1980 წელს მან დაზვერა და აზომა ეკლესია ხაშუფსეს ციხეში. 1980-85 წლებში მონაწილეობდა ოჩამჩირის ექსპედიციაში (ხელმძ. ს. შამბა) გიენოსის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრებიზანტიური ეკლესიის გათხრებში. 1985-86 წლებში იგი განაგრძობს ზ. აგრბას მიერ დაწყებულ ალაჰაძის არქიტექტურული კომპლექსის შესწავლას, გაითხარა მესამე, ყველაზე დიდი ბაზილიკა. 1989 წლიდან კი მ. გუნბასთან ერთად მონაწილეობდა ანტიკური საბესტოპოლისის გათხრებში, გამოვლინდა ადრექრისტიანული ხანის ეკლესია, რომელიც ლ. ხრუშკოვას სიტყვებით: უჩვეულოა

ამიერკავკასიისათვის, აქ აფსიდის ირგვლივ დეამბულატორიაა გამართული. ლ. ხრუშკივას მიერ საგანგებოდ იქნა შესწავლილი აფხაზეთის V-X სს-ის რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელიც თავმოყრილია მონოგრაფიაში "Скульптура раннесредневековой Абхазии. V-X вв." (Тб., 1980). მისი სადოქტორო დისერტაციაც ადრექრისტიანული ძეგლების კვლევას მიეძღვნა, სადაც აფხაზეთის გარდა დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ძეგლებიცაა განხილული [Хрушкова Л., 1990].

ადრექრისტიანული ძეგლებისა და, ზოგადად, ქრისტიანული არქეოლოგიისადმი ინტერესი ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა. მაგალითად არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1992 წლიდან სისტემატურად იმართება ქრისტიანული არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები; გაიზარდა ინტერესი უშუალოდ აფხაზეთში ქრისტიანობის საკითხთან დაკავშირებითაც [გამახარია ჯ., 2005]. ამავე საკითხს მიეძღვნა ერთი წლის წინ გამართული სამეცნიერო კონფერენცია [მართმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, 2005].

## § 2. წერილობითი წყაროები

აფხაზეთში ადრეული ქრისტიანობის საკითხის კვლევისას ჩვენთვის ძირითად წყაროს წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები წარმოადგენს. წერილობითი წყაროები საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ამ მხარის რელიგიურ ვითარებაზე ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საუკუნეებში.

საეკლესიო ტრადიციით, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანიზაციის დასაწყისი მოციქულთა ხანას უკავშირდება. ახალი რელიგიის პირველ მქადაგებლად აქ ანდრია პირველწოდებული და სიმონ ქანაანელი გვევლინებიან. ეს გადმოცემა, რომელიც III და IV სს-ის ავტორებს, დოროთეოს ტვირელს, სოფრონის და ეპიფანე კვიპრელს მიეწერება [პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 223], ცხადია იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში უძველესი ტრადიცია ჰქონდა.

VIII ს-ის ავტორს ეპიფანე კონსტანტინოპოლელს ეკუთვნის ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება ანდრია მოციქულის შესახებ, რომლის შედგენის დროს ავტორს უსარგებლია ძველი წერილობითი წყაროებით (კლემენტი რომაელის, ეპიფანე კვიპრელის და ევაგრე სიცილიელის ტექსტებით) [გეორგიკა, IV, I, გვ. 58-59]. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ეს თხზულება შემდეგ გამოიყენა ექვთიმე მთაწმინდელმა ანდრია მოციქულის შესახებ "მოსახსენებელის" ქართულ ენაზე შედგენის დროს [ინგოროყვა პ., 1954, გვ. 225-226]. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წარმოდგენილია ცნობები ანდრია მოციქულისა და მისი თანამოღვაწე მოციქულების მატათას და სიმონ ქანაანელის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე, იბერიის სანაპირო მხარეებში. მესამე მოგზაურობის დროს მოციქულნი გადასულან საკუთრივ აფხაზეთში (აბაზგიაში): "დიდ სებასტოპოლისში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა. ანდრიამ დასტოვა იქ სიმონი მოწაფეებითურთ და თვით წავიდა

ჯიქეთში". ჰაგიოგრაფის ცნობით, სიმონი ამ მხარეში (აფხაზეთში) მოღვაწეობის შემდეგ აქვე გარდაიცვალა და დაუსაფლავებიათ ნიკოფსიაში: "არის ჯიქეთის ნიკოფსიაში საფლავი, რომელსაც აქვს წარწერა სიმონ ქანაანელისა" [პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 225-226; გეორგიკა, IV, I, გვ. 58-59].

განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიიღო გადმოცემამ ანდრია მოციქულის შესახებ მას შემდეგ, რაც ექვთიმე მთაწმინდელმა გამოაქვეყნა "მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრიასი," დამუშავებული ეპიფანე კონსტანტინოპოლელისა და ნიკიტა პაფლაგონელის ტექსტების გამოყენებით. გადმოცემას ანდრია მოციქულის შესახებ ეხებიან და აღნიშნავენ მომდევნო ხანის ქართველი ავტორები: გიორგი მთაწმინდელი (დიდ სვინაქსარში), გიორგი მცირე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე ("უწყებაი მიზეზთა ქართველთა მოქცევისათაი") [პ. ინგოროყვა, 1954, გვ.227]. გადმოცემამ კანონიზაცია მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე და აღბეჭდილია ამ კრების ძეგლის წერაში [თ. ჟორდანია, 1892, გვ.34]. მასვე ეხება წმ. ნინოს ცხოვრების გადამმეტაფრასებელი ბერი არსენი (XII ს. I ნახევარი) [პ. ინგოროყვა, 1954, გვ.227].

გარდა ანდრია მოციქულისა, სიმონ ქანაანელისა და მატათა მოციქულისა, საქართველოში სხვა მოციქულებსაც უმოღვაწიათ. კერძოდ, ეფრემ მცირე, რომელმაც საგანგებოდ მოიძია მის დროს არსებული ყველა ბერძნული წყარო ქართული ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით, ამ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ საქართველოში სახარება იქადაგა მოციქულმა ბართლომემ

[ჯაფარიძე ა., 1996, გვ. 41]. ცნობები მოციქულ ბართლომეს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, ჩანს, ლათინურ წყაროებშიც ყოფილა მოცემული, რადგან ამის შესახებ არქანჯელო ლამბერტიც წერდა. ლამბერტი იმ აზრს იცავდა, რომ კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა წმ. ანდრიამ და წმ. ბართლომემ გაავრცელეს. "დარწმუნებული უნდა ვიყოთ - წერს არქანჯელო ლამბერტი, რომ ორი მოციქულის ქადაგებით დაინერგა სარწმუნოება ამ ქვეყანაში (ე.ი. საქართველოში), მაგრამ შემდგომში მღვდლების უყოლიობის თუ სხვა მიზეზის გამო ამ მხარეებს დიდი ხნის განმავლობაში მოაკლდათ სარწმუნოება" [ჯაფარიძე ა., 1996, გვ. 41; ლამბერტი ა., 1938].

რუსულ წყაროებში დაცული ცნობის თანახმად ბართლომეს გარდა საქართველოში თომა მოციქულსაც უმოღვაწნია [ჯაფარიძე ა., 1996, გვ. 41]. მეუფე ანანია ჯაფარიძის აზრით, ეს არ მოგვეჩვენება გასაკვირად, თუ გავიხსენებთ, რომ მოციქულმა თომამ იქადაგა სირიაში, სპარსეთში და ინდოეთში. XVI ს-ის სლავური წყარო ქართულ ეკლესიას მიიჩნევს თომა მოციქულის მიერ დაარსებულად. აქ ჩამოთვლილია სამოციქულო საყდრები, კერძოდ, "ადგილი წმინდა მოციქულ თომასი არის ივერიის საყდარი" [ჯაფარიძე ა., 1996, გვ. 41-42].

ამრიგად, ძველი მწერლობის მოწმობით, საქართველოში ქრისტიანობა უქადაგიათ მოციქულებს: ანდრიას და სიმონ ქანაანელს (გიორგი, ეფრემი, რუის-ურბნისის კრება, არსენი), მატათას (არსენი), ბართლომეს (ეფრემი) და თომას (რუსული წყარო). თუმცა, როგორც ცნობილია, ი. ჯავახიშვილი უარყოფდა

ჩვენში მოციქულთა ქადაგების ფაქტს [ჯავახიშვილი ი., 1900, გვ. 35-38]. ასევე უარყო მოციქულთა სამისიონერო მოღვაწეობა ჩვენში კ. კეკელიძემ. მისი აზრით, ასეთი შეხედულება X-XI სს-დან დამყარდა, ხოლო მანამდე მას ადგილი არ ჰქონია და არც ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ ის [კეკელიძე კ., 1926, გვ. 4-9].

ჩვენი მხრიდან კი დავსძენთ, რომ არაა გამოსარიცხი მოციქულთა მოღვაწეობას რეალურად ჰქონოდა ადგილი საქართველოში, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მოციქულთა ეპოქაში საქართველოზე გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზები. ახალი წელთააღრიცხვის პირველი საუკუნეები საერთოდ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა და საქართველოც, რა თქმა უნდა, ჩართული იყო ამ საერთაშორისო ვაჭრობის ორომტრიალში. ცნობილი რომაული საგზაო რუკა - Tabula Peutingeriana, რომელიც IV ს-შია შედგენილი, მაგრამ მნიშვნელოვანწილად უფრო ძველ, I-II სს. მასალას ემყარება, საქართველოს ტერიტორიაზე უჩვენებს არაერთ გზას, რომელიც, ამავე დროს სავაჭრო მაგისტრალს წარმოადგენდა. ერთი ასეთი გზა სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან სებასტოპოლში (სოხუმში) მიდიოდა. გადიოდა იგი ჯავახეთსა და სამცხეზე, ქართლის უძველესი ცენტრების, წუნდისა და ოძრხეს მახლობლად. წუნდაში ამ გზის ერთი ტოტი ქართლის შიდა რაიონებისაკენ მიდიოდა. მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოში მიმავალი გზა როდოპოლისთან (ვარდციხე) უხვევდა როგორც დასავლეთით (რიონის გაყოლებით ფაზისისაკენ), ასევე აღმოსავლეთით (ისევ რიონით და შემდეგ

ყვირილით, სვირის, შორაპნის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში). მეორე გზა, არტაშატიდან ქართლში მიდიოდა. გარდა ამისა, სამცხესა და ჯავახეთზე გადიოდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთით - ტაოსა, კლარჯეთსა და კიდევ უფრო სამხრეთით, მცირე აზიისკენ მიმავალი გზები [გ. მელიქიშვილი, 1970, გვ.535-536], რითაც, როგორც ჩანს, ისარგებლა ანდრია მოციქულმა. Tabula Peutingeriana და "ქართლის ცხოვრების" ცნობების შედარებით ჩანს, რომ ანდრია საქართველოში შემოვიდა იმ გზით, რომელიც ოძრხედან გადადიოდა დასავლეთ საქართველოში და მთავრდებოდა სებასტოპოლისში [ჯაფარიძე ა., 1996, გვ. 30-31].

მნიშვნელოვან წერილობით წყაროს აფხაზეთში საეკლესიო ორგანიზაციის არსებობის შესახებ წარმოადგენს ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მონაწილეთა სია, შედგენილი საეკლესიო ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით. ნიკეის კრებას დაესწრო საქრისტიანო ორგანიზაციების 318 წარმომადგენელი. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა ნუსხები ჩვენამდე მოღწეულია ექვს ენაზე: ლათინურად, ბერძნულად, კოპტურად, სირიულად, არაბულად და სომხურად. ექვსივე ნუსხაში მოხსენებულნი არიან პოლემონის პონტოს ეპარქიათა წარმომადგენელნი, რომლებიც 325 წლის კრებას დასწრებიან. იქ ყოფილა სამი საეპისკოპოსო კათედრა: ნეოკესარიისა, ტრაპეზუნტისა და პიტიუნტისა [გეორგიკა, I, 1961, გვ. 4].

საყურადღებოა, რომ შემდეგდროინდელ ეკთეზისებში პოლემონის პონტოს ეპარქიაში მოხსენებულია კათედრები:

ნეოკესარიისა, ტრაპეზუნტისა და გარდა ამისა, სხვადასხვა დროს: კერასუნტისა, პოლემონისა და კომანისა. ამ ეკთეზისებში, რომელთაგან უძველესი შედგენილია VII საუკუნეში, პიტიუნტი აღარ არის მოხსენებული: საფიქრებელია, რომ ბიჭვინთა ეკლესიურად ექვემდებარებოდა აბაზგიის ავტოკეფალურ ეპარქიას, რომელიც VII ს-დან მოკიდებული ყველა ეკთეზისში იხსენიება. ეს ცნობები იმას მოწმობენ, რომ ძველად (IVს.) ბიჭვინთა შედიოდა პოლემონის პონტოს ეპარქიაში, ხოლო უფრო გვიან, რადგან აბაზგიის ეკლესია ცალკე ავტოკეფალურ ერთეულად გამოეყო, ბიჭვინთის კათედრაც, უთუოდ, ამ ავტოკეფალურ ერთეულში შევიდოდა [გეორგიკა, 1961, გვ. 4-5].

მნიშვნელოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის თხზულებები. პროკოპი კესარიელი ყველაზე უფრო ნაყოფიერ და სანდო ისტორიკოსადაა აღიარებული. როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირველია, იუსიტინიანეს მთავრობის საგანგებო ხაზს ატარებს თავის თხზულებებში. პროკოპი კესარიელი გვაწვდის ცნობას აბაზგების საზოგადოებრივი ვითარებისა და მათი გაქრისიტანების შესახებ: "აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში. ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროსებსს რაღაც გულუბრყვილობით ღმერთებად წარმოუდგენიათ. შემდეგ, იუსიტინიანეს მეფობისას

აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატი. მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები. მალე ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ" [Procop, De BG, VIII, 3; გეორგიკა, 1965, გვ. 133-135].

პროკოპი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ იუსტინიანემ აბაზგებს აუგო ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, უკვე დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. უკვე ასი წელია მკვლევარები ცდილობენ ამ ტაძრის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ი. კულაკოვსკი ამ ტაძარს სებასტოპოლის - ცხუმში ათავსებდა [Кулаковски Ю., 1897, с. 23-37], პ. უვაროვა [Уварова П., 1894] და ნ. კონდაკოვი – ბიჭვინთაში [Уварова П., 1894; Кондаков Н., 1876, с. 218-219], ზ. ანჩაბაძე – ანაკოფიაში [Анчабадзе З., 1959, с. 27], დ. ლეთოდიანი კი - ძველ გაგრაში [ლეთოდიანი დ., 1991, გვ. 95]. თუმცა ბოლომდე ეს საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება. ყველაზე სრულად ეს საკითხი ვ. ლექვინაძის მიერ იქნა განხილული, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იუსტინიანეს ტაძარი - ესაა განთიადის ბაზილიკა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად ავტორს ტრაქეის ლოკალიზაცია მიაჩნია თანამდეროვე გაგრის მიდამოებში, რომელიც პროკოპის ცნობით,

იყო საზღვარი აბაზგებსა და აფსილებს შორის [Леквинадзе В., 1970, с. 173].

პროკოპის ცნობას აბაზგების გაქრისტიანების შესახებ იმეორებს VI საუკუნისავე ბერძენი მწერალი ევაგრე სქოლასტიკოსი თავის "საეკლესიო ისტორიაში" [გეორგიკა, 1936, გვ. 297], საიდანაც ეს ცნობა ეფრემ მცირემ თავის "უწყებაში" გადმოიტანა [ჟორდანია თ., 1892, გვ. 53]. ეფრემის "უწყებიდან" ეს ნაწყვეტი შეუტანიათ შევსებულ "ქართლის ცხვორებაში" [ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 215]. "უწყებაში" სწერია: "ხოლო აფხაზთათვის ევაგრე ეპიფანესი საეკლესიო მოთხრობასა შინა თვისსა აღწერს ოცდამეორესა თავსა შინა და იტყვის ესრეთ: მათვე ჟამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა, აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად, და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ქადაგება. რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანეს მეფისასა იყო ვინმე საჭურისი, აფხაზი ნათესავით, და ევფრატა სახელისდებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებადა მათდა და აღთქმად, ვითარმედ ამიერითგან არცა ერთიღა-ვინ ნათესავისა მათისაგანი განპუებული იქნებოდეს მამაკაცობისაგან რკინისა მიერ იძულებითი ბუნებისაითა. რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი სამეუფოსა საწოლისა, რომელთა საჭურის იცის წოდება ჩუეულებამან. ვინაცა იუსტინიანე ტაძარი წმინდისა ღმრთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა (ქართლის ცხოვრება უმატებს: ბიჭვინტას) და მღვდელნი დაადგინნა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ სჯულსა ქრისტიანობისასა". პროკოპი კესარიელის ამ ადგილით ისარგებლა აგრეთვე ნიკიფორე კალისტემ [გეორგიკა, 1965, გვ. 215].

პროკოპის თხზულებაში De bello gothico დაცულია ცნობა აფსილების შესახებაც: "აფსიელბი ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყნვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენიე" [Procop, De BG, VIII, 2; გეორგიკა, 1965, გვ. 120]. ამ წიგნში კი პროკოპი პირველ რიგში და ყველაზე ვრცლად სწორედ ლაზებზე ლაპარაკობს. მაშასადამე, "ძველთაგანვე ქრისტიანებში" იგი სწორად ლაზებს გულისხმობს [ლომოური ნ., 1973, გვ. 187-188].

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თეოდორიტე კვირელის (393-457/8) "საეკლესიო ისტორიაში" დაცული ცნობა, ლაზების, სანებისა და აბაზგების გაქრისტიანების შესახებ [გეორგიკა, 1961, გვ. 226-227].

თეოდორიტე კვირელთანაა დაცული ცნობა იოანე ოქროპირის ბიჭვინთაში გადასახლების შესახებ: "მისმა (იოანეს) მტრებმა მოიწვიეს სხვა კრება და მისი გასამართლება კი არ მოითხოვეს, არამედ დაარწმუნეს მეფე განაჩენი კანონიერი და სამართლიანიაო და არა თუ იმ ქალაქიდან (კონსტანტინოპოლიდან) გააძევეს ის, არამედ არმენიის ერთ პატარა და უდაბურ დაბაში გადააგზავნეს: ამ დაბის სახელია კუკუსოს. ხოლო იქიდან წამოიყვანეს და პიტიუნტში გადაასახლეს: ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უკიდურესი ბარბაროსების მეზობლად. მაგრამ კაცთმოყვარე უფალმა არ ინება, რომ ეს ძლევამოსილი მოღვაწე იმ პატარა კუნძულზე ყოფილიყო წაყვანილი: კომანაში რომ იყო, უფალმა ის გადაასახლა სამუდამოდ უმწუხარო სამყაროში"

[გეორგიკა, 1961, გვ. 224]. ეს დეტალი იოანე ოქროპირის ბიოგრაფიისა, მისი გადასახლება ჯერ მცირე არმენიის კუკუსოში და შემდეგ ბიჭვინთაში საყოველთაოდაა ცნობილი. მსგავსი ცნობა დაცულია თეოფანე ჟამთააღმწერლის "ქრონოგრაფიაშიც" [გეორგიკა, 1941, გვ. 76].

აფხაზეთში ქრისტიანობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის თეოდოსი განგრელი (VII ს.), იერუსალიმელი მონაზონი. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბიზანტიის მთავრობის მიერ დევნილ, მონოთელიტების წინააღმდეგ მებრძოლთა დაცვაში. მის სახელთანაა დაკავშირებული მაქსიმე "აღმსარებლის" ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობების შემცველი თხზულებების (ანასტასი აპოკრისიარის წერილის) გამოქვეყნება და აგრეთვე საკუთარი, 668/669 წლით დათარიღებული, მოგონების დაწერა იმავე მაქსიმეს შესახებ [Брилиантов А., 1917, с. 7-9].

მაქსიმე "აღმსარებელი" ცნობილია ისტორიაში, როგორც მთავარი მოწინააღმდეგე მონოთელიტებისა და მონოფიზიტებისა. მისი ცხოვრების აღმწერთა გადმოცემით 662 წელს ის გაუძევებიათ ბიზანტიიდან და ანასტასი აპოკრისარისთან და ანასტასი მონაზონთან ერთად გადაუსახლებიათ ლაზეთში, სადაც ის გარდაცვლილა იმავე წელს. ანასტასი აპოკრისიარის თავისი გრდაცვალებიდან ცოტა ხნით ადრე, წერილი მიუწერია თეოდოსი განგრელისათვის; ამ წერილში მას დაწვრილებით აღუწერია მაქსიმეს და მის თანამგზავრთა თავგადასავალი. ანასტასის წერილი თეოდოსს გამოუქვეყნებია სხვა მასალასთან ერთად და საკუთარი მოგონებებიც დაურთავს ზედ [გეორგიკა, 1941, გვ. 38].

ანასტასის ეს წერილი დაცულია ლათინურ თარგმანში, რომელიც შესრულებულია IX ს-ში ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ. ბერძნულად კი მოღწეულია მხოლოდ ერთი ნაწილი [გეორგიკა, 1941, გვ. 38-39].

ტექსტები შეიცავენ მრავალ ძვირფას ცნობას ლაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტისა და ლაზეთის (და ნაწილობრივ იბერიის) პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ VII საუკუნეში. აქ მოხსენებულია შემდეგი გეოგრაფიული პუნქტები: სქიმარი (სქიომარი, სხიმარი), სკოტორი, მუკორისი, ბუკულუსი (ბუკოლუსი), თაკვირია, ფუსტა, თუსუმე. მოხსენებულია ეს პუნქტები შემდეგ კონტექსტში: ბიზანტიის მონოთელიტურმა ხელისუფლებამ, რომლის სათავეში იდგა მაშინ კონსტანტინე III პოგონატი (641-668წწ.), მონოთელიტური მიმდინარეობის მოწინააღმდეგენი, მაქსიმე და ორი ანასტასი, გადაასახლა ლაზეთში 662 წელს. სამივე მოღვაწე ერთად გააგზავნეს ლაზეთში, ხოლო ლაზეთში ჩაყვანის შემდეგ ისინი ერთმანეთს დააშორეს და სხვადასხვა ადგილი მიუჩინეს საპყრობილედ: მაქსიმეს - სქიმარი, ანასტასი ბერს - სკოტორი, ანასტასი აპოკრისიარის - ბუკულუსი. მაქსიმე გარდაიცვალა იმავე სხიმარის ციხეში [გეორგიკა, 1941, გვ. 51-52].

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ანასტასი თავის წერილში რამდენიმეჯერ იმეორებს სიტყვებს: "ქრისტესმოყვარე აბაზგები", "ქრისტესმოყვარე და ღვთისმოყვარე მთავრები" [გეორგიკა, 1941, გვ. 44-45] და სხვ.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის სისტემის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების ნუსხები, ე.წ. ეკთეზისები, რომლებშიაც კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის ნახსენებია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრებიც [გეორგიკა, 1952, გვ. 123]. პირველი წყების ხუთი ეკთეზისი VII-IX სს-ით თარიღდება. მათგან უძველესია ის, რომელიც ეპიფანე კვიპრელის სახელს ატარებს და VII ს-ით თარიღდება [გეორგიკა, 1952, გვ. 186]. ამ VII ს-ის ძეგლში კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის დასახელებულია ფასისის მიტროპოლიტი ლაზეთში და მისდამი დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის, საისის, პეტრისა და ზიღანევის; აგრეთვე ავტოკეფალური არქიეპისკოპოსები: ა) აბაზგიაში - სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი; ბ) ჯიქეთში - ქერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიის არქიეპისკოპოსები [გეორგიკა, 1952, გვ. 184]. დანარჩენ ოთხ ნოტიციაში (I, VI, VIII და IX) ასევეა ჩამოთვლილი ლაზიკის მიტროპოლიაში შემავალი საეპისკოპოსოები და საარქიეპისკოპოსოები. საარქიეპისკოპოსოები აღნიშნულია აფხაზეთში ერთი - სებასტოპოლისი და ჯიქეთში სამი - ქერსონის, ბოსფორისა და ნიკოფსიის. ამათგან მეორე წყების ეკთეზისებში დარჩენილია მხოლოდ ორი: ქერსონის და ბოსპორის საარქიეპისკოპოსოები, ე.ი. ჯიქეთის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოთაგან, რომლებიც ექვემდებარებიან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო

ჩამოშორებია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ცხადია, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის იურისდიქციას ისევე, როგორც ჩამოშორდა ლაზიკის მთელი მიტროპოლია და აფხაზეთის (სებასტოპოლის) საარქიეპისკოპოსო [გეორგიკა, 1952, გვ. 187].

აღნიშნულ საეპისკოპოსო კათედრათა ადგილმდებარეობა დღეს კარგადაა განსაზღვრული: როდოპოლისი იგივე ვარდციხეა, პეტრა - თანამედროვე ციხისძირი, ზიღანევი - გუდავა, რაც შეეხება საის, მას ს. ყაუხჩიშვილი აიგივებს ქართულ ცაიშთან [გეორგიკა, 1952, გვ. 188-189]. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ეკთეზისებში არაა ნახსენები არქეოპოლისი და, მაშასადამე, ამ ქალაქებში საეპისკოპოსო კათედრა არ ყოფილა [ბერძენიშვილი ნ., 1990, გვ. 517-518]. ხოლო "აბისენონის საეპისკოპოსო", მისი აზრით, შეიძლება აბაშის, იგივე ჭყონდიდის საეპისკოპოსოს აღნიშნავდეს, რომელიც არქეოპოლისსაც მოიცავდა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელის დაკავშირების შესაძლებლობაზე ჯერ კიდევ ს. ყაუხჩიშვილმა მიუთითა, მაგრამ ეს იგივეობა უკუაგდო, რადგან ხელნაწერებში წერია "ავიშელთა" და არა "აბაშელთა" და, გარდა ამისა, მისი სიტყვით, აბაშაში არასოდეს არ ყოფილა კათედრა [გეორგიკა, 1952, გვ. 189]. მაშასადამე, ს. ყაუხჩიშვილი "აბესენონის" კი არ აკავშირებს ცაიშთან, არამედ "საისენონის", ხოლო ერთადერთ ეკთეზისში მოხსენიებულ "აბისენონს" მიიჩნევს იგივე "საისენონის" დამახინჯებულ ფორმად [გეორგიკა, 1952, გვ. 188-198].

ნ.ლომოურის აზრით, ჩვენს ხელთ არსებული ეკთეზისებიდან ზუსტად არ ჩანს თუ როდის ჩამოყალიბდა აქ

დამოწმებული სისტემა, როდიდან დაჯდა ფაზისში ლაზიკის მიტროპოლიტი, მისი ხელქვეითი საეპისკოპოსოები როდის შეიქმნა და სად იყო მათი ცენტრები, თავიდანვე ზემოთ დასახელებულ ოთხ ქალაქში, თუ სადმე სხვაგან? [ლომოური ნ., 1987, გვ. 43-44]. ნ. ლომოურის აზრით, ის, რომ საეკლესიო ცენტრების შეცვლა ხდებოდა, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ IV ს-ის 20-30-იან წლებში ბიჭვინთა წარმოადგენდა საეპისკოპოსო ცენტრს, ხოლო VII ს-ის და შემდგომი ხანის ეკთეზისებში პიტიუნტში ეპისკოპოსი აღარ ზის - აბასგიის ეპარქიის ცენტრს წარმოადგენს სებასტოპოლისი [ლომოური ნ., 1987, გვ. 44].

ნ.ლომოური არ გამორიცხავს, რომ ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა თავდაპირველად არქეოპოლისშიც ყოფილიყო, ხოლო შემდეგ მას რაიმე მიზეზით გადაენაცვლებინა სხვა ქალაქში. შესაძლოა ბიზანტიის ხელისუფალთ ეს გაეკეთებინათ იმ მიზნით, რომ სულ უფრო მეტად განკერძოების გზაზე შემდგარი ეგრისის მეფეთა სატახტო ქალაქის როლი დაეკნინებინათ. ნ. ლომოური ასკვნის, რომ ყოველ შემთხვევაში VII ს-თვის არც ნოქალაქევ-არქეოპოლისში და არც მის უშუალო სიახლოვეს საეკლესიო კათედრა არ არსებობდა, და რომ ბიზანტიურ წყაროში დამოწმებული ეგრისის საეკლესიო წყობილება შედარებით გვიან შექმნილი სისტემაა [ლომოური ნ., 1987, გვ. 40-44].

ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ვ. ლექვინიძემაც. მისი აზრით, არქეოპოლისში ეპისკოპოსის არ არსებობა აიხსნება იმით, რომ ეს ქალაქი ლაზიკის დედაქალაქი იყო და ლაზთა მეფეებს არ სურდათ მათ გვერდით კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი

დაქვემდებარებული ეპისკოპოსის ყოფნა, რომელიც ლაზიკის მეფეთა კარზე ჯაშუშის თუ ზედამხედველის როლს შეასრულებდა [Леквинадзе В., 1974, с. 119].

ამით ამოიწურება ის წერილობითი წყაროები, რომელიც რამდენადმე ასახავს საეკლესიო ცხოვრებასა და რელიგიურ განწყობას აფხაზეთში ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ამჯერად კი ძირითად აქცენტს არქეოლოგიურ ძეგლებსა და მონაპოვრებზე გადავიტანთ, საკითხის მეტად თვალსაჩინოების მიზნით.

## თავი II. აფხაზეთის ზღვისპირა ძეგლები

### § 1. ბიჭვინთა და მისი "ქვეყანა"

ბიჭვინთა უაღრესად რთულ და საინტერესო ძეგლთა კომპლექსს წარმოადგენს. დასახლებათა ეს სისტემა ქალაქის ზღუდის გარეთაც ფართოდ ვრცელდება, რაც, რა თქმა უნდა, ქალაქის ეკონომიკურ "ქვეყანაში" მოსახლეობის გარკვეულ კონცენტრაციას გულისხმობს. სწორედ ამაზე მეტყველებს მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბიჭვინთის კონცხზე გამოვლენილი ტაძრების სიმრავლე, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ სამწყსოს ძირითად კონტიგენტს აქ რომაელ ჯარისკაცებთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც შეადგენდა. უშუალოდ გალავნის შიგნით, ე.წ. III უბანზე, რომელიც ბიჭვინთის ნაქალაქარის ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი, 4 სხვადასხვა დროის ეკლესიის

ნანგრევებია დადასტურებული, რომლებიც ერთიმეორეზეა დაშენებული (ტაბ. I,1). ბიჭვინთის ამ ადრექრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, მათ შორის მოზაიკა, სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული, მაგრამ ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოები IV-VI სს-ებით არის განსაზღვრული.

ნაქალაქარის ე.წ. ეკლესიების უბნის, III ნაკვეთის, სტრატიგრაფიულ სურათში გარკვეული სიცხადე შეიტანა 1970-73 წლების საველე სამუშაოებმა, დადასტურდა ურთიერთმონაცვლე 5 სამშენებლო დონე [აფაქიძე ა., 1977, გვ. 39-63]. ბიჭვინთის უძველესი ეკლესია (ქვემოდან II სამშენებლო დონე) წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, ნახევარწრიული აფსიდით შენობის მთელ სიგანეზე. ნაგებობის ზომებია: 25X10 მ, კედლის სისქე 0,8 მ (ტაბ. I,2). ეკლესიის აფსიდაში აღმოჩნდა ადრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის ჭურჭლის ფრაგმენტერბი (ტაბ. XII,2), რომელიც საგანგებოდ იქნა შესწავლილი ნ. უგრელიძის მიერ და IV ს-ის პირველი ნახევრით განსაზღვრული [უგრელიძე ნ., 1983, გვ. 105-106]. ი. ციციშვილის მიერ ეს ბაზილიკა IV ს-ის დასაწყისით თარიღდება [ციციშვილი ი., 1977, გვ. 100]. ძეგლის უახლოეს ანალოგს ნოქალაქევში გამოვლენილი უძველესი ეკლესია წარმოადგენს – დარბაზული ნაგებობა, ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც IV ს. I ნახევრით თარიღდება [ზაქარაია პ., კაპანაძე თ., 1991, გვ. 166-7, 261]. რ. რამიშვილის აზრით, ბიჭვინთის უძველესი ეკლესია სტრატიგრაფიული მონაცემებით და არქეოლოგიური მასალებით შეიძლება დათარიღდეს III ს-ის 70-80-იანი წლებით და

ნასტაკისის III ს-ის II ნახევრით დათარიღებულ დარბაზულ ეკლესიასთან ერთად უნდა ჩაითვალოს უძველეს ქრისტიანულ ნაგებობად საქართველოს ტერიტორიაზე [რამიშვილი რ., 1999, გვ. 4].

III-IV სს-ში ბიჭვინთა მძლავრ აღმავლობას განიცდის, თუმცა IV ს-ის 70-იან წლებში ჰუნების დამარბეველმა ლაშქრობამ დიდი დარტყმა მიაყენა მას, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით, გლიპტიკური ძეგლების და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. ბიჭვინთის სამაროვანზე III-IV სს-ის 26 ბეჭედია აღმოჩენილი, IV-ს-ის 70-იანი წლებიდან მოყოლებული V ს-ის ჩათვლით საბეჭდავი ბეჭდები არ მოგვეპოვება, VI ს. მხოლოდ ერთი ფარაკიანი ბეჭედია ცნობილი იუსტინიანე I-ის გამოსახულებით [მშვილდაძე მ., 1994, გვ. 106-107]. IV საუკუნე ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალის უჩვეულო სიუხვით (500-ზე მეტი მონეტა) გამოირჩევა, რომელთა უმრავლესობა ანტიოქიაშია მოჭრილი (104), რაც კარგად ადასტურებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ორ ადრექრისტიანულ ცენტრს – ანტიოქიასა და ბიჭვინთას – შორის. თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი მცირე აზიის ქალაქების: ნიკომედიის (48), ქიზიკისა (44) და კონსტანტინოპოლის (40) საფასეები; საინტერესოა, რომ IV ს-ის მონეტებიდან არც ერთი ცალი არაა მოჭრილი საკუთრივ რომის ზარაფხანაში [დუნდუა გ., 1975, გვ. 375-413]. IV ს-ის დამდეგისთვის, როგორც ცნობილია, მთელი აღმოსავლეთის ეკლესიების ცენტრი ანტიოქია იყო. მისი სულიერი გავლენა ვრცელდებოდა არ მარტო მცირე აზიაზე, პონტოსა და აზიის

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, არამედ სპარსეთზე, სომხეთსა და საქართველოზე [მშვილდაძე მ., 2003, გვ. 193]. სწორედ ამ უჩვეულო აღმავლობის პერიოდში იგება მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა (ქვემოდან III სამშენებლო დონე). იგი უძველეს ბაზილიკაზეა დაშენებული და წარმოადგენს დიდ სამნავიან ნაგებობას ხუთწახნაგოვანი რამდენადმე ასიმეტრიული აფსიდით და ნართექსით, სადაც სანათლავია გამართული, მარმარილოს სვეტებით და მდიდარი მორთულობით, მოზაიკური იატაკით, რომელიც ყველაზე უკეთ ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში და ნართექსში შემოინახა. ბაზილიკის ზომებია: 28,03X13,2 მ (ტაბ. I,3). ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი და საკურთხეველში დაცული ორი ბერძნული წარწერა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ძეგლს წარმოადგენს ადრექრისტიანული აფხაზეთისა. პირველად ამ მოზაიკას იხსენიებს 1915 წელს ა.ზოტოვი. ბიჭვინთის მოზაიკასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, სხვადასხვაგვარად, IV-VI სს-თი არის დათარირებული. ჩვენის აზრით, გასაზიარებელია ლ. მაცულევიჩის მიერ შემოთავაზებული მოზაიკისა და წარწერის თარიღი – IV ს. დასაწყისი [Мацулевич Л., 1956, გვ. 153]. ეს ბაზილიკაც, სავარაუდოდ, IV ს-ის პირველ მეოთხედშია აგებული და იგი სტრატოფილე ბიჭვინთელის რეზიდენციას წარმოადგენდა [რამიშვილი რ., 1999, გვ. 40].

IV ს-ის შუა ხანებში ბიჭვინთამ დიდი ნგრევა განიცადა, პირველი მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა მთლიანად დანგრეულია, მაგრამ იმავე IV ს-ში ტაძარი კვლავ აღუდგენიათ: იცვლება

აფსიდის ფორმა, იქმნება ხუთწახნაგოვანი შვერილი აფსიდა, მცირდება ტაძრის ნართექსი, მარმარილოს სვეტებს ცვლიან ბურჯები აგურის შრეების დატანებით. შენობის ზომებია: 28,4X14,6 მ, კედლის სისქე 0,90-1,10 მ (ტაბ. I,4) კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე, ამოყვანილია მქისედ დამუშავებული ზღვური კონგლონერატის ბლოკებით კირის სქელ დუღაბზე. ყველგან დაცულია რიგების ჰორიზონტალობა და წყობაში ქვის გადაბმა. აფსიდის კონგლომერატის ბლოკების წყობაში აგურის ორი რიგის შრეებია დატანილი. შიგნიდან კედლები შელესილი ყოფილა და მოხატული ფრესკებით. კედლის მხატვრობის მცირე ფრაგმენტები – ყავისფერი და წითელი ფერის კვალით აღმოჩნდა საკურთხევლის ნაწილში და ჩრდილოეთის ნავში. მოზაიკური იატაკის გადარჩენილი უბნები კვლავ გამოიყენება, განადგურებული ადგილები კი კერამიკული ფილებით იფარება. ამავე დროსაა აგებული ამ უბნის გალავანი, რომელმაც ტაძარი, აბანო და სხვა ნაგებობანი შიგნით მოიქცია [ციციშვილი ი., 1977, გვ. 83-87].

IV ს-ის ბოლო მესამედში ბიჭვინთა ძირფესვიანადაა აოხრებული, რადგან ყველაზე მძლავრი ზედა ნახშირ-ნაცროვანი ფენა უშუალოდ ფარავს IV ს-ის არქეოლოგიური მასალების შემცველ ფენას. როგორც ჩანს ჰუნთა ურდოების ერთი მძლავრი ტალღა კავკასიის შავიზღვისპირეთსაც გადმოწვდა. ტაძარიც სრულიად განადგურებულია, იგი უკვე აღარ აღუდგენიათ, შუა და ჩრდილოეთ ნავში ხუთი ადრექრისტიანული სამარხია ჩაშვებული [ციციშვილი ი., 1977, გვ. 101].

VI ს-ის პირველ მესამედში ბიჭვინთაში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, აშენდა ყველაზე ზედა სამშენებლო დონის კუთვნილი ეკლესია, რომელიც იმავე საკუნის 40-იან წლებში, სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ბიზანტიელების მიერვე იქნა დანგრეული ქალაქის გალავანთან ერთად. ესაა დარბაზული ნაგებობა, სამწახნაგოვანი შვერილი აფსიდით და ნართექსით. შენობის ზომებია: 17,45X11,6 მ (ტაბ. I,5). კედლები დაახ. 1 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. იგი თავისი აფსიდით ღრმად იჭრება ძველი ბაზილიკის ნართექსში. ეკლესიის სივრცე კედლების ღრმა შვერილებით (1,92-1,96 მ) ორ ნაწილად იყოფა. გადახურული ყოფილა ნახევარწრიული კამარით, რასაც ჩამოქცეული კამარის დიდი ფრაგმენტი მოწმობს. სახურავი კრამიტისა იყო. კედლები ნაგებია კონგლომერატის ბლოკებით კირის დუღაბზე, თუმცა წყობაში გამოყენებულია რიყის ქვებიც, წყობა წესიერია, დაცულია რიგების ჰორიზონტალობა. კედლები შელესილი ყოფილა, რასაც ბათქაშის შემორჩენილი უბნები მოწმობს [ციციშვილი ი., 1977, გვ. 92].

პიტიუნტის ამ ადრექრისტიანულ ტაძრებთან გარკველ მსგავსებას პოულობს ბულგარეთში კაბილეს ძეგლზე გამოვლენილი ადრექრისტიანული ბაზილიკები. აქ, ბიჭვინთის ტაძრების მსგავსად რამდენიმე (სამი) სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა. კაბილეს I ბაზილიკა წარმოადგენს სამნავიან, ე.წ. "ელინისტური" ტიპის ბაზილიკას ნახევარწრიული აფსიდითა და ნართექსით. ტაძარი IV ს. შუა წლებშია აგებული; მისი განადგურება კი, გოთების თავდასხმას (378 წ.) უკავშირდება. II ბაზილიკაში ხდება

ცვლილებები აფსიდასა და დეკორაციაში. ჩნდება ბაპტისტერიუმი და სადიაკვნე. ბიჭვინთის მეორე ბაზილიკის მსგავსად აქაც ნაოსის იატაკი მოზაიკით იფარება. მოზაიკა რამდენიმე პლასტისაგან შედგება და ძირითადად ტრადიციული გეომეტრიული მოტივებითაა წარმოდგენილი. კაბილეს მესამე ბაზილიკა V ს-ის დასაწყისშია აგებული. მისი განადგურება კი 587 წელზე მოდის, როცა თრაკიელთა მიწები სისხლისმღვრელი ომების არენად იქცა [Кабиле, 1982, გვ. 156].

ბიჭვინთის ნაქალაქარის ზღუდის გარეთ, მის უშუალო სიახლოვეს, ჯერ კიდევ ქალაქის ფუნქციონირების პერიოდში ჩნდება დასახლება. იგულისხმება X ს-ის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, მისგან დასავლეთით 40 მ-ის მანძილზე 1980-81 წლებში გ. ლორთქიფანიძისა და ზ. აგრბას მიერ გაითხარა ადრექრისტიანული ტაძრების კიდევ ერთი კომპლექსი, სადაც ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყო. პირველი პერიოდი V-VI სს-ით თარიღდება, მეორე კი – VI-VII სს-ით. ბიჭვინთის დიდი ტაძრის მახლობლად არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1925 წელს ა. ბაშკიროვმა ჩაატარა, შედეგად მიაკვლია დიდი ბაზილიკური ტიპის სამნავიანი და სამაფსიდიანი ტაძრის ნანაგრევებს, რომელიც მან გვიანბიზანტიური ეპოქით დაათარიღა [Башкиров А., 1926, с. 39]. 1925 წელს, ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა სამხრეთი ფასადის კედლის ფრაგმენტები და ორი გვერდითი 4,10 მ-ის სიგანის აფსიდები, ისინი ბაშკიროვის მიხედვით, გეგმაში ნახევარწრიულია, ნახევრადექვსწახნაგა წრეში ჩასმული. აგებულია ქვიშაქვის კვადრებით, გამოუყენებიათ აგურის სარტყელებიც,

რომელთა რაოდენობა 2-დან 4 რიგამდე მერყეობდა. გათხრები მას ამ ორ აფსიდას შორის ჩაუტარებია, სადაც ცენტრალურ საკურთხეველს ვარაუდობდა. მან აფსიდის კედლის საძირკველი და საკურთხევლის "ფსევდო-მოზაიკური" იატაკი დააფიქსირა. ამ ბაზილიკური ტიპის ეკლესიის ნანგრევებში ექსპედიციამ ადრებიზანტიურ, იონიური ტიპის მასიურ კაპიტელს მიაკვლია [Башкиров А., 1926, с. 35], რომლის ახლო პარალელია ვაშნარის ბაზილიკის მცირე მარმარილოს სვეტისთავი, რომელიც VI საუკუნით თარიღდება [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 30-31]. აღნიშნული ბაზილიკა ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ახ.წ. VI-VII სს-ით დაათარიღა. ძეგლი სამაფსიდიან ბაზილიკას წარმოადგენს. მისი ზომებია: 17,5X7,60 მ (ტაბ. I,8). კედლების სისქეა 0,80 მ. წყობა შერეულია, ჩრდილოეთი კედელი opus mixtum-ითაა ნაგები, აგურის 4 რიგის გამოყენებით. შეიმჩნევა რესტავრაციისა და გადაკეთების კვალი, რაც არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ძეგლის ხანგრძლივ ფუნქციონირებაზე მიუთითებს, VI ს-დან დაწყებული, ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე [Лордкипанидзе Г., Агрба В., 1982, с. 28]. სამხრეთ აფსიდის ქვეშ ექსპედიციამ კიდევ უფრო ადრეული (6,1 მ სიგანის, სიგრძე ვერ დგინდება) V-VI სს. მცირე ეკლესიის ნანგრევები გამოავლინა, ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. აქვე აღმოჩნდა მარმარილოს პროფილირებული ბაზა, სვეტის ძირი და სხვა ნაწილები [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 30-31]. ეკლესიის აღმოსავლეთით ისევე, როგორც თავად ტაძარში, რამდენიმე უინვენტარო

ადრექრისტიანული სამარხი დადასტურდა. სამარხები ძირითადად ბრტყელი კრამიტით, აგურითა და ქვიშაქვის ფილებით იყო ნაგები. ჩრდილოეთი აფსიდის დასავლეთით გაითხარა მონოლითური ქვის ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგი, მისი ზომებია: 2X0,4X0,3 მ, კედლების სისქეა 5 სმ (ტაბ. XV,2,3). ყველა სამარხი ქრისტიანული წესის დაცვითაა გამართული [Лордкипанидзе Г., Агрба В., 1982, с. 30-31].

ბიჭვინთის ნაქალაქარიდან 400-500 მ მანძილზე სამხრეთით 1963 წელს თ. მიქელაძის მიერ გაითხარა ორაფსიდიანი ეკლესია, რომელიც თავისი გეგმით უჩვეულოა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის. ტაძარი გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედს, აღმოსავლეთით ორი, სრულიად ტოლი გაზიდული ხუთწახნაგოვანი აფსიდით. შენობის ზომებია: 28,5X14 მ (ტაბ. I,6). კედლები 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით, აქა-იქ აგურის გამოყენებით. აფსიდისა და კედლების გაყოლებით მერხები შემოინახა. ტაძარს ექვსი შესასვლელი აქვს: ორ-ორი - სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთი მხრიდან. სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს შუაში პილასტრები აქვთ. ტაძრის ცენტრში, ძირითადი პილასტრების გადაკვეთაზე, დგას მძლავრი სწორკუთხა ბურჯი. ეკლესიის შიდა მოპირკეთებაში გამოყენებული ყოფილა თეთრი მარმარილო. აღმოჩნდა მცირე ზომის მთლიანი ქვისგან ნაკეთები სვეტები, რომელთაც ოთხკუთხა ბაზა აქვთ და ცილინდრული კორპუსი. ეს უკანასკნელი ორნამენტირებულია [მიქელაძე თ., 1963, გვ. 125-127].

ბიჭვინთის ორნავიანი ბაზილიკის ყველაზე ახლო პარალელია ქუთაისის ორნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია (თავდაპირველად იგი ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო). ო. ლანჩავა საერთო მონაცემებით ქუთაისის ორნავიანი ეკლესიის ფუნქციონირებას VI-VII სს-ით განსაზღვრავს [ლანჩავა ო., 1996, გვ. 144-147]. თ. მიქელაძის აზრით, ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია V ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისში უნდა აეგოთ, ხოლო XII ს-ში ძეგლი, როგორც ჩანს, წყვეტს არსებობას, რასაც სამხრეთი ნავის დასავლეთი კარის ზღურბლზე კედლებისა და გადახურვის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი იმპ. ნიკიფორე III ბოტინიატის (1078-1081 წწ.) 5 ოქროს მონეტა ადასტურებს [მიქელაძე თ., 1963, გვ. 129].

ბიჭვინთის კონცხს განეკუთვნება კიდევ ერთი არქიტექტურული კომპლექსი სოფ. ალაჰაძეში, "აჰაშნიხ" ბორცვზე. ნანგრევები სოფ. ალაჰაძის ტერიტორიაზე დიდი ხანი იქცევდა სიძველეების მოყვარულთა და მოგზაურთა ყურადღებას. მაგ., XIX ს. 80-იან წლებში ალაჰაძეში მიკვლეულმა ნანგრევებმა პ. უვაროვას ყურადღება მიიქცია და, როგორც ცნობილია, 1886 წელს მან დაიწყო ამ ნანგრევების გათხრა-გაწმენდა, მოხერხდა ამ ნაგებობის გეგმის მოხაზვაც. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული მასალა ეჭვს არ იწვევს, რომ გაწმენდილი ნაგებობა სამაფსიდიანი მცირე ეკლესიაა. ამ ეკლესიის გათხრისას პ.უვაროვას არქეოლოგიური მასალა არ შეხვედრია. ამის გამო გამთხრელი თვლიდა, რომ მის მიერ გამოვლენილი მცირე ეკლესია თავის დროზე უნდა გაეძარცვათ და მერე დაენგრიათ [Уварова П., 1894, გვ. 11].

საინტერესო დაკვირვებები აქვს აფხაზეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების მკვლევარს ი. აძინბას. იგი თვლიდა, რომ პ.უვაროვას მიერ გაწმენდილი პატარა სამაფსიდიანი ეკლესია ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანულ ტაძარს წარმოადგენდა. ი. აძინბამ სცადა ტოპონიმის, ბორცვის სახელის - "აჰაშნიხ" - ახსნა - "ახაშ" - აფხაზურად ნიშნავს ტყის მსხალს, "ნიხა" – ხატს, ღვთაებას [Адзинба И., 1958, с. 26].

1970 წელს საძიებო თხრილების გაჭრისას სამაფსიდიანი მცირე ეკლესიის გვერდით, მის სამხრეთით ორიოდე მეტრზე დიდი სამნავიანი ტაძრის ნანგრევები აღმოჩნდა [აფაქიძე ა., აგრბა ზ., 1977, გვ. 19-27]. ალაჰაძის არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობის ისტორიის აღდგენა შესაძლებელი გახდა 1985-86 წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად [Хрушкова Л., 1990, с. 45-50]. გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის სამი ეკლესია. [1]1 ეკლესია დიდი სამნავიანი ბაზილიკაა. მისი გარეთა ზომებია: 50X28 მ. ცენტრალური აფსიდა შვიდწახნაგოვანია, გვერდითები კი ნახევარწრიული. დასავლეთით მოთავსებულია ნართექსი, რომლის სიგანე მხოლოდ ცენტრალური ნავის სიგანეს უდრის. გვერდითი ნავები ვიწროა. საყრდენ ფუნქციას ასრულებდა მასიური ბოძების 5 წყვილი (ტაბ. I,7). ბაზილიკის კედლები ნაგებია opus mixtum-ის ტექნიკით, გამონაკლისს წარმოადგენს აფსიდა, რომელიც თლილი კირქვით არის ნაგები (გარდა ცენტრალური აფსიდის ჩრდილოეთ ნაწილის ფრაგმენტისა, სადაც აგურის წყობაა გამოყენებული). მშენებლობისას გამოყენებულია თავისებური ელემენტი - კერამიკული ყუთები, რომელთაც შესაძლოა, ანტისეისმური

დანიშნულება ჰქონდათ. ალაჰაძის ბაზილიკას ელინისტური ტიპის ბაზილიკის ნიშნები ახასიათებს. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ნივნივისებური გადახურვა, ნართექსის არსებობა, შუა ნავის სიმაღლე გვერდითებთან შედარებით; ხმელთაშუაზღვის ელინისტური ბაზილიკებისაგან ალაჰაძის ბაზილიკა განსხვავდება მასიური ბოძების არსებობით (ნაცვლად კოლონებისა), რომლებიც თაღებს უკავშირდება და არა არქიტრავს [Хрушкова Л., 1990, с. 45-50].

Opus mixtum-ის წყობით ალაჰაძის ბაზილიკა ანალოგებს პოულობს დასავლეთ საქართველოს ამავე პერიოდის ძეგლებთან - პიტიუნტი, ანაკოფია, გიენოსი, არქეოპოლისი, პეტრა, ვაშნარი. ეს წყობა, საერთოდ, დამახასიათებელია შავიზღვისპირეთის ელინისტური ბაზილიკებისათვის [Леквинадзе В., 1973, с. 177]. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში უმთავრესად გამოიყენება ბოძები, და არა კოლონები [Леквинадзе В., 1970, с. 168; Закарая П., 1983, с. 8]. აგურისა და კვადრების შერეული წყობა და თაღებში მხოლოდ აგურის გამოყენება, ალაჰაძის ბაზილიკას აკავშირებს მცირე აზიის გვიანანტიკურ არქიტექტურულ ტრადიციებთან. მასიური ბოძები, მძლავრი კედლები (დასავლეთის კედელი 1,8 მეტრს აღწევს სიგანეში), ნართექსის ფორმა, კედლის წყობაში კერამიკული ყუთების გამოყენება ამ ძეგლის ინდივიდუალურ ხასიათზე მიუთითებს. ძეგლი VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Хрушкова Л., 1990, с. 45-50; Хрушкова Л., 1985, с. 66].

ალაჰაძის №2 ეკლესია №1 ეკლესიის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოიშვა. №2 ეკლესიამ დაიკავა №1 ეკლესიის მხოლოდ

ცენტრალური ნავი. სწორედ ეს ეკლესია აღმოჩნდა 1970-1971 წწ. გათხრების შედეგად. ეს ეკლესიაც სამნავიანი ბაზილიკაა, ერთი აფსიდით (ტაბ. I,7), უორნამენტო ფასადით და ორფერდა გადახურვით. მისი დათარიღება შეიძლება მიახლოებით VIII-IX სს-ით. მან უფრო ხანგრძლივად იარსება, ვიდრე პირველმა ბაზილიკამ. ეს კამაროვანი ბაზილიკა ნართექსის გარეშე გამოხატავს ბაზილიკური ფორმის ევოლუციის პროცესს, ბაზილიკაში "ელინისტური" ნიშან-თვისებები ადგილს უთმობენ "აღმოსავლურს" [Хрушкова Л., 1990, с. 45-50].

ალაჰაძის №3 ეკლესია აიგო მაშინ, როცა №2 ეკლესია ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა. იგი განეკუთვნება ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის ტიპს, ოთხი საყრდენით. ნაგებობის გარეთა ზომებია: 20,7X11,6 მ. აღმოსავლეთ ნაწილში გამართულია სამაფსიდიანი სკურთხეველი. აფსიდები გარედან ნახევარწრიული ფორმისაა, შიგნიდან კი ნალისებური. სამივე აფსიდას ჰქონდა ბემა. ეკლესია ნაგებია თლილი კირქვისაგან, თაღებში გამოყენებულია აგური. აქაც გვხვდება კერამიკული ყუთები, რომლის შესახებ ჯერ კიდევ პ. უვაროვა აღნიშნავდა [Уварова П., 1894, გვ. 11], მაგრამ ისინი უფრო უხეშადაა შესრულებული, ვიდრე №1 ეკლესიაში აღმოჩენილი ყუთები. დეკორატიული დეტალებიდან შემორჩა მხოლოდ ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. ეკლესია შეიძლება დათარიღდეს X ს-ით. იგი აფხაზეთის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ჯგუფს განეკუთვნება (ბზიფი, ლიხნი, ანაკოფია, მოქვი, ბიჭვინთა). განსაკუთრებით უახლოვდება ლიხნის ეკლესიას [Хрушкова Л., 1990, с. 45-50].

ალაჰაძის არქიტექტურულ კომპლექსში კარგად აისახა აფხაზეთის საკულტო ხუროთმოძღვრების ევოლუციის ძირითადი ხაზები: ელინისტური ტიპის ბაზილიკიდან ვითარდება კამაროვანი ბაზილიკა, აქედან კი - ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც შემდგომში წამყვან და გაბატონებულ ტიპად იქცა.

კიდევ ერთი, ადრე შეუსწავლელი, ქრისტიანული ტაძარი გაითხარა 1995 წელს ბიჭვინთის მახლობლად სოფ. ლიძავაში ზღვიდან 200 მ დაშორებით. ტაძრის კედლები ერთიდან სამ მეტრამდეა შემორჩენილი. გეგმა სრულად არ იკითხება. ტაძრის შიგნით გაითხარა რამდენიმე სამარხი, აქვე აღმოჩნდა ერთი რკინის და ერთიც ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, არქიტექტურული დეტალები, ფილაქვა ჯვრის გამოსახულებით. გამთხრელის მიერ ტაძარი IV-V სს-ით თარიღდება [Барцыц Р., 2003, გვ. 223-227].

ბიჭვინთის ნაქალაქარსა და ბიჭვინთის "ქვეყანაში" გამოვლენილი ქრისტიანული ტაძრების სიმრავლე, რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე ქრისტიანული თემის გავლენის ზრდის და გარკვეული დემოგრაფიული აღმავლობის მანიშნებელია.

## § 2. სებასტოპოლი – ცხუმი

სოხუმის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა 50-იანი წლებიდან დაიწყო და შეუნელებელი ინტერესით გრძელდება დღესაც. 1959 წელს ლ. სოლოვიოვისა და ლ. შერვაშიძის მიერ

სოხუმის ციხის, ანუ კასტელუმის გათხრების დროს მნიშვნელოვან სხვა ნაგებობებთან ერთად №1 კოშკთან აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კედლის მოზაიკის კენჭები. გამთხრელებმა ისინი გარეგნული ფორმით წრომის მოზაიკას (VII ს.) მიამსგავსეს და აქ ეკლესიის არსებობა ივარაუდეს, აქვე გაითხარა რამდენიმე ქრისტიანული სამარხიც [Шервашидзе Л., Соловьев Л., 1960, с. 175]. მკვლევართა ვარაუდი, სოხუმში ადრექრისტიანული ტაძრის არსებობის შესახებ, დადასტურდა მოგვიანებით, 1987-1990 წლებში სოხუმის ე.წ. "თურქული ციხის" ტერიტორიაზე მ. გუნბას ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს, როცა აქ არქიტექტურული ნაგებობები (სამეურნეო, საცხოვრებელი, აბანო) და, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო, ეკლესიის ნაშთი გამოვლინდა [Гунба М., 1987; Гунба М., 1990][1]. გათხრების მთელ ტერიტორიაზე ორი კულტურული ფენა გამოიკვეთა. პირველი, ანუ ზედა ფენა – განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები, რომელიც ძირითადად კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი; და მეორე, ანუ ქვედა ფენა – ადრებიზანტიური პერიოდი (VI ს-ის ბოლო VII ს-ის დასაწყისი); რაც შეეხება VIII-IX სს. – აქ ქრონოლოგიური წყვეტილია.

ეკლესიის გეგმა სრულად არ იკითხება. ესაა სამნავიანი ეკლესია ხუთწახნაგოვანი აფსიდით, რომელიც რიყის ქვითაა ამოყვანილი კირხსნარზე, შემორჩენილია 35-40 სმ სიმაღლეზე. ნავები ერთმანეთისაგან სვეტების სამი რიგითაა გამოყოფილი.

---

[1] ვსარგებლობ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დოკუმენტაციის და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული მ. გუნბას გამოუქვეყნებელი საველე ანგარიშებით.

აფსიდის ირგვლივ ოთხკუთხა ბოძებია გამართული, ისინი აგურითა და ქვითაა ნაგები კირხსნარზე. სულ 8 ბოძია გამოვლენილი, რომელიც 45-50 სმ სიმაღლეზეა შემორჩენილი, ყველა მათგანს შიდა მხრიდან რკალისებური ფორმა აქვს. ეს ბოძები აფსიდასთან მიმართებაში ასიმეტრიულადაა განლაგებული [Гунба М., 1990, с. 4-5]. მოპირკეთებაში გამოყენებულია opus sectile-ის წყობა, პროკონესული მარმარილოს პატარა ფილებისა და აგურების მონაცვლეობით [Khrushkova L., 2005]. საყურადღებოა, რომ ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტი რომაული ლეგიონის დამღით XV Legio Apollinaris [Khrushkova L., 2005]. ანალოგიური დამღიანი (LEG XV) კერამიკული ფილები ცნობილია ბიჭვინთის კასტელუმიდან [თოდუა თ., 2003, გვ. 27]. ლ. ხრუშკოვას აზრით, ეკლესია V ს-ის პირველ ნახევრში აიგო, იუსტინიანეს დროისათვის კი უკვე განადგურებული ჩანს [Khrushkova L., 2005]. თუმცა ცნობილია, რომ V საუკუნე, მაგალითად ბიჭვინთაში არქეოლოგიურად სუსტადაა წარმოდგენილი, ცხოვრება აქ ჩამკვდარია ჰუნთა დამარბეველი თავდასხმების გამო, რომელიც სავარაუდოდ სებასტოპოლისსაც უნდა შეხებოდა. შესაბამისად ეკლესიის მშენებლობას არა V ს-ში, არამედ VI ს-ში უნდა ჰქონოდა ადგილი, მით უფრო, რომ ცნობილია იუსტინიანეს მიერ სებასტოპოლისში აღმშენებლობითი სამუშაოების ჩატარების შესახებ [გეორგიკა, 1962, გვ. 222].

საინტერესოა, რომ 1988 წელს ეკლესიის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩნდა საფლავის ქვა ბერძნული წარწერით, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: “აქ

განისვენებს ჯარისკაცი-ლეგიონერი ორესტი, რომლის მოსაგონრადაც აღვმართეთ ეს ეკლესია”. მოხსენება ამ საფლავის ქვისა და წარწერის შესახებ გაკეთდა ლ. ხრუშკოვას მიერ ბიზანტინისტთა XVIII საერთაშორისო კონგრესსზე სანქტ-პეტერბურგში 1995 წელს [Габелия А., Вертоградова В., 2003, с. 218-222].

ეკლესიის სიახლოვეს, ერთ რიგზე 3 სამარხი გაითხარა, როგორც ჩანს ქრისტიანული. სამარხები კირხსნარითაა ამოყვანილი და ბრტყელი აგურით გადახურული. სამივე სამარხი უინვენტაროა. მათ პარალელურად, კიდევ ერთი, მეოთხე სამარხი გაითხარა, ასევე უინვენტარო, რომლის იატაკი აგურითაა მოგებული, კედლები კი კირხსნარითა და ბრტყელი აგურით ამოყვანილი. სამარხი თავთან რამდენადმე ფართეა, ბოლოსკენ კი ვიწროვდება. მისი ზომებია: სიგრძე 1,9 მ, სიგანე თავთან 0,60 მ, სიგანე ბოლოში 0,35 მ. სამარხი IV-V სს-ის ფენაშია ჩაჭრილი. გამთხრელის აზრით, სამარხები უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე თავად ეკლესია. თანმხლები მასალის არარსებობის პირობებში, და მხოლოდ სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სამარხი V ს-ის II ნახევრითაა დათარიღებული [Гунба М., 1990, с. 4-5]. მსგავსი ფორმის სამარხები, აგურით ნაგები, იგივე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩვენთვის ცნობილია ოჩამჩირიდან, ბიჭვინთიდან და განთიადიდან. ეს სამარხებიც გამთხრელთა მიერ VI ს-ითაა დათარიღებული.

80-იან წლებში სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილია საინტერესო არქეოლოგიური

მასალა, ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული კერამიკული ნაწარმი. ისინი ძირითადად გვიანანტიკური ხანის ნგრევის ფენაშია აღმოჩენილი, ესაა ამფორის ფრაგმენტები ბერძნული წარწერით, რომელსაც წინ ქრიზმა უსწრებს; კერამიკული ხუფის ფრაგმენტი, ასევე ბერძნული წარწერით ჯვართან ერთად; წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი ზედ ამოკვეთილი ასოებით XP [Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37]; ასევე წითელლაკინი ჯამის ფრაგმენტი ძირზე ჯვრის გამოსახულებით [Гунба М., 1987, с. 5. рис. 9], რომელიც ახლო ანალოგს პოულობს ბიჭვინთის წითელლაკიან ჯამებთან, ძირზე ჯვრის გამოსახულებით. ეს ფენა იუსტინიანეს დროინდელი ბრინჯაოს 544-545 წწ-ში მოჭრილი მონეტით თარიღდება (მონეტა განსაზღვრა ს. შამბამ). ამავე ნგრვის ფენაში აღმოჩნდა ანასტასიუს I (491-518 წწ.) და იუსტინიანე II (565-578 წწ.) კონსტანტინოპოლში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა, იუსტინიანე II და სოფიას (574-5 წწ.) მიერ თესალონიკეში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა და ერთიც კაბადოკიის კესარიში მოჭრილი მონეტა არა უგვიანეს III ს-სა [Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37].

სოხუმის ციხის ტერიტორიაზე, ადრეც აღმოჩენილა IV-VI საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერამიკის ნატეხები ქრისტიანული ჯვრებით [Воронов Ю., 1968, с. 52].

ცნობილია, რომ VI ს-ის ბოლოდან ეგრისს გამოეყო აბაზგია თავისი ეკლესიით, რომელიც VII ს-ის შუა ხანებში სებასტოპოლისის ავტოკეფალურ საეპისკოპოსოს წარმოადგენდა [გეორგიკა, 1962, გვ. 184-185]. ამ დროისათვის, დასავლეთ

საქართველოში არსებული ყველა საეკლესიო ცენტრი კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა.

პირველი ქრისტიანული ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში ბიჭვინთაში ჩნდება, რომელიც დღესდღეობით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უძველეს საეკლესიო ცენტრს წარმოსდგენს. მაგრამ, VI საუკუნის 40-იანი წლებიდან, ბიჭვინთა, როგორც ქრისტიანული ცენტრი, კარგავს თავის პირველობას. კერძოდ, 542 წლიდან, როცა ლაზთა მეფის თხოვნით, ირანელებმა ლაზიკაში ილაშქრეს, ხოლო რომაელებმა, იმის შიშით, რომ ირანელები ხელში ჩაიგდებდნენ ბიჭვინთასა და სებასტოპოლისს, თავად დაწვეს და დაანგრიეს ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები [გეორგიკა 1962, გვ. 137]. ამის შემდეგ ბიჭვინთას ბიზანტიის საიმპერატორო კარი თითქმის აღარ აქცევს ყურადღებას და იუსტინიანეს მიერ ჩატარებული დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები მხოლოდ სებასტოპოლისს შეეხო. პროკოპი მოგვითხრობს: ...იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სებასტოპოლისი განაახლა ზღუდისა და სხვა სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა და გაამშვენიერა ის გზებითა და სხვა ნაგებობებით, რის გამოც ის სილამაზითა და სიდიდით ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ ქალაქად იქცა [გეორგიკა, 1962, გვ. 222].

როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს დაწინაურდა სებასტოპოლისი, როგორც საეკლესიო ცენტრი. თუ ბიჭვინთის ეპისკოპოსი ნიკეის საეკლესიო კრების დროს პოლემონის პონტოს ეპარქიის შემადგენლობაში შედის, შემდეგი დროის საეკლესიო

ნუსხათაგან უადრესში, რომელიც VII საუკუნით თარიღდება (VII ნოტიცია), ბიჭვინთის ეპისკოპოსი აღარაა მოხსენებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დამოკიდებულთა შორის დასახელებულია ჯერ სებასტოპოლის საეპისკოპოსო, შემდეგ კი ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო. ამიერიდან ბიზანტიის ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობს ხელს სებასტოპოლის დაწინაურებას. VI ს-ის 60-70-იან წლებში უნდა მომხდარიყო სებასტოპოლის ეპისკოპოსის არქიეპოსკოპოსის ხარისხში აყვანა, რადგან დიდი ტრადიციებისა და ავტორიტეტის მქონე ბიჭვინთის საეპისკოპოსოსათვის პირველობის წართმევა სხვანაირად გაძნელდებოდა და მეორეც, ბიზანტიას ირანთან გაჭიანურებული და წარუმატებელი ომის პირობებში ერთგული და ძლიერი მხარდამჭერი სჭირდებოდა ეკლესიის სახით. ამის მოგვარება კი საარქიეპისკოპოსოს შექმნით შეიძლებოდა, რადგან არქიეპისკოპოსებს, როგორც ეპარქიათა ხელმძღვანელებს, ემორჩილებოდნენ ეპისკოპოსები და ქორეპისკოპოსები [დიასამიძე ბ., 2001, გვ. 158].

სებასტოპოლის დაწინურება მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. IV ს-ის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილი “Tabula Peutingeriana”, რომელიც საგზაო რუკას წარმოადგენს, აღნიშნულია დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზები. ერთი ასეთი გზა ტრაპეზუნტიდან მოდის, ფაზისზე გაივლის და სებასტოპოლისში მთავრდება. მეორე გზა იმავე სებასტოპოლიდან იწყება და სომხეთის ქალაქ არტაშატისკენ მიემართება [ჯანაშია ს.,

1949, გვ. 47]. ს. ჯანაშიას აზრით, სებასტოპოლიდან უკვე მაშინ, ისე როგორც შემდეგში, გზა გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გზა კოდორის ხეობას მიჰყვებოდა და ყუბანის ზემოთა შენაკადების ხეობებში გადადიოდა ქლუხორის ზეკარით [ჯანაშია ს., 1949, გვ. 47]. ამ გზას "აფხაზეთის გზას" უწოდებდნენ. როგორც ჩანს ამ გზამ დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებით VI საუკუნიდან სებასტოპოლის დაწინაურებაში, რადგან ე.წ. "აბრეშუმის გზის" ჩრდილოეთით გადანაცვლების შემდეგ ვაჭრები ჩრდილოეთ კავკასიიდან შავ ზღვაზე მდ. კოდორით გადიოდნენ და აქ მთავარი ნავსადგური სებასტოპოლისი იყო.

დღეისათვის არქეოლოგიური გათხრები სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დასრულებული არაა. აქ გამოვლენილი ეკლესიის ნაშთი და ჩვენს მიერ მოყვანილი არქეოლოგიური მასალა კი, მხოლოდ დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ საეკლესიო ეკთეზისებში დაცული ცნობებისა.

## § 3. ოჩამჩირე – გიენოსი

ქ. სოხუმიდან 55 კმ სამხრეთით მდინარეებს აძიკვარასა და ღალიძგას შორის მდებარეობს ქ. ოჩამჩირე. ეს პუნქტი უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდანაა დასახლებული, რაც 1934-36 წლებში ლ. სოლოვიოვის, მ. ივაშჩენკოს და ბ. კუფტინის მიერ ქალაქის ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში, ზღვის სანაპიროზე, წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა [Куфтин Б., 1950, с. 250 и след.].

ოჩამჩირე, ანტიკური წყაროების გიენოსი, შავიზღვისპირეთის უძველეს ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. მას, როგორც “ელინურ ქალაქს” მოიხსენიებს ფსევდო სკილაქსი. მისი დაარსება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული ახალშენების გაჩენას უკავშირდება და უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 19-22]. ცხოვრება აქ გვიან ანტიკურ ხანაშიც გრძელდება. 30-იან წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი სამი საცხოვრებელი ბორცვიდან ერთი ნავსადგურის მშენებლობის დროს მთლიანად განადგურდა, ორი მათგანი კი დღეს პორტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

1981-85 წლებში ს. შამბას მიერ წარმოებული გათხრების შედეგად ნაქალაქარის აღმოსავლეთ ბორცვზე გამოვლინდა ადრებიზანტიური ხანის ეკლესიის ნაშთი, რომელიც 4,5 მ სიმძლავრის კულტურულ ფენაზეა დაშენებული. კულტურული ფენის უადრესი ჰორიზონტი ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 21-22]. გამოვლენილია სამი კუტურული ფენა. ზედა, პირველი ფენა შედგებოდა კირხსნარიანი აგურის სამშენებლო ნაგვისაგან, რომელიც ადრექრისტიანული ტაძრის ნგრევის შედეგად წარმოიშვა. დიდი ოდენობით დადასტურდა მოწითალო ფერის თიხისაგან დამზადებული კარგად გამომწვარი კვადრატული ფორმის აგურები, მათი ზომებია 25X30, 32X16, 31X20, 30X17, 40X24 სმ და ა.შ., სისქე დაახლოებით 5 სმ. აგურებზე ხშირია სხვადასხვა ასო-ნიშნების, ირიბი ჯვრების ან ოვალური წრეების გამოსახულება, რომელიც გამოწვამდეა თითით

დატანილი [Шамба С., 1988, გვ. 51]. ამავე ფენაში გამოვლინდა სარკმლის მინა [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 20].

მეორე ფენა მოყვითლო-მურა თიხნარს წარმოადგენს, რომელიც 60 სმ სიღრმეზე იწყება. ამ ფენაშია ჩაშვებული 1 მ სიმძლავრის ეკლესიის აფსიდის ფუნდამენტი, რომელიც რიყის ქვითა და კირხსნარითაა ნაგები. ამავე ფენის ზედა ჰორიზონტზე აღმოჩნდა დიდი ოდენობით მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ნ. სოროკინას მიერ IV-V სს-ით განისაზღვრა [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 20]. ამავე ფენის ზედა ჰორიზონტზე, აფსიდის სიახლოვეს, აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს კოლონის ფრაგმენტები; ოქროს ფირფიტა ჯვარი (33X24 მმ, წონა 2,15 გრ); წელშზნექილი ამფორისა და კრამიტის ფრაგმენტები, ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში აღმოჩენილი ცალების მსგავსი; ამავე ფენაში იყო ჩაშვებული 7 უინვენტარო დასავლეთით დამხრობილი სამარხი [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 20].

180 სმ სიღრმეზე იწყება მესამე ფენა, რომელიც ქალაქის ცხოვრების უძველესი ისტორიის ამსახველია. აღმოჩნდა ელინისტური ხანის ბრინჯაოს ბეჭედ-საბეჭდავი, სკვითური ტიპის ისრისპირი (ძვ.წ. V ს.), პითოსის ფრაგმენტები ზოომორფული გრაფიკული გამოსახულებით, ზოლიანი იონური კერამიკის ფრაგმენტები, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება, წვრილფიგურული ატიკური კილიკის 2 ფრაგმენტი, ძვ.წ. VI ს., შავფიგურული კილიკის ფრაგმენტები და ა.შ. [Шамба С., Шамба Г., 1985, გვ. 20].

ეკლესია ძალზედ ცუდადაა შემონახული. აფსიდის ნაწილში მხოლოდ ფუნდამენტია შემორჩენილი, მაგრამ გეგმის აღდგენა მაინც ხერხდება. ესაა დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით [Шамба С., Шамба Г., 1985, с. 91-92]. ნაოსი გართულებულია მინაშენებით. აღმოსავლეთიდან ეკვრის ორი, ერთმანეთისადმი სიმეტრიულად განლაგებული ეკვდერი. ჩრდილოეთ ეკვდერის ზომებია 4,80X5,60მ, სამხრეთის - 5,60X5,60მ. ნაოსს დასავლეთიდან ეკვრის ნართექსი, რომელიც ნაწილობრივ სამხრეთ ნაწილსაც მოიცავს. ეკლესიის გარეთა ზომებია 23X19,5 მ (ტაბ. IV,1). ნაოსის სიგრძისა და სიგანის შეფარდება (დაახ. 4 : 5) ნაოსის სიმოკლეზე მიუთითებს [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 126-128]. ეკვდერთა არსებობის გამო ეკლესიას გეგმაში ჯვრის ფორმა აქვს, რითაც იგი კაპადოკიის “croix libre” ტიპის ძეგლებს უახლოვდება (Buzluk, Çanlikilise, VI ს. დასაწყისი) [Restle M., 1979, Pl. 27, 32].

ეკლესია, ნართექსის გარდა, აგურითაა ნაგები, რომელიც ზოგან ოთხი რიგის სიმაღლეზე შემოინახა. ნართექსი ნაწილობრივ opus mixtum-ის ტექნიკითაა ნაგები. უკეთ შემოინახა მისი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კუთხე. ჩრდილოეთი კედელი 0,3 მ სიმაღლეზე რიყის ქვითაა ამოყვანილი, რომელსაც აგურის სარტყლები მოსდევს, იგი 0,33 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი. მსგავსი ტექნიკაა გამოყენებული ნართექსის აღმოსავლეთით კედლის სამხრეთ ნაწილში. ეკლესია შიგნიდან მობათქაშებული და მოხატული უნდა ყოფილიყო. მოპოვებულ ბათქაშებზე შემორჩენილია მოწითალო, მოვარდისფრო, ყვითელი და მწვანე

შეფერილობის საღებავების ნაკვალევი [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 129-131].

ნაოსის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა კანკელის ფრაგმენტები, რომელიც ადგილობრივი მუქი კირქვისგანაა დამზადებულია. დეკორი მეტად მარტივი და სადაა, იგი პროკონესული მარმარილოს ნაკეთობათა მინაბაძს წარმოადგენს. კანკელის ერთ-ერთ ბოძზე ორ წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარია გამოსახული [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 132].

ეკლესიის ყველა ნაწილში, აფსიდის გამოკლებით, 14 სამარხი გაითხარა, ერთი სამარხი გაითხარა ნართექსის ჩრდილოეთ ნაწილში (№1), 4 მათგანი ნაოსის დასავლეთ ნაწილში (№№ 8,11,12,13), 6 სამარხი (№№ 2-6) სამხრეთ ეკვდერში, 1 ჩრდილოეთ ეკვდერში (№10) და ერთიც ნაოსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (№9). ისინი ძირითადად აგურითაა ნაგები (ტაბ. IV,5). აგურების უმრავლესობაზე გამოწვამდე სხვადასხვა ნიშანია დატანილი. 6 სამარხი უინვენტაროა. სამარხთა უმრავლესობა დასავლეთითაა დამხრობილი, დაკრძალვის წესიც ქრისტიანულია. ყურადღებას იქცევს №7 სამარხი, რომელიც ძვირფას ოქროს ნივთებს შეიცავდა. სამარხი ქვითა და აგურით იყო ნაგები კირხსნარზე. სამარხის შიდა მხარე კი რიყის ქვით იყო მოპირკეთებული. გადახურული იყო აგურით კირხსნარზე. სამარხის სიგრძე - 2,57 მ, დასავლეთ ნაწილის სიგანე - 0,86 მ, ფეხებთან ვიწროვდება. სამარხი ქალის იყო, რომელსაც ოქროფენილი სამოსი ეცვა, 50 ნახევარსფერული ოქროს ბალთით

გაწყობილი; აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი ოთხფურცლიანი ვარდულის გამოსახულებით, ოქროს საყურეები საკიდებით [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 132-136; Шамба С., 1988, გვ. 54], რომელსაც ახლო ანალოგი მცხეთაში ეძებნება [მანჯგალაძე გ., 1985, სურ. 347, 348]. 8 გრუნტული სამარხი (№№15-22) გაითხარა აფსიდის გარეთაც [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 132-136]. ყველა ეს სამარხი ეკლესიას უკავშირდება, რადგან შენობის ფუნდამენტი არსად არ არღვევს და არ ფარავს სამარხს. აგურების ფორმაც ეკლესიის კედლის წყობაში და სამარხების წყობაში ერთნაირია, ისევე, როგორც ნიშნები აგურებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამარხები და ეკლესია თანადროულია. მსგავსი ტიპის თიხისფილა სამარხები ჩვენთვის ცნობილია მცხეთაში და მის მიდამოებში (სამთავროს სამაროვანი, კოდმანი, კარსნისხევი, არმაზისხევი), აღაიანსა და ხოვლეში, რომლებიც II ს-ის მეორე ნახევარი - IV სს-ებით თარიღდება [Бибилури Т., 1983, с. 23; ბიბილური თ., 1982, გვ. 136-143; მანჯგალაძე გ., 1985, გვ. 63-82, 108].

ეკლესიის დათარიღებისათვის გასათვალისწინებელია სამშენებლო ტექნიკის თავისებურება. შენობა მთლიანად აგურითაა ნაგები, ნართექსის ჩრდილოეთი კედლის გარდა, რომელიც opus mixtum-ის ტექნიკაა ამოყვანილი ორრიგიანი აგურის სარტყლებით, წყობაში აგურის სისქე არ აღემატება დუღაბის სისქეს. 30-იან წლებში ა.მ. შნაიდერის მიერ გამოითქვა აზრი, რომ ამ ტექნიკის თავისებურება შეიძლება გამოყენებულ იქნას ძეგლის უფრო ზუსტად დათარიღებისთვის. თავისებურება კი მდგომარეობს, opus mixtum-ის წყობაში აგურის რაოდენობასა და აგურის და დუღაბის

ურთიერთმიმართებაში. კონსტანტინოპოლის ძეგლების მაგალითზე, რომლებიც კარგადაა დათარიღებული, იუსტინიანესა და მისი შემდგომი პერიოდის ძეგლებზე, დუღაბის სისქე აგურის რიგებს შორის ნახევრად აღემატება აგურის სისქეს; V ს-ში დუღაბისა და აგურის სისქე თანაბარია. ანალოგიური მონაცემები დამახასიათებელია ცარიცინგრადის შენობებისთვის [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 145. იქვე ლიტერატურა]. ეს თეორია მოგვიანებით მეცნიერების ლემერლის და ბობჩევის მიერ იქნა განვითარებული [Бобчев С., 1952, გვ. 65], მაგრამ ამ თეორიის სისწორეში ეჭვი იქნა შეტანილი ვარდციხის არქეოლოგიური გათხრების დროს, სადაც აგურის სარტყელთა განლაგებაში თეორიით გათვალისწინებული კანონზომიერება დარღვეულია [ჯაფარიძე ვ., 1974, გვ. 89-90].

ძეგლის დათარიღებისათვის და მისი ფუნქციონირების დროის დადგენისათვის მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას: წელშეზნექილი ამფორის ფრაგმენტებს, მინას, ოქროს ფირფიტა ჯვარს, სამარხეულ ძეგლებსა და არქიტექტურულ დეტალებს.

არსებული მასალების შეჯერების საფუძველზე გიენოსის ეკლესია V ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისით თარიღდება [Шамба С., 1998, с. 41]. ეკელესია ფუნქციონირებდა VII ს-შიც. უფრო გვიანი პერიდის მასალა არაა აღმოჩენილი [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 145]. აფხაზეთის ადრექრისტიანულ ტაძრებს შორის გიენოსის ეკლესიას ზუსტი ანალოგი არ მოეპოვება, თუმცა ეკვდერების არსებობით, დასავლეთი ნაწილის რამდენადმე

გართულებული და აღმოსავლეთ ნაწილის არქაული ფორმებით იგი წებელდის №3 ეკლესიას უახლოვდება, რომელიც ასევე V-VI სს-ით თარიღდება [Хрушкова Л., 1982, с. 176].

## § 4. ანაკოფია - "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა"

ანაკოფია ანუ ფსირცხა, "მატიანე ქართლისაის" სიტყვით - "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა", მდებარეობს ახალი ათონის ტერიტორიაზე. VII-VIII სს-ში იგი აბაზგთა საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ჩვენს წყაროებში (იგივე "მატიანე ქართლისაიში") პირველად იხსენიება VIII ს-ის ამბებთან დაკავშირებით, როცა მისი აღება ამაოდ სცადა მურვან-ყრუმ. VIII ს-ის დასასრულიდან, როცა აფხაზთა სამეფო შეიქმნა, ანაკოფია მისი მთავარი ქალაქი გახდა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს არც მას შემდეგ, რაც სამეფოს დედაქალაქმა ქუთაისში გადაინაცვლა [ბერიძე ვ., 1995, გვ. 63].

ციხესიმაგრეს საკმაოდ დიდი ფართობი (7 ჰა) უჭირავს. ძირითადად ორი ნაწილისგან შედგება: ციტადელი და დიდი გალავანი. ძველი ანაკოფიის ციტადელი ივერიის მთის თხემზე მდებარეობს. იგი IV-V სს-ით თარიღდება [Леквинадзе В., 1968, с. 103]. ანაკოფიის ციტადელის შუაში ჩრდილოეთის კედელთან დგას ანაკოფიის ტაძარი, თავის დროზე იგი ა.ს. ბაშკიროვის მიერ იყო აღწერილი და გამოკვლეული. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნართექსის გარეშე. ა.ს. ბაშკიროვი აღნიშნულ ეკლესიას VIII ს-მდე დროით ათარიღებდა [Башкиров А., 1926, с. 55]. ტაძარს არაერთი

გადაკეთების კვალი ეტყობა. პირვანდელი სახით მხოლოდ საკურთხევლის ნაწილია შემორჩენილი (ნახევარწრიული აფსიდა). იგი კირქვისაგან არის ნაგები, რომელსაც ბრტყელი აგურის რიგები დაჰყვება [Трапш М., 1975, с. 96-98; Пачулия В., 1964, с. 24-25]. სწორედ ამ ეკლესიიდან მომდინარეობს ანაკოფიის რელიეფები, რომლებიც, როგორც ფილაქვის ფორმიდან ჩანს, სარკმლის ქუდის ფუნქციას ასრულებდა (ტაბ.XVI,1,2,3). ანაკოფიის ეს ადრექრისტიანული საკულტო ნაგებობები X-XI სს-ში ახალმა ეკლესიებმა შეცვალეს [Хрушкова Л., 1988, с. 21].

1957 წ. №3 კოშკის ჩრდილოეთით აღმოჩნდა კიდევ ერთი ეკლესია წინ წამოზიდული ნახევარწრიული აფსიდით (ტაბ. VII,5). ეკლესია დარბაზული ტიპისაა. კედლები ამოყვანილია ნაკლები გულმოდგინებით დამუშავებული კირქვითა და რიყის ქვის მინარევით. აფსიდის ჩრდილოეთი კედელი შემოინახა 2,15 მ სიმაღლეზე, დანარჩენი კედლები კი - 1 მ სიმაღლეზე. ტაძრის გარე ზომებია: სიგრძე - 9,20 მ, სიგანე - 4,50 მ. სარკმლის ნახევარწრიული თაღები აგურითაა ნაგები, რომლებიც ტაძრის შემდგომი გადაკეთების შედეგად მთლიანად დაიხურა. ტაძრის აფსიდამ კი რესტავრაციის შემდეგ ნახევარწრიულის ნაცვლად მრავალწახნაგა ფორმა მიიღო. ეკლესიის ახლო ანალოგია გუდავის ბაპტისტერიუმი (ტაბ. VII,6). ეკლესიის შიგნით გაითხარა სამი სამარხი, რომელიც გვიანი დროით (X-XI სს.) თარიღდება. ეკელესიის გარეთ კი გაითხარა გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეთა ხანის ოთხი სამარხი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ზარაკის მაგვარი საკიდებით, ბრინჯაოს

სარკით, სფერული ფორმის ბრინჯაოს და პასტის თვალა მძივებით, ბრინჯაოს სამაჯურით და რკინის დანებით. სამარხები დასავლეთისკენაა დამხრობილი, დაკრძალვის წესი ქრისტიანულია, მაგრამ წარმართული ელემენტებით, რაც მ. თრაფშის აზრით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ ადგილობრივი მოსახლეობა იყო დაკრძალული [Трапш М., 1961, с. 266-267; Трапш М., 1975, с. 100-105]. ტაძარში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა სხვადასხვადროინდელია. ესაა ძირითადად კერამიკის სხვადასხვა ფრაგმენტი, რომლებიც VII-XII სს-ებს განეკუთვნება, კანკელის პილასტრის ფრაგმენტები, კრამიტის ნამსხვრევები (სოლენები და კალიპტერები), მინის ჭურჭელი, X-XI სს-ის ბიზანტიური (კონსტანტინე VII-ს მმართველობის (913-959) დროინდელი) სპილენძის ანონიმური მონეტა და სხვა [Трапш М., 1975, с. 102].

ანაკოფიის ციხე-სიმაგრის კულტურული ფენებიდან, რომელიც სიმაგრის საერთო სტრატიგრაფიის გათვალისწინებით VII-XII სს-ით თარიღდება, გამოვლინდა საინტერესო კერამიკული მასალა. მათ შორისაა ტანდაღარული ამფორის ფრაგმენტი ზედ ამოტვიფრული მცირე ზომის ჯვრით წრეში [Трапш М., 1961, с. 275-276, рис. 11,5].

ანაკოფიის ციხეში გამოვლენილი ეკლესიები არქეოლოგიურ მონაცემებზე და ციტადელის თარიღზე დაყრდნობით ადრექრისტიანული ხანით უნდა დათარიღდეს, ამის სასარგებლოდ მეტყველებს შემორჩენილი ხუროთმოძღვრული დეტალებიც.

## § 5. გუდავა – ზიღანეოსი

გუდავა მდებარეობს ოჩამჩირიდან ათიოდ კილომეტრზე, მდ. ოქუმის შესართავთან მარცხენა სანაპიროზე, სოფ. გუდავას ტერიტორიაზე (გალის რ-ნი). ნ. ბერძენიშვილმა ეს პუნქტი ძველ წყაროებში მოხსენიებულ "გუდაყვასთან" გააიგივა. გუდაყვა კი ცნობილია როგორც "ზიღანეოსი". "მატიანე ქართლისაიში", იქ სადაც ლაპარაკია აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, ნათქვამია: "ბაგრატმა ააგო ბედიის ტაძარი და იქ გადმოიტანა ("მოცვალა") გადი-სი (ქ-ცა: გუდაყვისა) საეფისკოპოსო. "გუდაყვა" (გუდავა - ?) კი ერთი XI – XII სს-ში გადაწერილი სვინაქსარის ცნობით, არის ბერძნული ზიღანეოს. ბერძნული ტაქტიკონიდან ვიცით, რომ სწორედ ეს ქალაქი იყო საჯდომი ლაზიკის მიტროპოლიტის ერთ-ერთი ხელქვეშე ეპისკოპოზისა" [ბერძენიშვილი ნ., 1966, გვ. 299].

პირველად ზიღანეოსი იხსენიება III და IV სს-ის მიჯნის ამბების აღწერისას "ორენტის მარტვილობაში", რომლის მიხედვით, იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის ეპოქაში, ქრისტიანთა დევნის დროს ზიღანეოსში დაკრძალეს ორენტის ერთ-ერთი თანამოღვაწე – კირიაკი. IV-V სს. მიჯნაზე Notitia dignitatum-ის მიხედვით გუდავაში დგას მუდმივი რომაული გარნიზონი – ვალენტის II კოჰორტა [ზაქარაია პ., ლექვინძე ვ., 1971, გვ. 101]. VII-IX სს. ბიზანტიის საეკლესიო წყაროები არაერთხელ მოიხსენიებენ ზიღანეოსში, დასავლეთ საქართველოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთს. დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული.

სანათლავს, როგორც წესი, აგებდნენ ეკლესიასთან. ეკლესია მისგან ჩრდილოეთით უნდა მდგარიყო. მაგრამ ეს ადგილი დღევანდელი მდინარის კალაპოტში ხვდება, მდ. ოქუმი კი ცნობილია თავისი "მოძრავი" კალაპოტით, რომელიც ინტენსიურად რეცხავს თავის მარცხენა სანაპიროს, ამიტომ საფიქრებელია რომ, ისევე როგორც ნაწილობრივ თვით სანათლავი, ეკლესიაც მდინარემ ჩამორეცხა და წაიღო [ზამთარაძე მ., 1979, გვ. 64-68].

არქეოლოგიური კამპანია გუდავაში 1968-72 წლებში ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. შედეგად გამოვლინდა მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევები ნახევარწრიული შვერილი აფსიდიდ (ტაბ. VII,5). ნაგებობის ზომებია 10,6 X 7 მ. იგი ბაპტისტერიუმად განისაზღვრა აფსიდის აუზისებური ფორმის გამო. ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ჯვრის გამოსახულებიანი ანტეფიქსები, რომლებიც ანალოგების (მსიგხუას ტაძრის ანტეფიქსები) მიხედვით თარიღდება არა უგვიანეს X საუკუნისა. 1972 წელს სანათლავის ძირში გამოვლინდა ადრებიზანტიური ხანის პროკონესული მარმარილოს ხუროთმოძღვრული დეტალები, რაც მკვლევარებს აფიქრებინებს მის არსებობაზე მთელი ადრე შუა საუკუნეების მანძილზე X ს-ის ჩათვლით. შიგ სანათლავში აღმოჩნდა აგრეთვე საძვალე და დაზიანებული ორმოსამარხი [ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., 1974, გვ. 140].

ბაპტისტერიუმის ჩრდილო–დასავლეთით 50-100 მ მანძილზე 1969 წლის გათხრების შედეგად გამოვლინდა დიდძალი

არქეოლოგიური მასალა, რომელთაგან ყველაზე დამახასიათებელია რომაული წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ადგილობრივი გვიანანტიკური ყავისფერკეციანი ამფორები (IV-V სს.), ყვითელ- და წითელკეციანი იმპორტული (მცირე აზიური) ამფორები, "ხალიანი მინის" ფრაგმენტები (IV ს.), IV ს-ის 16 სპილენძის მონეტა კონსტანტინე დიდისა და ლიცინიუსის სახელზე მოჭრილი [ზაქარაია პ., ლექვინაძე ვ., 1974, გვ. 141-146]. აღმოჩენილ მონეტებზე დაყრდნობით გუდავის ბაპტისტერიუმი ზოგიერთი მკვლევარის მიერ IV ს-ითაა დათარიღებული [ხვისტანი რ., 1998, გვ. 59-64; ხვისტანი რ., 2005, გვ. 64]. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV - V სს. დათარიღდეს.

## § 6. განთიადი

განთიადის, იგივე ცანდრიფშის ბაზილიკა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე სოფ. განთიადში, ქ. გაგრიდან 14 კმ ჩრდილო-დასავლეთით. ძეგლი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, სამი წინ გამოზიდული აფსიდით (ტაბ. V,1). ნაგებობას თავდაპირველად ნართექსიც ჰქონია, გათხრებით დადგინდა პატარა პორტიკის არსებობაც. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია, კარგად შემორჩა მხოლოდ ცენტრალური აფსიდა კონქით და ბემა კამარით. ბაზილიკის კედლები ნაგებია საშუალო ზომის სწორი ფორმის კვადრებით (საშუალოდ 30X20-15სმ), რომელთა ზედაპირი ნაკლები გულმოდგინებითაა გამოთლილი. სწორედ ასეთი კვადრებითაა ნაგები დასავლეთ საქართველოს ადრექრისტიანული ბაზილიკები

(ნოქალაქევი, ვაშნარი, სეფიეთი, ციხისძირი) ისე, როგორც ამ რეგიონში, ამავე დროს აგებული თითქმის ყველა საფორტიფიკაციო ნაგებობა [Леквинадзе В., 1961, с. 177].

ვ.ლექვინაძის აზრით, განთიადის ბაზილიკას თავდაპირველად ხის გადახურვა და ორსართულიანი გვერდითი ნავები ჰქონდა [Леквинадзе В., 1970, с. 166]. მას როგორც ხით გადახურულ ძეგლს პარალელები ეძებნება თრაკიის ადრექრისტიანულ ბაზილიკებთან, სადაც სახურავად აგრეთვე ხეა გამოყენებული. თრაკიის ეს ბაზილიკები ზოგადად IV-VI სს-ით თარიღდება. მათი დიდი ნაწილი კი VI ს-ის შუა წლებს განეკუთვნება და იუსტინიანე დიდის (527-565 წწ.) აქტიურ ქრისტიანიზაციას უკავშირდება [Madjarov M., 1991].

განთიადის ბაზილიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ნაგებობის სიმოკლე, რაც შუა ნავის ცენტრში ახალი საკულტო ცენტრის გაჩენაზე მიუთითებს. ეს თავისებურება უფრო ქრისტიანული აღმოსავლეთის კამაროვანი ბაზილიკებისთვისაა დამახასიათებელი. ბაზილიკის ნავების სიგანე აღემატება ნავების სიგრძეს. ასეთი შემოკლება ცნობილია ყირიმიდან, ესაა პამპუკ-კაიას ბაზილიკა და ბაზილიკა სეფიეთში, რომელიც ყველაზე ახლო პარალელს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან [Леквинадзе В., 1970, с. 170].

1980 წელს არქიტექტორ-რესტავრატორის ნ. ზაზუნიშვილის მიერ განთიადის ბაზილიკის კამარის რესტავრირების დროს აღმოჩნდა კირხსნარით შედუღაბებული ამფორები (ტაბ. V,4,5,6). ეს მეთოდი ტრადიციაულია რომაულ-ბიზანტიური

არქიტექტურისთვის და იგი ძირითადად კამარის კონსტრუქციის შემსუბუქების [Хрушкова Л., 1985, с. 30] და ხმის გაძლიერების მიზნით გამოიყენება [Стражев В., 1925, с. 134]. ზემის კამარაში ამფორები 2-3 ფენას ჰქმნიდა, კონქაში - ერთ ფენას. ამფორები უსისტემოდ იყო განლაგებული. რამდენიმე ეგზემპლარი სრულადაა შემორჩილი, დანარჩენები კი ჩალეწილია. ზოგიერთი მათგანი ძველთაგანვე დაუმსხვრევიათ. მათი რიცხვი ორ ათეულს აღემატება [Хрушкова Л., 1985, с. 30].

ჭარბობს ძირწვეტიანი წელშეზნექილი ამფორა 0,70-0,75 მ სიმაღლის, დაბალი ყელით, მოწითალო-მოყავისფრო კეცით, თანაბარი გამოწვით [Хрушкова Л., 1985, с. 30] (ტაბ. V,4). ამ ტიპის ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი მთელს დასავლეთ საქართველოში, და არა მხოლოდ. მათ უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით; მეორე ტიპის ამფორა ორი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი, ესაა მრგვალძირიანი, სფერულმუცლიანი, ტანდაღარული ამფორა, 0, 52 მ სიმაღლის ფართე და მოკლე კორპუსით და მასიური ყურებით, კეცი ღიაყავისფერია [Хрушкова Л., 1985, с. 30] (ტაბ. V,5). ამფორის ეს სახეობა საკმაოდ გავრცელებულ კერამიკულ ტარას წარმოადგენდა იმდროინდელ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთში; მესამე ტიპი ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი, ესაა ფართოძირიანი ამფორა, ოვალური კორპუსით, დაბალი ყელით, დუგმისებრი ყურით [Хрушкова Л., 1985, с. 30] (ტაბ. V,6).

საინტერესოა, რომ ლ. შერვაშიძის მიერ დრანდის ტაძრის კამარებში, ასევე, აღმოჩნდა ამფორები, რომელიც, ალბათ, იგივე

კონსტრუქციული მიზნით იყო გამოყენებული, როგორც განთიადში. დრანდაში წარმოდგენილია შვიდი ტიპის ამფორა, მათ შორისაა ცანდრიფშის ამფორათა ტიპებიც. დრანდის ამფორები მ. ხოტელაშვილისა და ა. იაკობსონის მიერ იქნა შესწავლილი, მათი თარიღი VI ს-ის I ნახევრით განისაზღვრა [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 193-200]. განთიადის ამფორებიც ზოგადად VI ს-ით თარიღდება, არა მხოლოდ ტიპოლოგიური მსგავსების, არამედ თიხის რაგვარობის მიხედვითაც [Хрушкова Л., 1985, с. 31]. აღნიშნულ ამფორებს უფრო დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ, დრანდის ამფორებზე მსჯელობის დროს.

უშუალოდ ბაზილიკაში 15 სამარხია გათხრილი. ისინი უსისტემოდაა განლაგებული 0,7-1,25 მ სიღრმეზე იატაკის დონიდან. ყველა სამარხი დასავლეთითაა დამხრობილი. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი შევიწროებულია. ეს სამარხები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს. პირველ ტიპს წარმოადგენენ წვრილი ქვით, კირხსნარით, კრამიტითა და აგურით ნაგები სამარხები, რომელიც ქვის ფილებით იყო გადახურული. სამარხში თხელი და კარგად გამომწვარი აგურია გამოყენებული [Хрушкова Л., 1985, с. 37-38]. [1]15 სამარხი შიგნიდან კირხსნარით იყო მოპირკეთებული, მსგავსად მოწყობილი სამარხი გაითხარა შაპკის ციხეში [Бгажба О., 1985, с. 464].

სამარხთა მეორე ტიპი მხოლოდ ქვითაა ნაგები, არცერთ მათგანს ძირი არა აქვს. სამარხთა ორივე ტიპი, როგორც ჩანს, სინქრონულია, ამაზე ინვენტარიც მიუთითებს. სამარხეული ინვენტარი ძირითადად მინის ჭურჭლითაა წარმოდგენილი; იგი

თავისებური ფორმით გამოირჩევა, ესაა მაღალი, ვიწრო, ცილინდრული ფორმის ცისფერი მინის სასმისი, მსუბუქად შეზნექილი ძირითა და გადაშლილი პირით. მსგავსი ფორმის სასმისი, აფხაზეთის სამარხებიდან, რომელიც ასე მდიდარია მინის ნაწარმით, უცნობია. ხრუშკოვას აზრით, ანალოგები მას აფხაზეთის საზღვრებს გარეთაც არ მოეპოვება. იგი ვარაუდობს ამ მინის ადგილობრივ წარმოებას. ქიმიურმა ანალიზმა უჩვენა, რომ განთიადის მინის სასმისების შედგენილობა უახლოვდება ანტიკურ (ეგვიპტურ) რეცეპტს: Si-Na (K)-Ca [Хрушкова Л., 1985, с. 36-41].

განთიადის სამარხების უახლოეს ანალოგს წარმოადგენს ბიჭვინთაში [Лорткипанидзе Г., Агрба З., 1982, с. 28] და ოჩამჩირის ეკლესიაში გათხრილი სამარხები, რომლებიც აგურითაა ნაგები კირხსნარზე [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987, с. 132-137]. მსგავსი ტიპის თიხისფილა სამარხები ცნობილია მცხეთაში და მის მიდამოებში (სამთავროს სამაროვანი, კოდმანი, კარსნისხევი, არმაზისხევი), აღაიანსა და ხოვლეში, რომლებიც II ს-ის მეორე ნახევარი - IV სს-ებით თარიღდება [Бибилури Т., 1983, с. 23; ბიბილური თ., 1982, გვ. 136-143; მანჯგალაძე გ., 1985, გვ. 63-82, 108].

ტაძარში გათხრების შედეგად გამოვლინდა დეკორატიული მარმარილოს (სავარაუდოდ პროკონესული) 70 ფრაგმენტი. პროკონესის კარიერები და სახელოსნოები კონსტანტინოპოლისა და სხვა დიდი ქალაქების ტაძრებისთვის აწარმოებდა დიდი რაოდენობით კაპიტელებს, კოლონებსა და ორნამენტირებულ ფილებს. საზღვაო გზით ეს პროდუქცია ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ბევრ ქვეყანაში გაჰქონდათ. აღმოჩენილია იგი

აფხაზეთშიც, უმთავრესად ბიჭვინთა - ადლერის ზღვისპირა ზოლში [Хрушкова Л., 1979, გვ. 134]. განთიადის მარმარილოს დეტალების მნიშვნელოვანი ნაწილი სალიტურგიო მოწყობილობას - კანკელსა და ამბიონს განეკუთვნება [Хрушкова Л., 1985, с. 41-43]. მარმარილოს ერთ-ერთ ფრაგმენტზე ბერძნული წარწერა შემორჩა, იგი ცენტრალურ ნავში [1]6 სამარხთან აღმოჩნდა. მისი მაქსიმალური სიგრძეა 28 სმ, ჭრილი 13X9 სმ. მარმარილოს ერთი ბოლო ჩამოტეხილია. წარწერა ლამაზადაა შესრულებული, შემორჩენილა 5 ასო-ნიშანი CΓIAC. ლ. ხრუშკოვა ამ წარწერას ეპიტაფიად მიიჩნევს და აღადგენს როგორც ABACΓIAC [Хрушкова Л., 1982, с. 43].

ბაზილიკაში აღმოჩენილი, საეკლესიო ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს კოვზი, ზიარებისათვის აუცილებელი საგანი, ჯვარი [Хрушкова Л., 1982, с. 38] და კერამიკული საკმევლის ფრაგმენტი [Хрушкова Л., 1985, с. 49-50].

აფსიდის ჩრდილოეთ ნავში გათხრების შედეგად გამოვლინდა სანათლავი ემბაზი, რომელიც იატაკის დონიდან ნახევარი მეტრით ქვემოთ იყო განლაგებული. რეზერვუარი წვრილი ქვებით იყო ნაგები. ემბაზს სამფურცელას ფორმა ჰქონდა. მსგავსი ფორმის ემბაზი არც თუ ისე ფართოდაა გავრცელებული. ცნობილია იგი პალესტინაში (ბეთლემის ბაზილიკა, IV ს.) და კონსტანტინოპოლში (VI ს.) [Хрушкова Л., 1985, с. 18]. საკურთხევლის მსგავსად მოწყობა, სანათლავი ემბაზის აფსიდაში განლაგება, დამახასიათებელია სირიის ძეგლებისათვის. მსგავსი მეთოდი ცნობილია აფხაზეთში - გუდავის ბაპტისტერიუმი.

განთიადის ბაზილიკის ბევრი თავისებურება ძეგლის ადრეულ თარიღზე მიუთითებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილის არქაული ნიშნები. დაბალი არდაბაგი, მსგავსად სირიისა და მცირე აზიის ბაზილიკებისა, ამავე დროს აქ გამოყენებულია კონსტანტინოპოლური ტიპის ამბიონის დეტალები, რაც ამ რეგიონში, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის, ისე კონსტანტინოპოლის გავლენებზე მიუთითებს [Завадская И., 2001, გვ. 264]. სამი აფსიდის არსებობა, ცენტრალური აფსიდა ბემით, შემოკლებული ზომები - უფრო განვითარებული ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. არქეოლოგიური მასალები - სამარხთა ტიპები, არქიტექტურული დეკორატიული დეტალები, ამფორები და მინის ჭურჭელი (in situ) - VI ს-ით უნდა დათარიღდეს. ხრუშკოვა ბაზილიკას 542 წლამდე აგებულად მიიჩნევს, დროით, როდესაც ბიზანტიელები იძულებულნი შეიქნენ დროებით დაეტოვებინათ პიტიუნტი [Хрушкова Л., 1985, с. 26]. ეს თარიღი ეთანხმება ვ. ლექვინიძის მოსაზრებას, რომელიც განთიადის ბაზილიკის აგების თარიღს პროკოპი კესარიელის მონაცემების საფუძველზე, (იგულისხმება იუსტინიანეს მიერ აბაზგებისათვის ტაძრის აგებაზე) 527-542 წლებს შორის ათავსებს [Леквинадзе В., 1970, с. 173-174]. V-VI სს-ით განსაზღვრავს განთიადის ბაზილიკის თარიღს პ. ზაქარაია [Закарая П., 1983, с. 7].

## § 7. აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები

არქიტექტურული თემა "სამეკლესიანი ბაზილიკისა" უგუმბათო ტაძრის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ ტიპის შენობა თავისი გარეგანი ფორმებით სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, მაგრამ შიგნიდან, როგორც სივრცის ორგანიზებით, ისე კონსტრუქციული აზრით, იგი სრულიად განსხვავდება ბაზილიკისგან, რადგან სვეტების თუ საბჯენების ნაცვლად, რომელიც ბაზილიკის შიდა სივრცეს ნავებად ჰყოფს, აქ კედლები ჩნდება და იქმნება სამი დამოუკიდებელი, რამდენადმე წაგრძელებული, მეტნაკლები სიმაღლის სათავსო. შუა ჩვეულებრივ შესამჩნევად უფრო დიდი და მაღალია, ვიდრე გვერდის სათავსები. ერთმანეთთან ისინი საკარე ღიობით არიან დაკავშირებულნი. შენობათა ამ ტიპმა საინტერესო ევოლუცია განიცადა საქართველოში და განსაზღვრულ ხანაში მოგვცა მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები [გ. ჩუბინაშვილი, 1936, გვ. 65-66]. ბაზილიკის ეს ტიპი უცხო არ არის სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგრამ, როგორც გ. ჩუბინაშვილი განმარტავს, მხოლოდ ჩვენში მიიღეს ამ ტაძრებმა სახე განსაზღვრული დამოუკიდებელი ტიპისა. ამ სახის ძეგლები შემორჩენილია ქვემო ქართლში (ბოლნისი, ვანათი), მაგრამ მათი შემოქმედებითი განვითარების საფუძვლად მიჩნეულია კახეთი. აქ სამეკლესიანი ბაზილიკის ორ ათეულამდე ძეგლია შემონახული; მით უფრო ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ ტიპის ძეგლების არსებობა

აფხაზეთის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, შენობის ეს ტიპი ერთნაირად მოსაწონი და მისაღები უნდა ყოფილიყო ამერ-იმერეთის ყველა მკვიდრთათვის. ეს გარემოება ბუნებრივად და კანონზომიერად გამოაჩენს სამეკლესიანი ბაზილიკების თითქმის ერთდროულ აღმოცენებას ქართლში, კახეთსა და აფხაზეთში [დ. თუმანიშვილი, 1993, გვ. 177]. როგორც ლ. რჩეულიშვილი შენიშნავს, აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები საინტერესო "ვარიაციას" წარმოადგენენ ამ საერთოქართული თემისა.

აფხაზეთში ამ ტიპის ოთხი ძეგლია შემორჩენილი: ძველ გაგრაში, აბაანთის ციხეში (სოფ. ლიხნი), ქიაჩის მთაზე და ამბარაში, მიუსერის კონცხზე. მათგან უძველესია ძვ. გაგრის ეკლესია, რომელიც გაგრის ციხის კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ჯერ კიდევ 1833 წელს უნახავს, ჩაუხატავს და აღუწერია დიუბუა დე მონპერეს: ...აქ შემორჩა მხოლოდ ეკლესია, აშენებული ქვის ლოდებისაგან და გამაგრებული კამარებით, ისევე, როგორც კოშკები და კედლები. ეს ყველაზე არქაული, ყველაზე უბრალო ეკლესიაა, რომელიც კი შეიძლება ვნახოთ ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ეკლესიებს შორის. მხოლოდ ნავი კამარის ქვეშ, ნახევარწრიული საკურთხეველი აღმოსავლეთით, ეკვდერი დასავლეთით და ორი უხეში პორტიკი გვერდებზე. არ არის არავითარი მორთულობა [Дюбуа де Монперэ Ф., 1937, с. 95-96].

ეკლესიას საფუძვლიანი რემონტი XIX ს-ში ჩაუტარდა, მიუხედავად ამისა, მან ძირითადად შეინარჩუნა ძველი სახე. თავისი გარეთა ფორმებით ეკლესია სამნავიან ბაზილიკას ჰგავს -

ფასადზე მკაფიოდ არის გამოვლენილი ბაზილიკური სილუეტი: მაღალი ცენტრალური ნავი ორფერდა სახურავის ქვეშ, დაბალი, ცალი ფერდით გადახურული გვერდის ნავები. მაგრამ გარეთა ბაზილიკური სილუეტი რამდენადმე არ ეთანხმება ეკლესიის ინტერიერს - შიდა სივრცე კედლებითაა სამ ნაწილად დაყოფილი და გასასვლელებით დაკავშირებული. სამივე "ეკლესიას" ცალკე შესასვლელი აქვს. ჩრდილოეთი "ეკლესია" რამდენადმე მოკლეა, ვიდრე ორი დანარჩენი. კარების, აფსიდის, კონქის, კარების თაღების მოყვანილობაში შეინიშნება ერთგვარი გადახრა ნალისებური ფორმისაკენ, რაც ადრექრისტიანულ ხანაზე მიანიშნებს [დიდებულიძე მ., 1977, გვ. 16-26; დიდებულიძე მ., 1995, გვ. 70].

გაგრის ეკლესიის უნიკალურობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მან შემოგვინახა ქართული (და არამხოლოდ ქართული) ადრექრისტიანული რელიეფებისათვის ასე დამახასიათებელი მოტივი – წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად "ბოლნური ჯვრის" სახელითაა ცნობილი. აქ რელიეფური ჯვრის სამი გამოსახულება გვაქვს - სამხრეთ და დასავლეთ კარის ტიმპანებსა და დასავლეთ კედელზე.

დამათარიღებელი მნიშნელობა აქვს გაგრის ეკლესიის კედლის წყობის მიმართებას ციხის კომპლექსის ფენებთან. ციხის ზღუდის წყობაში იკითხება სამი განსხვავებული ტექნიკა. ეკლესიის და ციხის ზღუდის I ფენის წყობის ერთგვარი ხასიათი მათ თანადროულობაზე უნდა მიუთითებდეს [რჩეულიშვილი ლ.,

1994, გვ. 268-270]. რაც შეეხება ზღუდის II ფენას, ის XIX ს-ეს, ხოლო III ფენა გაგრაში ოლდენბურგელი პრინცის მოღვაწეობას (1901 წლიდან) უკავშირდება.

მკვლევართა უმრავლესობა ამ ძეგლს V-VI სს., უფრო VI ს-ით ათარიღებს (ლ.რჩეულიშვილი, მ.დიდებულიძე, დ.თუმანიშვილი, ლ.ხრუშკოვა). ძველი გაგრის ეკლესია კომპოზიციურ მსგავსებას ავლენს კახეთის ზოგირთ ძეგლთან, მაგალითად, ბოლნისხევის წმ. ევსტატეს ეკლესია გრემთან, ვაზისუბნის "სამკარიანი" ეკლესია. ეს ძეგლები გ. ჩუბინაშვილის მიერ VI საუკუნითაა დათარიღებული [Чубинашвили Г., 1959, с. 161, 159].

ძალზედ დაზიანებული სახითაა შემორჩენილი ეკლესია აბაანთის ციხეში. მდებარეობს სოფ. ლიხნში, დასახლება აჯიმჩიგრაში, მდ. ხიფსთას მარცხენა სანაპიროზე. ნაგებობის კომპოზიცია აქ უფრო რთულია, ვიდრე ძვ. გაგრის ეკლესიისა. დასავლეთით შენობას მთელ სიგრძეზე ეკვრის ნართექსი. ძეგლის თავისებურებას წარმოადგენს წინ გამოზიდული ხუთწახნაგოვანი შუა აფსიდა [Рчелишвили Л., 1988, с. 73]. ძეგლის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია აბაანთის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ტაძრის თანადროული სასარკმლე მინა, რომელიც ნ. უგრელიძემ VII-VIII სს-ით განსაზღვრა, არქიტექტურული თავისებურებითაც ძეგლი ამ დროით თარიღდება [Шервашидзе Л., 1979, с. 233].

ამბარისა და ქიაჩის ეკლესიები უფრო მასიურია, ვიდრე ორი წინამორბედი. ამბარის ეკლესია ქვარგვალითა და შირიმი ქვითაა

ნაგები. შუა “ეკლესია” აქ მკვეთრად უპირისპირდება გვერდით “ეკლესიებს”, იგი სიმაღლითა და სიგანით აღემატება ორ დანარჩენს. კამარა, რომელიც დღეს ჩამოქცეულია, ეყრდნობოდა თაღების პილასტრებს. რთულადაა მოწყობილი ეკლესიის სამხრეთი ფრთა, რომელიც ორად იყოფა და ორივე აღმოსავლეთით აფსიდით მთავრდება. დასავლეთით ეკლესიას მთელ სიგრძეზე ნართექსი ევრის, რომელიც მხოლოდ ცენტრალურ დარბაზს უკავშირდება სამი თაღოვანი გასასვლელით. ნართექსის შუა ნაწილზე კი პატრონიკეა გამართული [Рчеулишвили Л., 1988, с. 73-74]. ძეგლი სტილური მონაცემებით VII-VIII სს-ით თარიღდება [Рчеудишвили Л., 1978, с. 23].

ამ ტიპის ტაძრების ყველაზე გვიანდელ ნიმუშს ქიაჩის ტაძარი წარმოადგენს. იგი ნაკლული სახითაა შემორჩენილი, მაგრამ ძეგლის კომპოზიციის აღდგენა შესაძლებელია. გაურკვეველია მხოლოდ დასავლეთ ნაწილის გადაწყვეტა. უკეთაა შემონახული ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილი და შუა “ეკლესიის” სამხრეთ კედელი. ტაძრის დათარიღებისას გასათვალისწინებელია შუა “ეკლესიის” ორგანიზაცია - იგი ძლიერ წაგრძელებულია, რომლის ანალოგი ადრეულ ძეგლებში არ მოგვეპოვება. მსგავსება შეიმჩნევა “გარდამავალი პერიოდის” ძეგლებთან, მაგ., ნეძვის მონასტრის ეკლესია IX ს.; გარდა ამისა, დარბაზის კედლები დანაწევრებულია სამი წყვილი, მკვეთრად წინ წამოწეული, ორსაფეხურიანი პილასტრებით, რომლებიც ერთმანეთთან კედლის თაღებითაა დაკავშირებული. ეს ფორმა VIII-IX და X სს-ების პერიოდს უკავშირდება [Рчеулишвили Л., 1988, с. 75-76]. ქიაჩის

ტაძარი, ოდესღაც წმ. მთავარანგელოზთა, მთელს დასავლეთ საქართველოში ცნობილი სალოცავი ყოფილა [თუმანიშვილი დ., 1995, გვ. 68].

აფხაზეთის სამეკლესიან ბაზილიკებს კახეთისა და ქართლის ამავე ტიპის ძეგლებისაგან განსხვავებით გარკვეული თავისებურება ახასიათებს, მაგალითად, დასავლეთი ნაწილის დაგეგმარება; თუკი აღმოსავლურქართულ კომპოზიციებში აქ, როგორც წესი, ღიათაღებიანი სტოაა მოთავსებული, რომელიც ერთმანეთთან გვერდით „ეკლესიებს" აკავშირებს, მიუსერასა და აბაანთაში დასავლეთით ნართექსია მოთავსებული. მაგრამ, როგორც ლ. რჩეულიშვილი შენიშნავს, ეს ელემენტიც (ნართექსი) თვით ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც არაა უცნობი (მაგ. წრომი), ამიტომაც ნართექსი, არა იმდენად წმინდაბიზანტიურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც უფრო საერთოქრისტიანულად.

რათქმაუნდა, ამ ეკლესიების არსებობა აფხაზეთში არ შეიძლება ასახავდეს ქართლის პირდაპირ პოლიტიკურ ზემოქმედებას დასავლეთ საქართველოზე, მით უმეტეს, ცნობილია ბიზანტიის როლი იმდროისათვის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ქართლსა და ეგრისს შორის საეკლესიო-კულტურული ერთობის არსებობას VI-VII სს-ში (ს. ჯანაშია, ზ. ალექსიძე). ამ ერთობის რეალურობის ახსნას შეეცადა ზ. ალექსიძე სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის, "მოქცევაი ქართლისაი"-სა და "ქართლის ცხოვრების" მონაცემებზე დაყრდნობით. იოანე დრასხანაკერტელი წერს: "ამ მოსემ (სომეხთა კათალიკოსმა) ხელი

დაასხა წმინდა საკრებულოს უხუცესს კირიონს ქართლის სამწყსოს, გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსად”. ზ. ალექსიძე განმარტავს: თუ იოანე კათოლიკოსს სწორი წარმოდგენა აქვს ქრონოლოგიაზე, იგი 599 წელს უნდა გულისხმობდეს, ე.ი. X ს-ის სომეხი ისტორიკოსის მიხედვით, VI-VII სს-ების მიჯნაზე ქართლისა და ეგრისის ეკლესიები ერთი მწყემსმთავრის ხელქვეით გაერთიანებულა. ეს მწყემსმთავარია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების აქტიური მონაწილე, ცნობილი ქართველი მოღვაწე, კირიონ ქართლის კათალიკოსი [ალექსიძე ზ., 1968, გვ. 167-168].

ქართლისა და ეგრისის საეკლესიო-კულტურულ ერთიანობაზე მოსაზრება აქვს გამოთქმული ს. ჯანაშიას. მისი დაკვირვებით: “მალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით, VI ს. 70-იანი წლებიდან VII ს. 60-იან წლებამდე) ეგრისი და ქართლი ერთ საერთო საეკლესიო-რელიგიურ ფარვატერსა და ბიზანტიის ერთიანი პოლიტიკური ეგიდის ქვეშ ექცევიან. ისევე როგორც უფრო ადრე ირანი, ეხლა ბიზანტიის მთავრობაც ეცდებოდა გარკვეული ორგანიზაციული თანხმობა დაემყარებინა ადგილობრივ ეკლესიებს შორის. რა კონკრეტული სახით ხორციელდებოდა იგი ამჟამად გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ რაღაც გავლენა საეკლესიო-კულტურული, უნდა გავრცელებულიყო, სწორედ ამ დროს, ქართლიდან ეგრისში” [ჯანაშია ს., 1949, გვ. 122-123]. ს. ჯანაშია კიდევ უფრო აზუსტებს ამ ერთობის თარიღს: “ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა ასეთ ხანად მიგვეჩნია VII ს. I ნახევარი (იქნებ უფრო 30-იანი ან 50-იანი

წლები), როცა ზემოაღწერილი კავშირი მყარდება ქართლსა და ეგრისს შორის, თვით კონსტრუქცია-კი ჩაგვეთვალა უფრო საეკლესიო-კულტურულისა და საეკლესიო-ორგანიზაციული ერთობის ანარეკლად, ვიდრე პოლიტიკური მთლიანობის გამოხატულებად" [ჯანაშია ს., 1949, გვ. 124].

ამ საეკლესიო-კულტურული ერთიანობის ფაქტობრივ საილუსტრაციო მასალად შეიძლება, ალბად, მივიჩნიოთ არქიტექტურული თემა "სამეკლესიანი ბაზილიკებისა", რომელიც საერთოა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის. როგორც ვ. ბერიძე შენიშნავს, ამ ტიპის ეკლესიების არსებობა აფხაზეთში, ბუნებრივია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. იგი რეალური კულტურულ-ისტორიული ვითარების მაჩვენებელია [ბერიძე ვ., 1995, გვ. 65]. დ. თუმანიშვილის სამართლიანი დაკვირვებით კი, ამ ტიპის ეკლესიების არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე გვარწმუნებს, რომ მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აფხაზეთში ბიზანტიელთა უმწვერვალესი ძლიერების ხანაში ცოცხალი და მოქმედი ყოფილა ადგილობრივი საწყისი და იგი იმავე ბუნებისაა, რაც აღმოსავლეთ თუ სამხრეთ საქართველოში; ასე რომ, ამ ძეგლების მოწყვეტა ზოგად ქართული ნიადაგიდან ისტორიულად გაუმართლებელია.

## თავი III. მთისწინა და მთიანი აფხაზეთის ძეგლები

### § 1 აფსილთა ქვეყანა – წებელდა

ახ. წ. I ს-დან წერილობით წყაროებში სანიგებისა და ლაზების მეზობლად, მათ შორის მდებარე ტერიტორიაზე

აფსილებად წოდებული ტომი ჩნდება. პლინიუს უფროსი აფსილებს იხსენიებს მდ. ასტელეფოსის (კოდორი) და მდ. ხრისოროასის (კელასური) მახლობლად, ხოლო ფლავიუს არიანე ასახელებს მათ მეფეს ("ბასილევსს") იულიანეს, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ადრიანეს მამის, იმპერატორ ტრაიანესაგან მიუღია. პლინიუსის ჩვენებებიდან გამომდინარე, აფსილებს აღებულ ხანაში (ახ. წ. I-II სს.) უნდა სჭეროდათ მდ. კოდორის ხეობა (წებელდის მხარე). ჩრდილო-დასავლეთით მათი მიწა-წყალი ციხე-ქალაქ სებასტოპოლამდე აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი სვანთა ქვეყანამდე [ინაძე მ., 1992, გვ. 50]. მაგრამ პლინიუსის ცნობით, არ ჩანს, რომელი ტერიტორია ეჭირათ აფსილებს შავი ზღვის სანაპიროზე. თუ გავითვალისწინებთ ახ. წ. II ს-ის გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის ჩვენებას, ასევე მემნონის ცნობას, რომელშიც ჩრდილოეთ კოლხეთის ზღვისპირეთის მოსახლეობად მხოლოდ ორი ეთნიკური ერთობა - ლაზები და სანიგებია დასახელებული, მაშინ აფსილებს ამ ხანაში (ძვ. წ. I - ახ. წ. I სს.) სანაპირო ზოლის დიდი მონაკვეთი არ უნდა სჭეროდათ [ინაძე მ., 1992, გვ. 50-53].

ახ.წ. I ს-დან აფსილთა სამთავრო საკმაოდ დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულია, რაც თავისთავად გულისხმობს აფსილთა ეთნიკურ ერთობაში შესაბამისი სოციალური-ეკონომიკური პირობებისა და კულტურის განვითარების გარკვეული დონის არსებობას. ამას ადასტურებს აფსილთა პოლიტიკური ცენტრის – წებელდისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიც. მკვლევარნი შენიშნავენ,

რომ წებელდაში გამოვლენილი კულტურა აღმოცენდა ადგილობრივ ბაზაზე. იგი წარმოადგენს კოლხური კულტურის ტრადიციების შემდგომი განვითარების შედეგს, ავლენს უწყვეტ კავშირს კოლხური კულტურის ტრადიციელბთან, მაგრამ, ამავე დროს, მასში შეინიშნება მთელი რიგი თავისებურებანი [ინაძე მ., 1992, გვ. 169].

წებელდის კულტურის ქრონოლოგიური ჩარჩოები მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ II - V სს-ში თავსდება (მ. თრაფში, გ. შამბა); მკვლევართა მეორე ნაწილის მიხედვით კი II-VII სს. (ზ. კუფტინი, ა. ამბროზი, ი. ვორონოვი) [Воронов Ю., 1975, с. 16].

აფსილთა ქვეყანა თავისი  გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ადვილად უკავშირდებოდა ერთი მხრივ, კოლხეთის შიდა და ზღვისპირა რაიონებს, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიას, რის შედეგად კულტურულ და პოლიტიკურ სფეროში, ასევე ეთნიკური თვალსაზრისითაც შეინიშნება აფსილთა მჭიდრო ურთიერთობები როგორც მეზობლად მცხოვრებ ქართველ მოსახლეობასთან, ისე ჩრდილოკავკასიის ტომებთან. ყველაფერი ეს ზეგავლენას ახდენდა წებელდის კულტურის თავისებურებათა ჩამოყალიბებაზე, ასევე, აფსილთა ისტორიის შემდგომ მსვლელობაზე. მ. ინაძის აზრით, ქართული მოსახლეობის გარემოცვაში მოხვედრა (აქ იგულისხმება მეგრულ-ჭანური, სვანური და აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობაც) და მასთან ხანგრძლივი კონტაქტი უთუოდ ზეგავლენას ახდენდა აფსილთა ენასა და კულტურაზე. მათ მიწა-წყალზე დადასტურებულია არა

ერთი ქართული, მათ შორის სვანური ტოპონიმი, რაც აფსილთა ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის კიდევ ერთი მოწმობაა [ინაძე მ., 1992, გვ. 55].

პროკოპის გადმოცემით, "აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან" [გეორგიკა, 1965, გვ. 128, 162]. ახ. წ. VI ს-ის ამბების აღწერისას არაფერია ნათქვამი აფსილთა მთავარზე. ამასთან, ლაზთა მეფეს აფსილეთში თავისი მოხელეები (მაგისტროსი) ჰყავდა. აღნიშნული გარემოება ზოგიერ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ აფსილეთი VI ს-ში უშუალოდ იყო შესული ლაზეთის სამეფოს შემადგენლობაში [მელიქიშვილი გ., 1970, გვ. 546; ლომოური ნ., 1973, გვ. 166].

ისტორიული წებელდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას, სამხრეთით ესაზღვრებოდა ქედს (აპიანჩას, აგიშის, ჩიჟოუშის მთები), აღმოსავლეთით - მდ. კოდორს, დასავლეთით – მდ. კელასურს, ჩრდილოეთით - კავკასიის მთავარ ქედს. II-VII სს-ში ეს ტერიტორია მთლიანად შედიოდა წებელდის არქეოლოგიური კულტურის არეალში, რომელიც თავის მხრივ დასავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მისი ლოკალური ვარიანტი იყო, რასაც დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნივთიერი მასალაც ადასტურებს. ცნობილია, რომ წებელდური კულტურის ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ატრიბუტად ე.წ. წებელდური ტიპის ცული და ძაბრისებურპირიანი კერამიკაა მიჩნეული. ე.წ. წებელდური ტიპის ცულის აღმოჩენის ფაქტი დასავლეთ საქართველოს არაერთ

პუნქტში დასტურდება: ჩხარი, ლეჩხუმი, ზუგდიდის რ-ნი, აჯამეთი, ურეკი, ვანი, ვარდციხე და სხვ. [ჯაფარიძე ვ., 1989, გვ. 107; ჯაფარიძე ვ., 1978, გვ. 82]; ხოლო, რაც შეეხება მაზრისებურპირიან კერამიკას, მსგავსი ფორმის ჭურჭელი ცნობილია ბუკისციხიდან, ურეკიდან, სოფ. ლიას სამარხებიდან და ვარდციხიდან [ჯაფარიძე ვ., 1978, გვ. 82]. ვ. ჯაფარიძის დაკვირვებით ეს ჭურჭელი თავი არსებობით სამარხებს უკავშირდება და ძირითადად სარიტუალო ჭურჭელია; გენეზისით კი, შესაძლოა, უფრო ადრეული ხანის (ელინისტური), ასევე სპეციფიურ კერამიკას – ქვევრსამარხებს უკავშირდებოდეს [ჯაფარიძე ვ., 1978, გვ. 82-83].

ისტორიული წებელდის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ცნობილია 15-ზე მეტი ნასახლარი, 10 ციხე-სიმაგრე და 20 სამაროვანი. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები თავმოყრილია წებელდისა და აზანთის მიდამოებში მდ. კოდორის მარჯვენა სანაპირზე. აქვე გამოვლენილია ქლუხორისაკენ მიმავალი ძველი გზა [Воронов Ю., 1975, с. 9, 18].

აფსილეთის შიდა რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებს ის მასალა, რომელიც წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი და მინის სასმისები ჯვრის გამოსახულებით, პატარა გულსაკიდი ჯვრები, რკინის ბეჭედი ჯვრის გამოსახულებიანი ვერცხლის საბეჭდავით, ჯვრისფორმის ფიბულები. წებელდის ნეკროპოლის სამარხთა დამხრობაში და მოწყობის წესში რაიმე კანონზომიერბის დანახვა ძნელია, მით უფრო, რომ კრემაციული სამარხები აქ VII ს-მდე გვხვდება, თუმცა

მეტნაკლები სიხშირით აქ ქრისტიანული წესით გამართული სამარხებიც დასტურდება.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქრისტიანობის შეღწევა წებელდაში III ს. ბოლოსა და IV ს-ში ხდება (მ. თრაფში, ზ. ანჩაბაძე, გ. შამბა, მ. გუნბა, მ. ინაძე), მეორენი (ი. ვორონოვი, ა. იუშინი) უარყოფენ ამ თარიღს, და ქრისტიანობის გავრცელებას VI ს. მეორე ნახევარსა და VII ს. უკავშირებენ.

წებელდაში ადრებიზანტიური ხანის ოთხი ეკლესიაა გამოვლენილია, რომელთაგან ორი წებელდის სიმაგრეშია გათხრილი. 1977-79 წლებში წებელდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ი. ვორონოვი) გაითხარა 3 ეკლესია. №1 ეკლესია, რომელიც მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, გვიან შუა საუკუნეებშია აგებული №2 ეკლესიის ადგილზე, როგორც ჩანს, №2 ეკლესიის ქვების გამოყენებით, ორივე ეკლესია, №1 და №2, ქვის რიგების დაცვითაა ნაგები. №2 და №3 ეკლესიები ადრექრისტიანული ხანით თარიღდება.

<u>წებელდის №2 ეკლესია.</u> №2 ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რომელსაც შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს. ეკლესიას დასავლეთით ეკვრის ნართექსი. ეკლესიის ზომებია 17 X 7,7 მ (ტაბ. VII,1). ძირითადად მხოლოდ ფუნდამენტია შემორჩენილი, რამდენადმე უკეთაა შემონახული აფსიდის კედელი (0,65 მ). კედლის სისქეა 0,95-1,0 მ. [Хрушкова Л., 1982, с. 156]. ეკლესიის აფსიდის ნალისებური ფორმა ანალოგებს პოულობს ადრექრისტიანული

ხანის აღმოსავლეთ საქართველოს და კაბადოკიის ძეგლებთან [Restle M., 1979]. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებიდან მისი ანალოგია ციხისძირის ბაზილიკა [ინაიშვილი ა., 1974, ტაბ. VI]. ეკლესიის დეკორს წარმოადგენდა ადრექრისტიანული სიუჟეტებით შემკული კაპიტელი – იმპოსტი, რომელიც საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა, მართალია დღეს დაკარგულია, მაგრამ ა. მილერის პუბლიკაციითაა ცნობილი [Миллер А., 1909, გვ 71-82. სურ. 6] (ტაბ. XVIII,4); ეკლესიის დეკორს წარმოადგენდა აგრეთვე კარნიზი, რომელიც ფიგურული აგურით იყო შედგენილი, თავისი ფორმით – კბილანებით – იგი პარალელებს პოულობს ამიერკავკასიის მთელ რიგ ძეგლებთან, მისი გავრცელების დრო საქართველოში (კონდამიანი, მცხეთის ჯვარი, იდლეთი, ოლთისი) [ცინცაძე ვ., 1950, გვ. 7, სურ. 9; Чубинашвили Н., Шмерлинг Р., 1948, სურ. 12] და სომხეთში (მასტარა, მრენი, მაზარჯუკი, ადიამანი, ალამნი, ავანი) [Токарски Н. М., 1946, с. 62-65, 76-77, 80; Хрушкова Л., 1982, с. 161] VI ს-ის ბოლო – VII ს-ის I ნახევრით განისაზღვრება. №2 ეკლესიაც ამ დროით თარიღდება [Хрушкова Л., 1982, с. 161].

წებელდის №3 ეკლესია. №3 ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა ნართექსით და ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიის ზომებია 22,47X17,8 მ (ტაბ. VII,1). სამხრეთ კედელს საკარე ღიობამდე ქვის სკამი მიუყვება (განი – 0,3 მ, სიმაღლე – 0,32 მ). ეკლესიის საკურთხეველში შემორჩა სინტრონის ნაშთი [Хрушкова Л., 1982, с. 162]. ეკლესიას სამხრეთით ეკვრის სამ განყოფილებიანი ბაპტისტერიუმი, რომლის მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს ემბაზი, რომელსაც შიგნიდან რამდენადმე ასიმეტრიული ჯვრის

ფორმა აქვს, გარედან კი ოთხკუთხედშია ჩაწერილი. მისი გარეთა ზომებია 2X2 მ. ემბაზის საფუძველი და კედელი აგურითაა ნაგები და დაფარულია ფერადი დუღაბით. ემბაზის შიგნით აღმოჩნდა ნარინჯისფერკეციანი ამფორის ფრაგმენტი, რომლითაც სავარაუდოდ ემბაზის წყლით მომარაგება ხდებოდა. წებელდის ადრექრისტიანული ბაპტისტერიუმი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბოსნიის ბაზილიკების ჯგუფთან, ჩობან-დარესთან (პრესლავთან, ბულგარეთი) და ზალლისთან (შვეიცარია). ბოსნიის ბაზილიკები თარიღდება V ს. II ნახევრით - VI ს. დასაწყისით, ჩობან-დარე - V-VI სს-ით, ზილლისი კი - V ს-ით [Хрушкова Л., 1982, с. 174].

წებელდის ბაზილიკა ბაპტისტერიუმით წარმოადგენს მთელ კომპლექსს, რომელიც რამდენიმე ფუნქციას აერთიანებს (domus esslesiae) - ევქარისტიულს, ნათლობის და მემორიალურ ფუნქციას. წებელდის ბაპტისტერიუმიანი ბაზილიკა იუსტინიანემდე დროით უნდა დათარიღდეს, ვინაიდან იუსტინიანეს ეპოქისათვის დამახასიათებლია (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის) ბაზილიკის სტანდარტული ტიპი (სამნავიანი ნაგებობა წინ გამოზიდული ხუთწახნაგა აფსიდითა და ნართექსით), რომელიც არსებითად განსხვავდება წებელდის ეკლესიისაგან. წებელდის ბაზილიკა V ს-ის ბოლო - VI ს. პირველი ათწლეულით თარიღდება [Хрушкова Л., 1982, с. 176].

წებელდის ეს ეკლესია ვერ პოულობს ანალოგებს ამიერკავკასიის ადრექრისტიანულ ძეგლებთან. საერთოდ ბაპტისტერიუმები ამ რეგიონში ძალზედ ცოტაა. ყველაზე

ადრეული მაგალითია ქართლში - ბოლნისის სამნავიანი ბაზილიკა, სადაც სანათლავი სამხრეთ ეკვდერში უნდა ყოფილიყო გამართული [Чубинашвили Г., 1940, с. 128-130]. ბაპტისტერიუმად მიიჩნევენ, აგრეთვე, ვაშნარის სამნავიანი ბაზილიკის (VI ს.) სამხრეთი ნავის აღმოსავლეთი ნაწილის მინაშენს [Леквинадзе В., 1972, с. 313]. ბიჭვინთის ბაზილიკაში კი სანათლავი, გეგმაში სწორკუთხა ემბაზით, მოწყობილია ნართექსში. ერთადერთი მაგალითი აფხაზეთში ცალკე მგდომი ბაპტისტერიუმისა დასტურდება სოფ. გუდავაში, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

<u>შაპკა.</u> წებელდის ციხიდან 7 კმ დასავლეთით, ბორცვზე "შაპკა", 1983 წელს ო. ბგაჟბას მიერ თავდაცვითი ნაგებობის შიგნით [1]2 კოშკის ზემოთ გამოვლინდა, გეგმაში კვადრატული ფორმის (8,86X8,40 მ) ეკლესია (ტაბ. VII, 3). გამოიყო კულტურული ფენის ორი ჰორიზონტი – VI ს. და გვიანი შუა საუკუნეები. ეკლესიის სამხრეთისა და დასავლეთის კედლები ზოგან 2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია გეგმაში კვადრატული ფორმის (4X4მ) საკურთხევლის პლატფორმა “საყდრის” ნაშთებით ცენტრში, რომელიც კარგად დამუშავებული ქვებით იყო მოპირკეთებული. პლატფორმამ შემოინახა სამრიგიანი აგურის სარტყლის ნაშთები. საკურთხეველს ჩრდილოეთით ებჯინება მონუმენტური ქვის სამარხი (2X0,8მ), რომელიც შიგნიდან ფერადი დუღაბითაა დაფარული. საკურთხევლის შესასვლელთან აღმოჩნდა მინის ჭრაქებისა და ამფორების (VI ს.) ფრაგმენტები. ეკლესია VI ს-ით თარიღდება [Бгажба О., 1985, с. 463-464].

ტიპოლოგიურად შაპკის ეკლესია უახოვდება სირიისა და მესოპოტამიის ნესტორიანულ ეკლსიებს [Воронов Ю., Бгажба О., Шенкао Н., Логинов В., 1986, с. 55-56].

მრამბა. სოფ. მრამბაში (წებელდიდან 4-7 კმ სამხრეთ-დასავლეთით) 1981-82 წლებში წებელდის ექსპედიციის მიერ (აფხაზეთის ინსტიტუტი და აფხაზეთის სახელმწ. მუზეუმი) ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრექრისტიანული დარბაზული ტიპის ეკლესია წინ წამოზიდული, გარედან ხუთწახნაგოვანი (წახნაგთა სიგრძეა 1,3-1,8 მ) და შიგნიდან ნალისებური ფორმის აფსიდით (სიგანეა 2,72 მ, სიღრმე 2,45 მ). ეკლესია ნაკლები გულმოდგინებით დამუშავებული ქვის კვადრებითაა ნაგები. აფსიდის ნაწილში კედლის სისქეა 0,9 მ, შენობის დანარჩენ ნაწილებში კი 1,1 მ, კედლები 0,2-0,3 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი (ტაბ. VII,4). ტაძარი მოგვიანებით, XI-XIV სს-ში, საფუძვლიანად შეუკეთებიათ [Бгажба О.,1984, გვ. 421; Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 33]. მრამბის ტაძარს ახლო ანალოგები ეძებნება კაბადოკიაში, ესაა Anatepe-სა (VII ს. პირველი ნახევარი) და Yedikapulus-ის (600 წ.) დარბაზული ტიპის ეკლესიები ხუთწახნაგოვანი აფსიდით [Restle M., 1979, სურ. 3, 7].

მრამბის ტაძარს უკავშირდება, აქვე აღმოჩენილი, ადრექრისტიანული სიუჟეტებითა და სიმბოლოებით შემკული კირქვის ფილები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი წრეში, ყურძნის მტევნები და ჩიტები (ტაბ. XVII, 3); აქვეა აღმოჩენილი ფილაქვა თევზის სქემატური გამოსახულებით (ტაბ. XVI, 4), ანტეფიქსი ჯვრით და სხვა სიმბოლოებით (ტაბ. XVIII,5),

აგრეთვე ფილა ოთხფურცლიანი ვარდულით და ა.შ. ეს ფილაქვები სავარაუდოდ მრამბის ამ უძველესი ეკლსიის ფუნქციონირების დროინდელია და VI-VIII სს-ით თარიღდება [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 33, ტაბ. XXVI]. სწორედ მრამბის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან, 1 მეტრის სიხლოვეს აღმოჩნდა ქვიშაქვის მონოლითური სარკოფაგი [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 33, ტაბ. XXVI,13], რომელიც აფხაზეთში აღმოჩენილ ადრექრისტიანული ხანის ქვის ოთხ მონოლითურ სარკოფაგს შორის ერთ-ერთია. მას უფრო დეტალურად ქვემოთ სარკოფაგებზე მსჯელობისას შევეხებით.

## § 2 ხაშუფსე

ხაშუფსე მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 30 კმ ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაგრის რ-ნში, მდ. ხაშუფსეს ხეობაში. 1967 წელს აფხაზეთის ინსტიტუტის მიერ დაზვერვითი სახის სამუშაოების დროს (ს. შამბას ხემძღვანელობით) მდ. ხაშუფსეს, აჩმარდისა და ლაფსთის ხეობაში გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეთა ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები [Шамба С., 1974].

ხაშუფსეს ციხეში, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლს წარმოადგენს, გამოვლენილია VI ს-ის ეკლესია - დარბაზული ტიპის ნაგებობა ნახევარწრიული შვერილი აფსიდიდ, რომელსაც შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს. დასავლეთით ეკვრის ნართექსი. ეკლესიის ზომებია 16,2X6,9 მ (ტაბ. VII,2). თავად ხაშუფსეს ციხე, ისევე როგორც ეკლესია,

არქეოლოგიურად შესწავლილი არაა. ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე მდებარეობს ხაშუფსეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანი, რომელიც 3 ჰა ფართობზე ვრცელდება. ეს სამაროვანი ჯერ კიდევ 1952 წელს დაზვერა მ. თრაფშმა. შემდგომი დაზვერვითი სამუშაოების დროს აქ გამოვლინდა დიდი ოდენობით გვიანანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები და რკინის შუბის პირები, რომელიც პირდაპირ ანალოგს პოულობს ამავე პერიოდის წებელდის სამაროვნის მასალასთან [Шамба С., 1974, с. 65].

მდ. ხაშუფსეს მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 28 კმ მანძილზე, სოფ. აჩმარდაში, იგივე დაზვერვითი სამუშაოების დროს, დადასტურდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. ზედაპირულად აიკრიფა თხელკედლიანი წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები, რომაული სპილენძის მონეტა და სხვ.

მდ. ხაშუფსეს დასავლეთით ზღვიდან 30-40 მ მანძილზე, წინასწარული დაზვერვით ცხადი გახდა, რომ ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ვიდრე, შუა საუკუნეებამდე აქ სამაროვანი და სამოსახლო არსებობდა, განსაკუთრებით მჭიდროდ ყოფილა იგი დასახლებული ანტიკურ ხანაში. ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში აქ ლაფსთის სამაროვანი ფუნქციონირებს [Шамба С., 1974, с. 52].

მდ. ხაშუფსეს ხეობაში განლაგებული სამაროვნები, როგორც წესი, მცირე ბორცვების ფერდობებზეა შეფენილი. ხაშუფსეს ხეობის ეს ძეგლები შეიძლება იმის მაუწყებელი იყოს, რომ

აფხაზეთი ამ დროს ჩრდ. კავკასიას არა მხოლოდ კოდორის ხეობით და ქლუხორის უღელტეხილით უკავშირდებოდა, არამედ მისგან ჩრდილო–დასავლეთით არსებული ხაშუფსეს ხეობითაც [Шамба С., 1974, с. 65].

## § 3 დრანდა

დრანდის ტაძარი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 18 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე, შემაღლებულ პლატოზე, სოფელ დრანდაში.

შუა საუკუნეებში დრანდა ეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის "აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" წერს: "კოდორის წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუნბათიანი, შვენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიას შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი" [ბაგრატიონი ვ., 1997, გვ. 170].

ძეგლი არაერთგზის დაზიანებულა, განსაკუთრებით XVII-XVIII სს-ში თურქთა ბატონობის პერიოდში. XIX ს-ში იგი მრავალჯერ იყო რესტავრირებული. ხელახლა დაზიანდა ხანძრის შედეგად 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რამაც ტაძრის ფრესკებიც იმსხვერპლა [Воронов Ю., 1978, с. 108-109; Пачулиа В., 1964, с. 44-47]. ეს ფრესკები, რომლებიც სავარაუდოდ XIII-XIV სს-ებს განეკუთვნებოდა 1846 წელს ს. საბლინს და მოგვიანებით, 1860 წელს დ. ბაქრაძეს უნახავს და აღუწერია [Бакрадзе Д., 1875, с. 65-66]. კაპიტალური რემონტი ძეგლს 1880-83

წწ-ში ჩაუტარდა, როცა ახალ ათონელმა ბერებმა აქ მამათა მონასტერი დააარსეს, რომელმაც 1921 წლამდე იარსება. 1900-იან წლებში ტაძრის გუმბათი რუსული ეკლესიის ნირზე იქნა გადაკეთებული. 1978 წ. დრანდაში ჩატარდა სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები (ვ. ცინცაძის ხელმძღვანელობით), რომლის მთავარი მიზანი ძეგლის თავდაპირველი სახის აღდგენა იყო [ცინცაძე ვ., 1979, გვ. 35-42].

ძეგლი წარმოადგენს ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას. ძეგლის გარეთა ზომებია: ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 19,5 მ, დასავლეთიდან აღმოსავლეთით, აფსიდისა და ნართექსის ჩათვლით – 27,3 მ. კონსტრუქციის ბირთვს გუმბათი და მისი მზიდი კედლები წარმოადგენენ. გუმბათი, რომლის შიდა დიამეტრი 10,3 მ, ემყარება კედლების მრგვალ შვერილებს და არა კვადრატს. თაღი შეკრულია 16 წახნაგზე. ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია სამსხვერპლო და სადიაკვნო შიგნიდან ნახევარწრიული და გარედან სამწახნაგოვანი აფსიდით. ჯვრის აღმოსავლეთი მკლავი შიგნიდან ნახევარწრიულ, გარედან ხუთწახნაგოვან აფსიდას წარმოადგენს. ტაძრის დასავლეთი კუთხეები მრგვალ ოთახებს (4 მ დიამეტრის) უჭირავს, რომელიც აღმოსავლეთ სათავსოების მსგავსად ყრუ გუმბათით იყო გადახურული (ტაბ. VIII,1,2). სამშენებლო მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული, პერიფერიული და ზოგი სხვა კედლები კი აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაშენი [ცინცაძე ვ., 1979, გვ. 38].

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაძრის დაბალი პროპორციები. გ. ჩუბინაშვილი დრანდას “მცხეთის ჯვრის” ტიპის ერთ-ერთ ვარიაციად მიიჩნევდა, სადაც ქართულ მხატვრულ გაგებასთან ბიზანტიური ხასიათის ელემენტებია შერწყმული. ასეთივე ხასიათი ჩანს მასალაშიაც: რიყის ქვა და აგურის სარტყლები [ჩუბუნაშვილი გ., 1936, გვ. 143]. იგივე აზრს იზიარებდა ლ. რჩეულიშვილი [Рчеулишвили Л., 1978, с. 27]. თუმცა არსებობს მოსაზრება დრანდის ტაძრის წმინდა ბიზანტიური წარმომავლობის შესახებაც [Леквинадзе В., 1980, с. 201-216; Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 200-206].

დრანდის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს გუმბათქვეშა სივრცის წრიულობა (და არა კვადრატულობა), ტაძრის კომპოზიციაში გუმბათის დომინირებული მდგომარეობა. ადრექრისტიანული ტაძრებისათვის გუმბათქვეშა სივრცის წრიულობა არაა დამახასიათებელი, სამაგიეროდ, მსგავსი გადაწყვეტა გვხვდება ჯვრის ფორმის ბაპტისტერიუმებსა და მარტირიუმებში [Леквинадзе В., 1980, с. 205]. ა. ვისოცკი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობის პროტოტიპად ანტიკური ხანის ტაძარს მიიჩნევს და დრანდის ტაძარს უდარებს ისეთ ადრექრიტიანულ ძეგლებს, როგორიცაა ბინბურ-კილისის [1]8 ეკლესია (VI ს.) მცირე აზიაში და ქერსონესის ბაპტისტერიუმი (VI ს.), ანტიკურ არქიტექტურაში დრანდის პარალელს წარმოადგენს ვენერასა და რომის ტაძარი (III ს.) ოსტიაში [Висоцкий А., 1978, с. 154].

ე. ნოიბაუერის მიხედვით დრანდის ტაძარს გეგმის მიხედვით ბიზანტიის ისეთ ძეგლებთან ეძებნება პარალელები,

როგორიცაა კონსტანტინოპოლში Kalender Halens Camii (S. Maria Diakonissa) და Hodja Atik Mustapha Camii (Petrus -und Markuskirche), V ს.; მაგრამ რადგანაც, ავტორის აზრით, მსგავსი გეგმის ტაძრები ფართოდ, მხოლოდ IX ს-დან ვრცელდება, დრანდის ტაძარიც, შესაბამისად, IX ს-ით უნდა დათარიღდეს [Neubauer E., 1978, s. 76].

ვ. ლექვინაძე დრანდის უახლოეს ანალოგად მიიჩნევდა ცარიცინგრადის ტეტრაკონქს, რომლის გუმბათქვეშა სივრცე ოვალურია. ეს ტეტრაკონქი, ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, მსგავსად დრანდისა, მაგრამ ცარიცინგრადის ტეტრაკონქი, დრანდის ტაძრისაგან განსხვავებით ბაპტისტერიუმი ან მარტირიუმია [Леквинадзе В., 1980, с. 205-206].

დრანდის ტაძარში, სადაც ჯვარ-გუმბათოვანი და როტონდას თემებია თავმოყრილი და მთელს კომპოზიციაში გუმბათს დომინირებული მდგომარეობა უჭირავს, რ. მეფისაშვილის აზრით შეიძლება პარალელების გავლება ბიზანტიის ისეთ ცნობილ ძეგლებთან, როგორიცაა ვიტალის ეკლესია რავენაში, ან სერგიისა და ვაკხას ეკლესიები კონსტანტინოპოლში [Меписашвили Р., 1983, с.7-9]. იგი ტაძარს არქიტექტურის თავისებურებიდან გამომდინარე ჯერ VII ს-ით ათარიღებდა [Mepisaschvili R., Zinzadse W., 1977, s. 64], მოგვიანებით მან შეცვალა თავისი ეს მოსაზრება და არქეომაგნიტური მეთოდით მიღებულ თარიღზე დაყრდნობით, ძეგლი VIII ს-ით დაათარიღა [Меписашвили Р., 1983, с. 10].

დრანდაში ბიზანტიურ გავლენაზე (სამშენებლო ტექნიკა) მიუთითებს დ. თუმანიშვილი, თუმცა აღნიშნავს გარკვეული პარალელების არსებობას მცხეთის ჯვარსა და დრანდას შორის: “ამ

უკანასკნელის ამგებთ თვალი მცხეთის წმ. ჯვრის ტაძრებისკენ გაქცევიათ და საკურთხევლის გარეთკენ წახნაგოვნად გამოსული ნახევარწრიული უბეები (ე.წ. აფსიდები) პატარა თაღებით გადაუბამთ, რასაც სხვაგან ვერსად ნახავს კაცი" (თუმანიშვილი დ., 1995, გვ. 67-70). ამ პარალელზე (თაღების მოტივი) მსჯელობს რ. მეფისაშვილი, რომელიც ასევე ხედავს მსგავსებას დრანდასა და მცხეთის ჯვარს შორის და ჯვრის ტიპის სხვა ძეგლებს შორის. მსგავსი თაღები ამკობს კუმურდოს (964 წ.) ფასადებს, თრიალეთის ახალქალაქს (X-XI სს.), წმ. ნიკოლოზის ეკლესიას გელათში (XIII-XIV სს.) [Меписашвили Р., 1983, с.7].

დრანდის ტაძრის სამშენებლო სპეციფიკიდან გამომდინარე არაა გამოსარიცხი, რომ დრანდა ბიზანტიური ხელოვნების აქტიურ ზეგავლენას განიცდიდა, და იგი შეიძლება, სავარაუდოდ, საიმპერიო ძეგლების რიცხვშიც მოექცეს, რადგან აქ, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია იმდროისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაცია, კერძოდ, ბიზანტიის ინტერესები და აქტიურობა აღნიშნულ რეგიონში; ამავე დროს აშკარაა მცხეთის ჯვარსა და დრანდის ტაძარს შორის არსებული კომპოზიციური მსგავსება და სიახლოვე.

დრანდაში მეტად საინტერესო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი სარესტავრაციო სამუშაოების დროს. გუმბათის ყელის საძირკველსა და ყრუ გუმბათს შორის სივრცე ამოვსებული იყო 30-მდე მთელი ამფორით (ტაბ. IX,1), ისინი ნახევრად ჩაწვენილ მდგომარეობაში, პირქვე იყო დამხობილი. ეს მეთოდი ტრადიციულია რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურისთვის და იგი ძირითადად კამარის

კონსტრუქციის შემსუბუქების და ხმის გაძლიერების მიზნით გამოიყენებოდა. ამ მეთოდის გამოყენება კი აღმოჩენილ ამფორათა და ტაძრის თანადროულობაზე მიუთითებს, ამიტომაც ამ ამფორათა განსაზღვრა და სწორი ანალიზი ერთ-ერთი ხელშემწყობი კომპონენტთაგანი უნდა იყოს ძეგლის სწორად დათარიღების საქმეში. აღმოჩენილ ამფორათაგან 24 მათგანი დღეს აფხაზეთის მუზეუმში ინახება, დანარჩენი კი ხელუხლებელი დარჩა აღმოჩენის ადგილას. მკვლევარები მსგავს კოსტრუქციულ გადაწყვეტას დრანდის ტაძრის დანარჩენ კამარებსა თუ გუმბათის ქვეშაც ვარაუდობენ [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 193]. მსგავსი მეთოდი ცნობილია განთიადის ბაზილიკის ბემის კამარასა და კონქაში [Хрушкова Л., 1985, გვ. 30, ტაბ. VIII,1-3]. დრანდაში 7 ტიპის ამფორაა (ტაბ. IX,2) წარმოდგენილი, რომელთა განხილვასაც ქვემოთ შევეცდებით:

1. კონუსური ფორმის, მაღალყელიანი ამფორა, ოვალური ყურით, დაღარული ტანით. შემორჩენილია მხოლოდ კორპუსის ზედა ნაწილი, 43,5 სმ სიმაღლის; ყელის სიმაღლეა – 8,5 სმ; პირის დიამეტრი – 7 სმ. კეცი მოწითალო-ჩალისფერია, იშვიათი თეთრი ჩანართებით (ტაბ. IX,2-*1*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 193].

მსგავსი ტიპის ამფორის ფრაგმენტები აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარზე VI სს-ის ფენებში [ლამბაშიძე ო., 1977. გვ. 128, 131, სურ. 185; ლამბაშიძე ო., 1963. გვ. 91]; ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ამგვარი ამფორები ცნობილია ქერსონესში და ტამანის ნახევარკუნძულზე, რომლებიც იაკობსონის

კლასიფიკაციით 1 ტიპს განეკუთვნება (V-VI სს.) [Якобсон А. 1979, გვ. 8, სურ. 1,1; Якобсон А. 1951, გვ. 327, სურ. 1,1]; ცნობილია ეს ტიპი დასავლეთ შავიზღვისპირეთში, რუმინეთში (Tomi, Sacidava, Dinogetia), სკორპანის მიხედვით ტიპი XVII, თარიღდება V-VI სს. [Scorpan, 1977, გვ. 283, fig. 23]. რამდენიმე ეგზემპლარი მსგავსი ამფორისა დაცულია სინოპის მუზეუმში, IV ს. [Tezgör D., 1999, p.119, fig.9]. Opaiț-ის მიხედვით Topraichioi-ში აღმოჩენილი ეს ტიპი (conical amphora of Seleucia in Pieria type) სირიული წარმომავლობისაა, და სკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი დუნაის ქვემო წელზე IV ს-ის ბოლოს - V ს-ის პირველ ნახევარში [Opaiț A., 1996, გვ. 210, planşa 11, *1*]. არსებობს სხვა მოსაზრებაც ამ ტიპის ამფორის (LRA[1]7) ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ, რომელიც მიმოქცევაში იყო IV ს-ის ბოლოდან ვიდრე VII ს-ის დასაწყისამდე [Sciallano M. et Sibella P., 1991].

2. თითისტარისებრი მოყვანილობის ამფორა, ბოლოში შევიწროებული კორპუსით, კონუსური, შიგნიდან ღრუ ქუსლით. კორპუსი მთლიანად დაღარულია. ამფორა თხელკედლიანია. კეცი– მოწითალო-ყავისფერი, წმინდად განლექილი, ქარსის უმნიშვნელო შემცველობით. ბრტყელი ყურები ყელს ებჯინება. ამფორის სიმაღლეა 56,5 სმ, პირის დიამეტრი – 3,5 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი – 20,5 სმ (ტაბ. IX,2-*2*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 194].

ანალოგიური ამფორის ძირის (50ც.) და პირის ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი პიტიუნტის ნაქალაქარზე, IV-V სს-ის

[1] Late Roman Amphore.

ფენებში [ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., 1975, გვ. 275, სურ. 62,63,64]; ცნობილია ეს ტიპი ნოქალაქევიდან და გუდავადან, რომელსაც ვ. ლექვინაძე, გაიდუკევიჩზე დაყრდნობით, სამოსურ ნაწარმად მიიჩნევს და IV-V სს-ით განსაზღვრავს [Леквинадзе В., Хведелидзе Л., 1981, გვ. 133, ტაბ. XLII,3,4]; დასტურდება ეს სახეობა გონიო-აფსაროსის ადრე შუა საუკინეთა ფენებში [ხალვაში მ., 2002, გვ. 48-51, სურ. 34,5].

მსგავსი ამფორები აღმოჩენილია ყირიმსა და ოლბიაში, IV ს. [Abadie-Reynal C., 1999, p.263, fig. 18], ბოსფორის თითქმის მთელ ტერიტორიაზე: ტირიტაკაში (IV ს.) [Гайдукевич В., 1952, с. 96, рис. 114,*1,2,3*], პანტიკაპეონსა და ფანაგორიაში (III-IV სს.), ჰერმონასაში (IVს.), ინკერმანში – გვიანანტიკური ხანის ჩერგუნსკის სამაროვანზე და ქერსონესში [Зеест И., 1960, с. 118-119, таб. XXXVIII,95]. ბოსფორის ქალაქებში აღმოჩენილ ამ ტიპის ამფორებს გაიდუკევიჩი სამოსურ ნაწარმად მიიჩნევდა [Гайдукевич В., 1952, с. 96]. აღმოჩენილია ისინი რუმინეთში (Sacidava, Dinogetia, V-VI ს-ის ფენებში) [Barnea I., 1966, p.244, fig. 8,2; p.250, fig. 12,1; Scorpan C., 1977, p.272, fig. 7.5,*6*. Type V]; ათენის აგორაზე (VI ს-ის ბოლო) [Sciallano M. et Sibella P., 1991, LRA3]; კართაგენში [Reynolds P., 1995, fig. 87]; Caesarea-სა და Berenice-ში (Berghazi, ლიბია) [Riley J., 1979, გვ. 229]. ამ ამფორათა აღმოჩენის ფაქტი დასტურდება სამხრეთ საფრანგეთის არაერთ ძეგლზე (Marseille, Collioure, Port-Vendres, Lunel, Aigues-Vives, Venéjan, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Methamis, Mandelieu, Saint-Laurent-d'Aigouse, Nimes, Saint-Bonnet-du-Gard),

რომლებიც აქ აღმოსავლურ იმპორტს წარმოადგენს და თარიღდება IV-VI სს-ით [Bonifay M. et Villedieu F., 1989, p. 27, fig. 7].

Reynolds-ის და Pieri-ს კლასიფიკაციით ეს LRA3 ტიპია [Reynolds P., 1995, fig. 87. ქუსლის ნაწილით გარკვეულ მსგავსებას პოულობს LRA7,B ტიპთან; Pieri D., p.100, fig. 4]; Peacock and Williams-ის კლასიფიკაციით აღნიშნული ამფორა class 52 შეადგენს და თარიღდება IV ს-ის ბოლო - VII ს-ით [Peacock and Williams, 1986, p. 204, fig. 122]. Keay-ის მიხედვით ეს LIV ტიპია [Keay S.J., 1984, p.286-289, fig. 124]. ამ სახეობის ამფორა, მხოლოდ ჯერ ცალყურა, ჩნდება უკვე I ს-ში, IV ს-დან მას მეორე ყური უჩნდება, და ამ სახით ეს ტიპი VI ს-ის ბოლომდე განაგრძობს არსებობას [Sciallano M. et Sibella P., 1991; Riley J., 1979, გვ. 229]. Keay მიიჩნევს, რომ დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ამფორის ეს სახეობა VI ს-ის ბოლომდე გამოიყენებოდა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში კი VII ს-ის პირველ ნახევარშიც უნდა ყოფილიყო ხმარებაში, რასაც Yassi Ada-ში ამ ტიპის ამფორის ერთი ძირის ფრაგმენტის აღმოჩენა ადასტურებს, Yassi Ada-ში გემის ჩაძირვა კი 625-626 წწ-ის შემდგომი დროით თარიღდება [Keay S., 1984, p.289]. ამ ტიპის ამფორის ორყურა ვარიანტი IV ს-ის დასაწყისში პირველად ათენის აგორასა და Caesaraea-ში ჩნდება, IV ს-ის ბოლოთი თარიღდება კართაგენში აღმოჩენილი ცალები [Keay S., 1984, p.286-287]. მათი საწარმოო ცენტრი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირდება [Sciallano M. et Sibella P., 1991], კერძოდ დასავლეთ თურქეთს, ეფესოსა და სარდის მიმდებარე რეგიონებს [Arthure P., 1998, p. 165].

3. ამფორა ღეროსებრი ქუსლით, დაბალი, ფართო ყელით, ოვალურ-გამოზნექილი ფორმის კორპუსით რომელიც ქვედა ნაწილში შესამჩნევად ფართოვდება. კორპუსი მთლიანად დაღარულია. ამფორის სიმაღლეა 60 სმ, პირის დიამეტრი – 10 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი – 24,5 სმ (ტაბ. IX,2-*3*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 194].

რადგანაც პუბლიკაციაში, რომელსაც ვეყრდნობით ამფორათა აღწერილობით ნაწილში (ვინაიდან პირადად ამ ამფორათა ნახვის საშუალებას მოკლებულნი ვართ ცნობილი მიზეზების გამო), არაა მოცემული ინფორმაცია ამფორის ყურის შესახებ, ფოტოზე კი ცალყურა ამფორაა გამოსახული, სავარუდოდ საქმე სწორედ ცალყურა ამფორასთან უნდა გვქონდეს.

როგორც ცალყურა ამფორა, იგი LRA3 ტიპის ადრინდელ ცალყურა ტიპს ემსგავსება, რომელიც I-IV სს-ში იყო მიმოქცევაში. IV ს-დან კი მას მეორე ყურიც უჩნდება. IV ს-ით დათარიღებული ცალყურა ეგზემპლარები ცნობილია ოლბიიდან, ტანაისიდან, Slaveni-დან, Tomis-დან [Abadie-Reynal C., 1999, p.263, fig. 18], Noviodunum-დან და Beroe-დან [Opaiț A., 1996, planșa 9, *2,3*]. მათი წარმომავლობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს უკავშირდება [Sciallano M. et Sibella P., 1991].

მაგრამ, თუკი ამ ტიპს განვიხილავთ, როგორც ორყურა ამფორას, მსგავსი ტიპი ცნობილია ყირიმიდან (ტირიტაკა), რომელსაც გაიდუკევიჩი სამოსურ ნაწარმად მიიჩნევს და IV-V სს-ით ათარიღებს [Гайдукевич В., 1952, с.96, рис.114,*3*], იაკობსონის კლასიფიკაციით ტიპი 6 (IV-V სს.) [Якобсон А. 1979, გვ. 11-12, სურ.

2,2], ცნობილია ისინი ვარნიდან, IV-VI სს. [Минчев А., 1972, ტაბ. I,*6*], რუმინეთში - Medgidia-დან (IV ს.), Cernavodă-დან (IV ს.), Tomi-დან (V-VI სს.), სკორპანის მიხედვით ტიპი IV [Scorpan C., 1977, p.272, fig. 6].

4. კვერცხისფორმისებრი ამფორა, მრგვალძირიანი, ფართო ყელით, მასიური დუგმისებრი ყურებით. კორპუსი მთლიანად ღრმა ღარებითაა დაფარული. თიხა ჩალისფერია. ამფორის სიმაღლეა 40 სმ, პირის დიამეტრი – 9,5 სმ, კორპუსის უდიდესი დიამეტრი – 27 სმ (ტაბ. IX, 2-*4*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 195].

მსგავსი ამფორის ფრაგმენტები ცნობილია ბიჭვინთის ნაქალაქარის VI სს-ის ფენებიდან, აქვე აღმოჩნდა წელშეზნექილი ამფორის ნატეხებიც [ღამბაშიძე ო., 1963, გვ. 92,91, სურ. 10]; ანალოგიური გოფრირებულ ამფორათა ფრაგმენტები აღმოჩენილია ნოქალაქევში, ციხისძირსა და გუდავაში, მათ ვ. ლექვინაძე იაკობსონზე დაყრდნობით V-VI სს-ით განსაზღვრავს [Леквинадзе В., Хведелидзе Л., 1981, გვ. 133, ტაბ. XLIV,1,2]. ამ სახეობის ამფორათა ფრაგმენტები ცნობილია წებელდის ციხის VI ს-ის ფენებში [Воронов Ю., Бгажба О., 1985, გვ. 71, სურ. 26,*1-11*; Воронов Ю., Бгажба О., 1987, გვ. 129, სურ. 13,*16*], და გონიო-აფსაროსში [ხალვაში მ., 2002, გვ. 44-46, სურ. 36].

ამფორის ეს ტიპი ცნობილია ქერსონესიდან, იაკობსონის კლასიფიკაციით ტიპი 8 A (IV ს.) [Якобсон А., 1979, გვ. 12,13,16, სურ. 3,*11*], კარგადაა იგი წარმოდგენილი დასავლეთ შავიზღვისპირეთში (Sacidava, Tomi, Histria) [Scorpan C., 1977, p.273, fig. 9. Type VI],

საბერძნეთში (Athenian Agora, Corinth) III-VI სს. ფენებში (Jonson B.I., 1986, გვ. 591-593, fig. 3), სამხრეთ საფრანგეთში (მარსელი, V-VII სს.) [Bonifay M. et Villedieu F., 1989, p. 31, fig. 10], რომელიც აქ სირია-პალესტინის იმპორტს წარმოადგენს [Jonson B.I., 1986, გვ. 591-593, fig. 3, 4, 5, 6]. ეს ტიპი სირია-პალესტინაში უკვე ძვ.წ. II ს-ში ჩნდება და არსებობს ვიდრე ახ.წ. IX ს-მდე [Jonson B., 1986, გვ. 591-593]. ეს ამფორა LRA5/6 ტიპს განეკუთვნება და კარგადაა წარმოდგენილი ეგვიპტეში ნილოსის შუა წელზე [Empereur J-Y et Picon M., 1989, fig. 26; Pieri D., p.102-103, fig.6], ისრაელში (Atlit, V-VI სს) [Sciallano M. et Sibella P., 1991], რავენაში, VI ს-ის დასაწყისი [Sciallano M. et Sibella P., 1991]. Peacock and Williams-ის კლასიფიკაციით ეს პალესტინური ამფორები class 46 შეადგენს და თარიღდება V-VI სს-ით [Peacock and Williams, 1986, fig. 110]. მსგავსი ამფორები, მხოლოდ უფრო მაღალი ყელით და უფრო სფერული კორპუსით ცნობლია იერუსალიმიდან (პუბლიკაციაში ამ ტიპის ამფორა მოიხსენიება ტერმინით jar), ისინი აქ VI ს-ის ბოლოდან არსებობენ ვიდრე VII - VIII სს-მდე [Magness J., 1993, p. 227-228].

5. ამფორა ცილინდრული კორპუსით, დაბალი, ვიწრო ყელით და მასიური ქობით, დუგმისებრი ყურით. თიხა ჩალისფერია. კორპუსი დაღარული. ამფორის სიმაღლეა 40 სმ, პირის დიამეტრი – 3,5 სმ, კორპუსის დიამეტრი – 18,5 სმ (ტაბ. IX,2-5) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, с. 195]. ეს ტიპი წინა ტიპის ამფორას უახლოვდება თავისი ფორმით.

მსგავსი ამფორის ფრაგმენტები მრავლადაა აღმოჩენილი ბიჭვინთის ნაქალქარზე VI ს-ის ფენებში [ლამბაშიძე ო., 1963, გვ. 92,

სურ.10; რამიშვილი რ., 1965, გვ. 109, სურ. 2]; ეს სახეობა დასტურდება წებელდის ციხის VI ს-ის ფენებშიც [Воронов Ю., Бгажба О., 1987, გვ. 129, სურ. 13,*14*]. ცნობილია ქერსონესში და ტამანის ნახევარკუნძულზე. აღნიშნული ტიპი, ისევე, როგორც წინამორბედი, იაკობსონის კლასიფიკაციით ხვდება ტიპ 8-ში (IV ს.) [Якобсон А. 1979, с. 12-13, შენიშვნა 23. სურ. 2,*4,5*]; ცნობილია ილიჩევსკის ნაქალაქარიდან (IV ს.) [Сокольский Н., 1966, с. 132, рис.4,*2*]. მსგავსი სირია-პალესტინური წარმოშობის ამფორები აღმოჩენილია ათენის აგორასა და კორინთში, IV-VI სს. ფენებში [Jonson B., 1986, p. 591-593, fig. 1,a,b]; Tarragona-ში (კატალონია, ესპანეთი), IV ს-ის ბოლო – V ს-ის შუა ხანები, ტიპი LRA4 [Sciallano M. et Sibella P., 1991]; ამფორის ეს ტიპი დასტურდება აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ გალიის არაერთ ძეგლზე, V-VI სს. (Trèves, Genève, Tours, Bordeaux), და სამხრეთ საფრანგეთში (Collioure, Tautavel, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Fréjus, Viviers, Vaison-la-Romaine, Aix-en-Provence, V-VI სს.) [Bonifay M. et Villedieu F., 1989, p. 29, fig. 8, *6,7.* Fig. 9]. ამ ტიპის წარმოება პალესტინასა (ღაზას რეგიონი) და ეგვიპტეში ხდებოდა და მიმოქცევაში იყო IV ს-დან ვიდრე VI ს-ის ბოლომდე [Sciallano M. et Sibella P., 1991; Pieri D., 1998, p. 101, fig.5]; თუმცა Arthure-ის აზრით ეს ტიპი, რომელიც აგრეთვე Gaza type-ად იწოდება, იწარმოებოდა ძირითადად გაზასა და აშკელონში IV ს-დან VII ს-ის ბოლომდე, ხოლო აშკელონის ბოლოდროინდელმა გათხრებმა აჩვენა, რომ ამ ტიპის წარმოება VIII ს-შიც გრძელდება, უმაიადთა დინასტიის დროს [Arthure P., 1998, p. 162]. G. Majcherek-ი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის ამფორათა წარმოების ცენტრად მხოლოდ

გაზისა და მისი მიმდებარე რეგიონის მიჩნევა არ იქნებოდა მართებული, მათი წარმოება მთელს სამხრეთ პალესტინაში ან Pelusium-სა და Negev-ს შორის არსებულ მოსაზღვრე რეგიონშიც უნდა ვივარაუდოთ [Majcherek G., 1995, p. 165]. ეს ამფორა ძირითადად უმაღლესი ხარისხის ღვინის საექსპორტოდ გამოიყენებოდა [Arthure P., 1998, p. 161-162, fig.4,*1*].

6. წელშეზნექილი ამფორები. ამ ტიპის ამფორები დრანდის კომპლექსში უმრავლესობას წარმოადგენს. მათი სიმაღლე 71-75 სმ შორის მერყეობს. კეცი სხვადასხვაგვარია, ღია ვარდისფერიდან ვიდრე ყავისფრამდე. გამოწვა არათანაბარია. კორპუსის ზედა ნაწილის დიამეტრია 17,5 სმ, შეზნექილ ადგილას – 13,5 სმ, კორპუსის ქვედა ნაწილის დიამეტრია – 15-16 სმ (ტაბ. IX,*2-6*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, გვ. 196].

აფხაზეთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, წელშეზნექილი ამფორები ფართოდაა გავრცელებული. ეს ტიპი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ადგილობრივ კოლხურ ამფორად მოიხსენიება. ესაა მუქ წითლად და მოყავისფროდ გამომწვარი ამფორა, პატარა ბრტყელგანივკვეთიანი ყურებით, წაგრძელებული წელში შეზნექილი კორპუსით და ოდნავ მომრგვალებული კონუსური ძირით. დიდი რაოდენობითაა ეს ტიპი აღმოჩენილია ბიჭვინთაში IV-VI სს-ის ფენაში [ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., 1975, გვ. 277, ტაბ. 61,*1,2,5-7,9*; 64,*3-8, 4-14*; რამიშვილი რ., 1965, გვ. 114, სურ. 7; Агрба З., 1985, გვ. 36, таб. XXXI,1]; ცნობილია ეს ტიპი ნოქალაქევიდან და გუდავიდან [Леквинадзе В., Хведелидзе Л., 1981, с. 131, ტაბ. XLIII,1]; ამფორის ეს

სახეობა აღმოჩენილია ურეკში, გრიგოლეთში, ფოთში, ნოსირში, მათ თარიღს ნ. ხოშტარია ზოგადად IV-VI სს-ით განსაზღვრავს [Хоштариа Н., 1955, с. 59-61]; რამდენიმე მთელი ეგზემპლარი ყავისფერკეციანი წელშეზნექილი ამფორისა აღმოჩენილია ვარდციხეში, რომელიც სტრატიგრაფიული მონაცემებითა და თანმხლები მასალების მიხედვით ზოგადად IV ს. მეორე ნახევარი – VI ს-ით თარიღდება [ჯაფარიძე ვ., 1989, გვ. 55-56]. რამდენიმე არასრული ეგზემპლარი ცნობილია პატრიკეთიდან [ჯაფარიძე ვ., 1989, გვ. 49-50], ბათუმის ციხიდან [ინაიშვილი ნ., 1981, გვ. 126] და ქობულეთ-ფიჭვნარიდან [ჩხაიძე ლ., 1980, გვ. 44]; ციხისძირში ამ ტიპის რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი, დასტურდება ისინი პეტრა-ციხისძირის აკროპოლისზე და სამაროვანზე, სადაც ეს ტარა ჩვილი ბავშვების დასაკრძალავ ჭურჭლადაც არის გამოყენებული და ზოგადად IV-VI სს-ით თარიღდება [ინაიშვილი ნ., 1981, გვ. 124-127; ინაიშვილი ნ., 1993, გვ. 52-54, ტაბ. XXXVI, XXXVII, XXXVIII, XXXIX]. 30-ზე მეტი ყავისფერკეციანი წელში გამოყვანილი ამფორა აღმოჩნდა გონიოს ციხის [1]2 კოშკში, რომლის პირველი სართული VI ს-ში ამფორათა საწყობად გამოიყენებოდა, ფენა სანდოდ თარიღდება იუსტინიანეს (527-565 წწ.) კონსტანტინოპოლში და ანტიოქიაში მოჭრილი 40 ნუმიანი სამი მონეტით (ლორთქიფანიძე გ., ნონეშვილი ალ., 2002, გვ. 168-170). განთიადის ბაზილიკის ბემის კამარასა და კონქაში აღმოჩენილ ამფორათა შორის სწორედ ეს სახეობა წარმოადგენს უმრავლესობას [Хрушкова Л., 1985, გვ. 30, ტაბ. VIII, 2]; ცნობილია იგი ბომბორიდან (გუდაუთა) [Воронов Ю., 1969, таб. XXIX, 12] და გიენოსიდან (ოჩამჩირე) [Кобахия Б.,

Хрушкова Л., Шамба С., 1987, გვ. 142]; კერამიკული ტარის ამ სახეობის თავისებური ვარიანტი წარმოდგენილია წებელდაში და კოდორის ხეობაში გამოვლენილ სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე: წებელდის ციხეზე VI-VII სს-ის ფენებში [Воронов Ю., Гунба М., Бгажба О., Хрушкова Л., 1980, с. 244-247, таб. 102,*1*; Воронов Ю., 1980, с. 406]; სოფ. ოლგინსკოეს მახლობლად კრემაციულ სამარხში [ბერძენიშვილი ქ., 1959, გვ. 103-104, ტაბ. V,*1*]; ალრახუს (სამარხი №8), აბგიძრახუს (სამარხები №12, №13, №41, №43, №44), აპიანჩას (სამარხები №20, №21, №38), აჰაცარახუს (სამარხი №41) და ახაჩარხუს (სამარხი №2, №43) სამაროვანებზე [Гунба М, 1978, с. 66-67, таб. VIII,*5*; XII,*2*; XIX,*1*; XX,*1*; XLI,*5*; Трапш М., 1971, с. 135, таб. VI,*4*; VII,*16*; XX,*4*; XXI,*2*; XXII,*1*; Шамба Г., 1970:25-26, таб. IV,*1*; XV,*2*]. ამ ამფორათა თავისებურება მდგომარეობს ამფორის პირის ძაბრისებურ და გოფრირებულ გაფორმებაში, აგრეთვე წელის შეზნექილობა აქ კორპუსის უფრო ქვედა ნაწილშია გამოყვანილი, ხოლო კორპუსის ზედა ნაწილი უფრო გამობერილია. გარდა ამისა, წებელდურ წელშეზნექილ ამფორათა რამდენიმე ეგზემპლარის ძირზე დასტურდება გამჭოლი ნახვრეტის არსებობა (აბგიძრახუს №44 სამარხი, აჰაცარახუს №39 სამარხი), რასაც რ. ფუთურიძე პრაქტიკული დანიშნულებით ხსნის: ამ ნახვრეტში და ამფორის ყურებში თოკის გაყრით უფრო გაადვილდებოდა ამფორის ზურგზე მოკიდება [ფუთურიძე რ., 2001, გვ. 88-87]. მაშ, ამფორის ეს სახეობა კოლხეთის შიდა რეგიონებში სახმელეთო ტარას წარმოადგენდა. წებელდის სამაროვნებზე აღმოჩენილ

წელშეზნექილ ამფორებს მ. თრაფში ზოგადად არაუადრეს III-IV სს-ით ათარიღებს [Трапш М., 1971, с. 136].

კერამიკული ტარის ეს სახეობა კარგადაა წარმოდგენილი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში. ცნობილია ისინი ქერსონესიდან (VI-VII სს.) [Романчук А., 1976, с. 27-28], მირმიკიონიდან (IV-VI სს.) [Якобсон А. 1979, с. 12. тип 7], ტირიტაკიდან და ქერჩიდან (IV ს.) [Гайдукевич В., 1952, с. 120, рис.149], ილიჩევსკის ნაქალაქარიდან (IV ს.) [Сокольский Н., 1966, с. 131, рис. 4,*1*], პანტიკაპეონიდან (IV ს.), ერთი ეგზემპლარი დაცულია კრასნოდარის მუზეუმშიც (სემიბრატნოეს სამაროვნიდან, მდ. ყუბანის მარცხენა სანაპირო) [Зеест И., 1960, с. 121, таб.XL,*103*]; ცნობილია ისინი ვარნიდან - IV-VI სს. [Минчев А., 1972, ტაბ. I,*7,9*], რუმინეთიდან (Tomi, Histria), სკორპანის მიხედვით ტიპი XV, VI ს. [Scorpan C., 1977, p. 281, fig. 12]. დასტურდებ ეს სახეობა სამხრეთ შავიზღვისპირეთში, ქ. სინოპთან, დემირსიში (სინოპიდან 15 კმ სამხრეთით), აქვე გაითხარა ახ.წ. II-IV სს-ში მოქმედი კერამიკის გამოსაწვავი ქურები [ტეზგორი დ., 1999, გვ. 21-22]. ეს ამფორები, მართალია, ავლენენ კავშირს კოლხეთის ამფორებთან, თუმცა შეიმჩნევა განსხვავებებიც, მაგალითად არც ერთ მათგანზე არაა კოლხური ამფორებისთვის ესე დამახასიათებელი რელიეფური სპირალური ხვია, აგრეთვე არ აღინიშნება არათანაბარი გამოწვა და ა.შ. [ტეზგორი დ., 1999, გვ. 22].

ამფორის ეს სახეობა, ისევე როგორც სხვა ტიპები, ძირითადად, ღვინის და ზეითუნის ზეთის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა, თუმცა საინტერესო

აღმოჩენას ჰქონდა ადგილი ტირიტაკაში, 1939 წელს. IV-V სს-ის ფენებში აღმოჩნდა მომცრო ზომის წელშეზნექილი ამფორა, რომელიც შავი კუპრით, თუ ფისით იყო დახუფული, შიგ კი თხევადი ნავთობი ინახებოდა [Гайдукевич В., 1940, с. 212-213, სურ. 10]. ანალოგიური ნავთობის ნალექიანი წელშეზნექილი სამი მთლიანი ამფორა აღმოჩნდა "ნატეხების" ნამოსახლარზე, ქ. ფოთის სამხრეთით, პალიასტომის ტბის მცირე ყურეში [გამყრელიძე გ., 2001, გვ. 26, ტაბ. II,*2,3*]. ამ ამფორათა აღმოჩენით დასტურდება, რომ ეს ტიპი, აგრეთვე, ნავთობის ტრანსპორტირებისთვისაც გამოიყენებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ წელშეზნექილი ამფორები გენეტიკურად ელინისტურ ხანაში წარმოებულ კოლხურ ყავისფერკეციან ამფორებს უკავშირდება [Путуридзе Р., 1977, с. 68-71; ფუთურიძე რ., 2001, გვ. 87-89; Sazanov A., 1997, p. 90, fig. 1,*11*], მსგავსი ელინისტური ხანის კოლხური ყავისფერკეციანი ამფორები ცნობილია ეშერისა და ვანის ნაქალაქართა კულტურული ფენებიდან [Шамба Г., 1980, с. 25, таб. XXXIII,5; ხოშტარია ნ., ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., ლეჟავა გ., 1972, გვ. 157, ტაბ. 109, 111/5-9]. მათი შემდგომი განვითარების ეტაპად ბიჭვინთაში [ბერძენიშვილი ქ., ფუთურიძე რ., 1975, გვ. 273, ტაბ. 58], სებასტოპოლისში [Трапш М., 1969, с. 331, таб. XLIV] და ბოლოდროინდელი გათხრების შედეგად, გონიოში აღმოჩენილი II-III სს. ყელწიბოიანი ამფორები ითვლება [ხალვაში მ., 2002, გვ. 14], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისთვის კი გორგიპიის ნაქალაქარის II ს. ბოლო – III ს. დასაწყისის კულტურულ ფენებში აღმოჩნილი

წელშეზნექილი ამფორა [Кругликова И., 1966, с.150, рис. 37,*12*]. საინტერესოა, რომ 1998 წელს გონიო-აფსაროსის შიდა ციხის სამხრეთ-დასვლეთ კუთხეში სამეურნეო დანიშნულების უბანზე გაითხარა ყელწიბოიანი ამფორების დამამზადებელი ქურა-სახელოსნო [ხალვაში მ., 2002, გვ. 16]. ყელწიბოიანი ამფორების შემდგომი განვითარების ეტაპს, როგორც ჩანს, IV-VI სს-ში გავრცელებული პროფილირებულპირიანი წელშეზნექილი ამფორები წარმოადგენენ. კერამიკული ტარის ამ სახეობის ადგილობრივ კოლხურ წარმოებაზე მათი მრავლად აღმოჩენის ფაქტი მოწმობს. ამ ამფორათა წარმოება კი, სავარაუდოდ, არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც ხდებოდა, რასაც ამ რეგიონებში აღმოჩენილი წელშეზნექილი ამფორების სიმრავლე და მათი მრავალფეროვნება ადასტურებს.

7. ამფორის უკანასკნელი ტიპი წარმოდგენილია მრგვალძირიანი პატარა დერგის მაგვარი ამფორით, მოკლე ცილინდრული კორპუსით და ოდნავ შევიწროებული ბოლოთი. კეცი მოვარდისფრო-ნაცრისფერია. ყურები და კორპუსი დაღარული. ამფორის სიმაღლეა 47,5 სმ, დიამეტრი – 26,5 სმ, ყელის სიმაღლე – 9 სმ (ტაბ. IX,2-*7*). ამფორის მხრებზე წითელი საღებავით შესრულებულია წარწერა (ტაბ. IX,2-*8*) [Хотелашвили М., Якобсон А., 1984, გვ. 197]. ანალოგიური ამფორა აღმოჩნდა განთიადის ბაზილიკის კამარაში (ტაბ. V,5).

მსგავსი ამფორის ფრაგმენტები ცნობილია ბიჭვინთაში [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 78, ტაბ. XXXVII,1], წებელდაში

[Воронов Ю., Бгажба О., 1985, გვ. 71, სურ. 23,*6,7,9*; 24,*1,3,8*; Воронов Ю., Бгажба О., 1987, გვ. 129, სურ. 13,*15*], ნოქალაქევში [Леквинадзе В., Хведелидзе Л., 1981, გვ.. 133, ტაბ. XLV,1,2] და გონიო-აფსაროსის ადრე შუა საუკინეთა ფენებში [ხალვაში მ., 2002, გვ. 43-44, სურ. 34,1]. ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: ქერსონესში, ფანაგორიასა და მირმეკიონში, IV-VI სს. ფენებში [Якобсон А., 1979, გვ. 13-14, სურ. 2*,6,* тип 9]; ტირიტაკაში, IV ს., თუმცა ეს ტიპი აქ მოგვიანო VIII-IX სს-ის ფენებშიც დასტურდება [Гайдукевич В., 1952, с.122, 128, рис.150,*1*; 163]; პანტიკაპეონში (IV ს.) [Зеест И., 1960, с. 120. 98а]; ტამანის ნახევარკუნძულზე, ილიჩევკის ნაქალაქარზე (IV ს.), ამ ტიპის ამფორათა არსებობას ყირიმში, ტამანის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში სოკოლსკი IV-VII სს-ით განსაზღვრავს, ხოლო ილიჩევკის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ამფორათა შორის იგი ადგილობრივ (წითელკეციან) და იმპორტულ (ღია ფერის კეცის მქონე) ნაწარმს გამოყოფს [Сокольский Н., 1966, с. 132, рис. 5]. ცნობილია ეს ტიპი რუმინეთში (Sacidava, Histria, Tomis,), სკორპანის მიხედვით ტიპი VIII, VI ს. [Scorpan C., 1977, p.277, fig. 12; Opaiţ A., 1996, გვ.207]; Opait-ის მიხედვით ეს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული ამფორაა, ტიპი LRA1, რომელიც ფართოდ ვრცელდება V ს-ის ბოლოს, VI ს-ის დასაწყისში [Opaiţ A., 1996, გვ. 207, planşa 7, *3-4*]; მსგავსი ეგზემპლარები დაცულია ვარნის მუზეუმში [Минчев А., 1972, ტაბ. IV,*46*]; მთელი სერია მსგავსი ამფორებისა აღმოჩენილია Yassi Ada-ში (ბოდრუმთან, თურქეთი) ჩაძირულ გემზე, ეს ამფორები LRA1 ტიპის ამფორებს

განეკუთვნება და გემზე აღმოჩენილი მონეტების მიხედვით თარიღდება VII ს-ის პირველი ნახევრით [Alfen P., 1996, გვ. 189-213. LRA1 ; Bass G. and Doorninck F., 1982, გვ. 156-157, fig. 8-1, 8-3, cargo amphoras of type 1]. ანალოგიური LRA1 ტიპის ამფორა ცნობილია კართაგენიდან [Reynolds P., 1995, fig. 87; Sodini J-P., 1993, სურ. 32, LRA1], სამოსიდან [Hautumm W., 1981, გვ. 206-207, abb. 167,168,169], ათენის აგორიდან (V ს. ბოლო –VI ს. დასაწყისი) [Hautumm W., 1981, გვ. 207-208, abb.171], Kourion-იდან (კვიპროსი) და რომიდან, IV ს. [Arthure P., 1998, p. 164, fig.5]. Ballana-ს და Qustul-ის ნეკროპოლებიდან (ქვედა ნუბია) [Hautumm W., 1981, გვ. 208, abb.174], Benghazi-დან (ლიბია) და დარდანელიდან [Peacock and Williams, 1986, p.185, fig. 104. class 44]. LRA1 ტიპის ამფორები აქტიურად იყო მიმოქცევაში IV-VII სს-ში. დასტურდება ეს ტიპი სამხრეთ საფრანგეთის არაერთ ძეგლზე (Marseille, Collioure, Port-Vendres, Tautavel, Pataran, Colian, Venéjan, Saint-Blaise, Toulon, Hyères, Fréjus, Antibes, V-VII სს.) [Bonifay M. et Villedieu F., 1989, p. 25, fig. 5,*1,2*]. ამ ტიპის ეგზემპლარები ირლანდიაშიც კია ნაპოვნი [Arthure P., 1998, p. 164, fig.5].

LRA1 ტიპის ამფორები ძირითადად ღვინის და ზეითუნის ზეთის გადასატანად გამოიყენებოდა, ზოგიერთი მათგანის შიდა პირი კუპრის თუ ფისის ფენით იყო დაფარული [Alfen P.G., 1996. გვ. 208]. ამ ტიპის ამფორათა წარმომავლობა ანტიოქიის რეგიონს უკავშირდება. Alexandretta-ს ყურეში (დღ. Iskanderum) და კილიკიის სანაპიროზე აღმოჩენილია LRA1 ტიპის ამფორათა გამოსაწვავი ქურები [Alfen P., 1996, გვ. 208], მათი წარმოება კვიპროსზე,

როდოსსზე და სამოსზეც ხდებოდა, მხოლოდ ირანელთა აქტიური თავდასხმების შემდეგ (611-15 წწ.), მათი წარმოება განახევრდა, ან სულაც შეწყდა [Alfen P., 1996, გვ. 210].

LRA1 და LRA2 ტიპის ამფორებზე ხშირია გრაფიტოების და დიპინტების დატანა, წარწერა ჩვეულებრივ ბერძნულ ენაზეა შესრულებული, თუმცა აშდოდიდან ცნობილ ეგზემპლარზე წარწერა არამეულ თუ ებრაულ ენაზეა შესრულებული. ეს წაერწერები ჩვეულებრივ ამფორის შემადგენლობას, წონას და მფლობელის ვინაობას აღნიშნავდა [Alfen P., 1996, გვ.201-202. იქვე ლიტერატურა]. ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება დრანდის ეგზემპლარზე წითელი საღებავით დატანილი წარწერის შინაარსი.

ამრიგად, დრანდის ტაძარში გამოვლენილი ამფორები იმდროინდელ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთში საკმაოდ გავრცელბულ კერამიკულ ტარას წარმოადგენდა, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VII სს-ებს შორის თავსდება. ზოგიერთი მათგანის წარმოება კი უფრო მოგვიანო ხანაში, VIII ს-შიც ხდებოდა (დრანდა 4, LRA5/6; დრანდა 5, LRA4; დრანდა 7, LRA1;). გამოვლენილი ამფორების შუქზე კარგად ვლინდება ის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომელიც დასავლეთ საქართველოს, ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის სახელმწიფოებს შორის უნდა არსებულიყო აღნიშნულ პერიოდში.

დრანდის ტაძრის თარიღის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მას მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ ვარიაციად განიხილავენ და VIII ს-ით ათარიღებენ (გ. ჩუბინაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, დ.

თუმანიშვილი), მეორენი VII ს-ით [Высоцкий А., 1978, с. 154], მესამენი ტაძარს წმინდა ბიზანტიურ მოვლენად მიიჩნევენ და VI ს-ით ათარიღებენ (ა. იაკობსონი, ვ. ლექვინაძე, ლ. ხრუშკოვა), ამ შემთხვევაში მკვლევარები ძირითადად ტაძრის გუმბათქვეშ აღმოჩენილ ამფორათა უმრავლესი ნაწილის (იგულისხმება წელშეზნექილი ამფორები) თარიღიდან გამოდიან, რომელიც აქტიურად იყო მიმოქცევაში სწორედ IV-VI სს-ში, VII ს-ით დათარიღებული ამ ტიპის ამფორები საქართველოში ჯერ-ჯერობით უცნობია; მაგრამ დრანდის ტაძარს არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული თარიღიც გააჩნია, რომელიც ტაძრის აგურის ანალიზის შედეგად იქნა მიღებული – VIII საუკუნის ბოლო (პლიუს-მინუს 50 წელი) [Меписашвили Р., 1983, с. 10]. მაგრამ, რადგანაც არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღებაში დიდია ალბათობისა და ცდომილების ხარისხი, ამიტომ უფრო მართებული უნდა იყოს ძეგლის დათარიღებისას უკეთ განსაზღვრულ არქეოლოგიურ მონაცემებს დავეყრდნოთ, როგორსაც ამ შემთხვევაში ტაძრის მშენებლობის დროინდელი ამფორები წარმოადგენენ, ამავე დროს გასათვალისწინებელია ძეგლის ჯვარ-გუმბათოვანი კონსტრუქცია და მისი მიმართება მცხეთის ჯვართან, შესაბამისად დრანდის ტაძარი VI ს-ის ბოლო, VII ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

საინტერესოა, რომ დრანდა VI ს. და შემდეგ საუკუნეთა ამსახველ წერილობით წყაროებში, მათ შორის არც VII-IX სს-ით დათარიღებულ Notitia episcopatuum-ში არ მოიხსენიება. თავის დროზე ამის ახსნა სცადა ი. ვორონოვმა, იგი დრანდის ტაძარს

სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსთა კათედრად მიიჩნევდა [Воронов Ю., 1980, გვ. 97]. მისი ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა ვ. ლექვინაძემ [Леквинадзе В., 1988, გვ. 212-213]. მაგრამ ეს მოსაზრება ალბათ ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება დღეს, როცა სოხუმში უკვე გათხრილია VI საუკუნის ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ სებასტოპოლისის ეპისკოპოსთა კათედრას წარმოადგენდა.

## თავი IV. არქეოლოგიური მონაცემები

### § 1. სამაროვნები და სამარხთა ძირითადი ტიპები. ქვის სარკოფაგები

გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვნები თუ ცალკეული სამარხები ძირითადად ნაქალაქართა თუ ნამოსახლართა მახლობლად და ეკლესიებთან, ან უშუალოდ ეკლესიებშია გათხრილი. მათგან ყველაზე გეგმაზომიერად და სრულყოფილად ბიჭვინთის და წებელდის სამაროვნებია შესწავლილი. ფაქტიურად შეუსწავლელია ხაშუფსეს, აჩმარდის, ლაფსთის სამაროვნები (მდ. ხაშუფსეს ხეობაში) [Шамба С., 1974]. რამდენადმე მცირე მასშტაბის სამაროვნები გაითხარა ეკლესიების მახლობლად ოჩამჩირესა და განთიადში. 2002 წელს კი აჭანდარაში, ბორცვ ცოუხუაზე, გაითხარა IV-VI სს. სამაროვანი [Скаков А., Джобуа А., Брилёва О., 2003].

ცნობილია, რომ სამაროვანი და იქ აღმოჩენილი ნივთიერი მასალა ყველაზე უკეთ ასახავს წარსულში მცხოვრები

საზოგადოების ნივთიერ და სულიერ კულტურას, დაკრძალულთა საზოგადოებრივ მდგომარეობას, საიქიო ცხოვრებასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს, დაკრძალვის წესებს და, ზოგჯერ ეროვნულ კუთვნილებასაც.

გამოვლენილი სამაროვნების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ პერიოდის სამარხთა ძირითად ტიპებზე. სამარხთა ტიპების მრავალფეროვნებით, უპირველეს ყოვლისა, ბიჭვინთის სამაროვანი გამოირჩევა. აფხაზეთში ადრებიზანტიური ხანის სამარხთა შემდეგი ტიპებია გამოვლენილი: 1. გრუნტული ორმო სამარხები. ეს ტიპი თითქმის ყველგანაა გავრცელებული და სამარხის წამყვან ტიპს წარმოადგენს. წებელდასა და ბიჭვინთაში ამ ტიპის კრემაციული და ინჰუმაციური ფორმები თანადროულადაა წარმოდგენილი; 2. თიხის (აგურის) ფილა სამარხები (ბიჭვინთა, სოხუმი, ოჩამჩირე, განთიადი); 3. კრამიტსამარხები (ბიჭვინთა); 4. ამფორასამარხები (ბიჭვინთა); 5. კირხსნარიანი, დუღაბიანი სამარხები (ბიჭვინთა); 6. ფილაქვებით, აგურით, კრამიტითა და დუღაბით ნაგები სამარხები (სოხუმი, განთიადი, შაპკა); 7. კონგლომერატითა და ლოდებით ნაგები, გეგმაში მრგვალი, ე.წ. ჭასამარხები (ბიჭვინთა); 8. კონგლომერატითა და კვადრებით ნაშენი, გეგმაში ოთხკუთხა სამარხები, ორმოსამარხები (ბიჭვინთა); 9. ქვის ფილებით ნაგები სამარხები (განთიადი); 10. ქვის სარკოფაგები (ბიჭვინთა, სოხუმი, მრამბა, კამანი).

დასავლეთ საქართველოში გრუნტული ორმო სამარხების კრემაციული და ინჰუმაციური ფორმების თანაარსებობა უკვე

ადრეანტიკურ ხანაში დასტურდება. დაკრძალვის ეს წესი ტრადიციული ჩანს კოლხეთისთის. თანადროულადაა ისინი წარმოდგენილი გუად-იხუს, სოხუმის მთის, ღების, ბრილის, დაფნარის და სხვ. სამაროვნებზე [კიღურაძე ნ., 1972, გვ. 32-37]. ბიჭვინთის სამაროვანზე, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო II-IV საუკუნეებით შემოიფარგლება, სულ 7 კრემაციული სამარხია გათხრილი, რომელთაგან ერთი ინვენტარიანია. დადასტურებულია მიცვალებულის როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი კრემაციის ფაქტი [ლორთქიფანიძე, გ., 1991, გვ. 154]. რაც, სავარაუდოდ, დაკრძალულთა სქესობრივი სხვაობით აიხსნება, სრული კრემაცია დედაკაცებს უკავშირდება, ნაწილობრივი კი – მამაკაცებს [კიღურაძე ნ., 1972, გვ. 37]. კრემაციული სამარხები წებელდაში VII ს-ის დასაწყისამდე განაგრძობს არსებობას [Воронов Ю., 1969, с. 62] და მხოლოდ 18,6 % შეადგენს, V ს-დან მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება, რასაც მ. თრაფში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირებს [Трапш М., 1971, გვ. 124]. წებელდაში ფერფლი ურნებში თავსდებოდა. ურნებად მოზრდილი პითოსები და ორყურა პირძაბრიანი დოქები გამოიყენებოდა. სრულიად არ გვხვდება ურნებად ამფორების გამოყენება [Трапш М., 1971, გვ. 122]. დასავლეთ საქართველოში კრემაციული სამარხები ურნით ცნობილია ჩხოროწყუს გვიანანტიკური ხანის სამაროვნიდან [Хоштариа Н., 1941, с. 67-95].

როგორც წებელდაში, ისე ბიჭვინთაში, ინჰუმაციური ორმოსამარხები მნიშვნელოვნად ჭარბობს კრემაციულს. წებელდაში ეს წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის ორმოა, 1 - 1,5 მ სიღრმის,

სადაც მიცვალებული ძირითადად ზურგზე გაშოტილ მგომარეობაშია დაკრძალული, მათი პროცენტული მაჩვენებლი 81,4% შეადგენს. ხელები სხვადასხვაგვარადაა განლაგებული - მკერდზე, მუცელზე, ან სხეულის გასწვრივ. მაგრამ გვხვდება ისეთი სმარხებიც, როცა მიცვალებული გვერდზე წევს მოკრუნჩხულ პოზაში. მსგავსი, ფეხმოკეცვით, გვერდზე დაკრძალვა, გამონკლისის სახით, მხოლოდ 15 შემთხვევა, გვხვდება ბიჭვინთაშიც [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 113]. აზგიძრახუს ორ სამარხში კი (№9 და №54) მიცვალებულთა ფეხები გადაჯვარედინებულია, რაშიც მ. თრაფში სარმატულ დაკრძალვის წესს ხედავს [Трапш М., 1971, გვ. 121].

წებელდაში მიცვალებულთა დამხრობა ინჰუმაციურ ორმოსამარხებში სხვადასხვაგვარია, და მათ განლაგებაში რაიმე კანონზომიერება არ იკითხება. დამხრობა ძირითადად ადგილის რელიეფით უნდა ყოფილიყო განპირობებული. შაპკის სამაროვანზე სამარხები ძირითადად სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთითაა დამხრობილი (თუმცა ეს უკანაკნელი ჭარბობს); წებელდის სამაროვანზე თავი ხშირად დამხრობილია სამხრეთით, იშვიათად – ჩრდილოეთით; აფუშთის სამაროვანზე პირიქით, სამარხთა უმრავლესობა დასავლეთითაა დამხრობილი, მცირე ნაწილი კი სამხრეთით [Воронов Ю., 1969, с. 62]; აზანთაში სამარხთა უმრავლესობა ორიენტირებულია თავით ჩრდილოეთით, და მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიცვალებული თავით დასავლეთითაა დამხრობილი; ლარის სამაროვანზე სამარხები ჩრდილოეთითაა დამხრობილი [Воронов Ю.,1969, с. 60];

რამდენადმე ერთფეროვნადაა წარმოდგენილი სამარხების დამხრობის წესი საგვარეულო სამაროვანზე, მაგალითად, ახაჩარხუზე (სულ გათხრილია 45 სამარხი) სამარხთა უმრავლესობა (33) ინჰუმაციურია, ყველა მათგანი დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთით [Шамба Г., 1970, с. 13]. აზგიძრახუზე (სულ გათხრილია 58 სამარხი) სამარხები ჩრდილო-დასავლეთით (14), დასავლეთით (7), ჩრდილოეთით (2) და დასავლეთ-სამხრეთითაა (3) დამხრობილი. აჰაცარახუზე (სულ გათხილია 13 სამარხი) სამარხები დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთით (2), სამხრეთ-დასავლეთით (1), და დასავლეთით (1). აუახუამახუზე (სულ გათხრილია 7 სამარხი) - სამხრეთ-დასავლეთით (3). ალრახუზე (სულ გათხრილია 12 სამარხი) სამარხები დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთით (4), ჩრდილო-დასავლეთით (2) და დასავლეთით (2) [Трапш М., 1971, გვ. 222-229]. ჩრდილოეთით დამხრობილი სამარხების არსებობას მ.თრაფში წებელდაში სარმატულ-ალანური გავლენის არსებობას უკავშირებს [Трапш М., 1971, გვ. 121].

როგორც ვხედავთ, სამარხთა დამხრობაში რაიმე კანონზომიერების დანახვა ძნელია. სავარაუდოდ, სწორი უნდა იყოს ი. ვორონოვის მოსაზრება, რომ სამარხთა დამხრობა წებელდაში ადგილის რელიეფით იყო განპირობებული [Воронов Ю., 1969, с. 62].

ბიჭვინთის სამაროვანზე ინჰუმაციური ორმოსამარხები, ინვენტარიანი, თუ უინვენტარო, ძირითადად დასავლეთითაა დამხრობილი [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 117]. მაგალითად, 121 ინვენტარიანი ორმოსამარხიდან 43 დასავლეთითაა დამხრობილი,

დანარჩენები კი ჩრდილოეთით (20), ჩრდილო-დასავლეთით (20), ჩრდილო-აღმოსავლეთით (12) და ა.შ. 103 უინვენტარო ორმოსამარხიდან 35 დასავლეთითაა დამხრობილი, 16 – ჩრდილო-დასავლეთით, 11 – ჩრდილოეთით, 10 – ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10 – აღმოსავლეთით და ა.შ. [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 161]. თუმცა ბიჭვინთაში უკვე III საუკუნეში არსებობდა მიცვალებულის დამხრობა თავით დასავლეთით და გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში დასვენება, უინვენტაროდ [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 114].

მკვლევართა შორის დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ერთ სამაროვანზე დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა, კერძოდ, ინჰუმაციისა და კრემაციის თანაარსებობა. ქ. ზერძენიშვილის აზრით ეს გამოწვეული იყო ეთნიკური სხვაობით. კრემაციულ სამარხებს იგი აფსილებს უკავშირებს, ინჰუმაციურს კი – კოლხებს [ზერძენიშვილი ქ., 1959, გვ. 106-107]. ამის საპირისპიროდ, გ. შამბა მიიჩნევს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი ეთნიკური ჯგუფის ორ ტრადიციასთან [Шамба Г., 1970, с. 16-17]. ზ. ანჩაბაძის აზრით კი, დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა გამოწვეული იყო სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით [Анчабадзе З., 1964, с. 228-229]. ი. ვორონოვი ამ მოვლენას სოციალური მოტივით ხსნის, იგი არ გამორიცხავს წებელდის საზოგადოებაში მონობის საწყისი ფორმების არსებობას, კრემაციულ სამარხებს იგი ტყვეებს უკავშირებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისგან განსხვავებით კრემაციული წესით იკრძალებოდნენ [Воронов Ю., 1975, с. 101]; რაც, ალბათ, ნაკლებ

სავარუდოა, რადგან კრემაცია გარკვეულ ხარჯებს მოითხოვდა, და ინჰუმაციასთან შედარებით ბევრად ძვირი ჯდებოდა [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 154; კიღურაძე ნ., 1972, გვ. 35]. თუმცა, როგორც ნ. კიღურაძე შენიშნავს, კრემაციისთვის აუცილებელი საწვავის პრობლემა ტყით მდიდარ კოლხეთში არ არსებობდა, ამის გამო არც კრემაცია უნდა ყოფილიყო რაღაც განსაკუთრებულ ხარჯებთან დაკავშირებული, ამიტომ კრემაციის წესი სოციალური განსხვავების გარდა ლოკალურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, ამავე დროს მხედველობაში მისაღებია გარდაცვლილის სქესი და შესაძლოა სიკვდილის ხასიათიც [კიღურაძე ნ., 1972, გვ. 35]. რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით კრემაცია აჩქარებდა მიცვალებულის ხორციდან სულის გამოყოფას [Куфтин Б., 1949, გვ. 191-192]. წებელდის სამაროვნებისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესისი მრავალფეროვნება, ვ. ჯაფარიძის აზრით, სამხედრო კონტიგენტის სიჭრელით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული [ჯაფარიძე ვ., 1999, გვ. 44].

ინჰუმაციური ორმოსამარხები გაითხარა 2002 წელს აჭანდარაში ბორცვ ცოუხუაზე [Скаков А., Джобуа А., Брилёва О., 2003]. ეს ადგილი 1980 წელს დაუზვერავს ა. გაბელიას, და აქ გამოვლენილი სამაროვანი განვითარებული შუა საუკუნეებით დაუთარიღებია. ამავე ადგილას 1970 წელს ძვ.წ. VIII ს-ის სამარხი აღმოჩნდა, 1990 წელს კი ძვ.წ. V-IV სს-ის მდიდრული სამარხი; 2002 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 15 სამარხი. 8 შემთხვევაში სამარხი დამხრობილია

ჩრდილო-დასავლეთით, 3 მათგანი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი – დასავლეთით, და ერთიც – ჩრდილოეთით; ხელები სხვადასხვაგვარადაა განლაგებული, სხეულის გასწვრივ, მკერდზე, მუცელზე თუ მენჯის მიდამოებში. ორ სამარხში მხოლოდ თავის ქალები აღმოჩნდა; №11 სამარხში კი მიცვალებულის ფეხებს შორის მეორე თავის ქალა იყო ჩადებული. სამაროვანი IV-VI სს-ებით თარიღდება [Скаков А., Джобуа А., Брилёва О., 2003].

ინჰუმაციურ ორმოსამარხთა ტიპს განეკუთვნება აგრეთვე, მხედრის სამარხები ცხენთან ერთად, ან მხოლოდ ცხენის სამარხი. ბიჭვინთის სამაროვანზე 10 შემთხვევაა მიცვალებულთან ერთად ცხენის დაკრძალვისა, ერთ შემთხვევაში ცხენთან ერთად ძაღლის ჩონჩხიც აღმოჩნდა [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 153]. წებელდის სამაროვანზე ცხენის დაკრძალვის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი: აბგიძრახუს, აჰაცარახუს, აპიანჩასა და ახაჩარხუს ნეკროპოლებზე [Трапш М., 1971, გვ. 122; Гунба М., 1978, გვ. 30-32, ტაბ. XXI; Шамба Г., 1970, ტაბ. XXI]. ზოგიერთი მკვლევარი ამ ტიპის ცხენიან სამარხებს ჰუნებს უკავშირებს, ან ჰუნების მიერ განადგურებულ სარმატ-ალანთა ტომებს, რომელთა განსახლება შედეგად სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისაკენ მოხდა [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 154]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული ცხენის სამარხი ცნობილია კულანურხვას სამაროვნიდან, ცხენის და მხედრის სამარხი კი წითელი შუქურას სამაროვნიდან და სოხუმიდან (ძვ.წ. VI ს.) [Трапш М., 1971, გვ. 123]; დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ცხენიანი სამარხები ცნობილია ითხვისიდან (ძვ.წ. V ს.), ბორიდან, კლდეეთიდან (ახ.წ.

პირველი საუკუნეები) და ვანიდან [Лордткипанидзе Г., 1970, გვ. 61]. აღმოსავლეთ საქართველოში ცხენიანი სამარხები უკვე გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხებში გვხვდება (სოფ. აბანოსხევი, ძვ.წ. XIV-XIII სს.; დოღლაურის ყორღანი) [Гогочури Г., 1987, с. 529; გაგოშიძე ი., ქორიძე ე., გოგიჩაიშვილი ა., 1986, გვ. 65]. საინტერესოა, რომ ცხენის ჩონჩხი დადასტურდა ბიჭვინთის სამაროვანზე გათხრილ რამდენიმე კირხსნარიან სამარხში [თოდუა თ., 2000, გვ. 192]. სამარხის ეს ტიპი ერთ-ერთ წამყვან სახეობას წარმოადგენს ბიჭვინთის სამაროვანზე. მათი საერთო რაოდენობა 115 აღწევს. მიცვალებული ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაშია დასვენებული; სამარხის დამხრობა სხვადასხვაგვარია; სამარხთა ნაწილი ინვენტარიანია, ნაწილი კი უინვენტარო; ინვენტარის მიხედვით სამარხები III-IV სს-ით თარიღდება [Лордткипанидзе Г., Кигурадзе Н., Тодуа Т., 1987, გვ. 57-58]. კირხსნარიანი სამარხი უჩვეულოა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიისათვის, არამედ საერთოდ მთელი რომაული სამყაროსთვისაც. ბიჭვინთაში ამ ტიპის სამარხი, სავარაუდოდ, როგორც ბერძნულ-რომაული, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დასაკრძალავად გამოიყენებოდა [თოდუა თ., 2000, გვ. 192].

თიხის (აგურის) ფილა სამარხები, რომლებიც ბიჭვინთაში, სოხუმში, გიენოსსა და განთიადშია აღმოჩენილი, მეტნაკლებად განვიხილეთ ზემოთ, ამ პუნქტებზე ცალ-ცალკე მსჯელობისას, ამიტომაც მათზე აღარ შევჩერდებით.

კრამიტსამარხები მხოლოდ ბიჭვინთის სამაროვანზე დასტურდება. პროცენტულად ეს ტიპი შედარებით მცირეა, სულ

13 (აქედან 6 ინვენტარიანი). ისინი ბრტყელი კრამიტითაა ნაგები, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივ სახელოსნოებშია დამზადებული. დამხრობა აქაც სხვადასხვაგვარია. მიცვალებული დაკრძალულია თავით ჩრილოეთით (15), დასავლეთით (11), აღმოსავლეთით (10), სამხრეთით (9), ჩრდილო-აღმოსავლეთით (5) და ა.შ. თარიღდება III-IV სს-ით. კრამიტსამარხი, როგორც ცნობილია, სახლის თავისებურ იმიტაციას წარმოადგენდა. ბიჭვინთის კრამიტსამარხი, სავარაუდოდ, ბერძნულ ეთნოსს, მის ტრადიციებს უკავშირდება [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 151]. ასევე არაადგილობრივ ეთნოსს და უპირატესად შეძლებული ფენის წარმომადგენლებს უკავშირდება დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანზე (კარსნისხევი, სამთავრო, მოგვთაკარი, სვეტიცხოველი) გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის კრამიტსამარხები [Ивашенко М., 1980, с. 206-207; სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., 1985, გვ. 111]. ამ ტიპის სამარხი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უკვე ძვ.წ. IV ს-ში დასტურდება ფიჭვნარში, სამარხი კრამიტსახურავიანია [კახიძე ა., 1983, გვ. 53]. ანალოგიური სამარხი პირველად დასავლეთ საქართველოში 1972 წელს აღმოჩნდა დაბლაგომის გათხრებისას, ნაციხვარას ბორცვზე [თოლორდავა ვ., 1976].

ამფორასამარხები, ასევე, მხოლოდ ბიჭვინთიდანაა ცნობილი, ბერძნული ტრადიციის თანახმად, მათ ჩვილი ბავშვების დასაკრძალად გამოიყენებდნენ რომაულ ხანაში. პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილია ადგილობრივ დამზადებული და იმპორტირებული II-IV სს-ით დათარიღებული სამარხად გამოყენებული 66 ამფორა, მათ შორის მხოლოდ ერთია

ინვენტარიანი. დამხრობა აქაც სხვადასხვაგვარია, თუმცა უმეტესობა დამხრობილია დასავლეთით (11) [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 157, 161]. სრულიად სხვაგვარი ვითარებაა წებელდაში. აქ ამფორასამარხები საერთოდ არ გვხვდება, რასაც მ. თრაფში აფხაზეთის მთიანეთში ბერძნული ეთნიკური ელემენტის არარსებობით ხსნის [Трапш М., 1971, გვ. 124].

რაც შეეხება ჭასამარხებს, ბიჭვინთის სამაროვანზე სამარხის ეს ტიპი ხუთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. სავარაუდოდ, აღნიშნული სამარხები ქალაქის ადგილობრივ მოსახლეობას ეკუთვნოდა, რადგან ბერძნულ-რომაული სამყაროსთის დაკრძალვის ეს წესი არაა დამახასიათებელი [თოდუა თ., 2000, გვ. 200].

ბიჭვინთის სამაროვანს უკავშირდება, აგრეთვე, ამ რეგიონის ადრეული ქრისტიანობის ისტორიის კვლევისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩენა – სამარხის სტელა ჯვრით. იგი ადგილობრივი ქვიშაქვის მონოლითისგანაა დამზადებული. სტელის შემორჩენილი სიგრძეა 73,27 სმ, სიგანე - 30 სმ. მონოლითის ზედა ნაწილში ამოჭრილია ოთხკუთხა 2,5 სმ სიღრმის ფოსო 13,4X7 სმ, რომელშიც თავის მხრივ, მეორე ფოსოა გაკეთებული 11X4,5 სმ, რკინის ჯვრის ჩასადგმელი (ტაბ. I,10,11). რკინის ჯვარი ნაწილობრივ შემორჩა. ჯვრიანი ბუდე საგულდაგულოდ დაუფარავთ ღარიანი 0,7 სმ სისქის კრამიტის ნაჭრისაგან გამოჭრილი სპეციალური 13X7 სმ ზომის სარქვლით, რომელიც კირხსნარით გადაულესავთ. თავის დროზე სტელა ალბათ ფარული ქრისტიანის სამარხზე იყო აღმართული. შემდეგ,

როგორც სამშენებლო მასალა, მოხვდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის წრიულ კედელში. სტელა დიოკლიტიანეს ეპოქით (313 წ. "მილანის ედიქტის" წინა პერიოდი) თარიღდება [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 155]; თუმცა მ. მშვილდაძე სტელაში ჩადებული ჯვრის არქაული ფორმისა და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ბიჭვინთის სამაროვანი უკვე III ს. ინტენსიურად იყო ათვისებული, რომელზეც ყოველი მეხუთე სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა, და რომ ამავე საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანები არანაკლებ დევნას განიცდიდნენ, არ გამორიცხავს სტელის III ს. შუა ხანებით – დეციუსისა (249-251წწ.) და ვალერიანეს (253-260წწ.) იმპერატორობის პერიოდით დათარიღებას [მშვილდაძე მ., 2003, გვ. 264-5]. გ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ III ს-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რომელშიც გარდა ლეგიონერებისა, კანაბეს მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მათ უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის სამაროვანზე გამოვლენილი უინვენტარო ორმოსამარხები, რომელშიც მიცველებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, ზურგზე, თავით დასავლეთით [ლორთქიფანიძე გ., 1991, გვ. 155-6].

<u>ქვის სარკოფაგები</u>. რადგან სამარხთა ძირითადი ტიპები მეტნაკლებად განხილულია ზემოთ, ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ ქვის სარკოფაგებზე, როგორც ქრისტიანული ხანისთვის დამახასიათებელ სამარხთა ტიპზე.

აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის ოთხი სარკოფაგია შემორჩენილი: სოხუმში, ბიჭვინთაში, კამანსა და მრამბაში. ორი ქვის სარკოფაგი გაითხარა, აგრეთვე, აბაანთის სამეკლესიან ბაზილიკაში, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, უფრო მოგვიანო ხანის სამარხებს წარმოადგენენ [Шервашидзе Л., 1975, გვ. 20][1]. ყველა ეს სარკოფაგი ქვაშია გამოკვეთილი. მათგან ორი (სოხუმი, ბიჭვინთა) ანთროპომორფული ფორმისაა, რაც ერთიორად ზრდის მათდამი ინტერესს, რადგან საქართველოს სხვა კუთხეში მსგავსი ფორმის სარკოფაგი ჯერჯერობით მიკვლეული არაა.

სოხუმის კირქვის მონოლითური სარკოფაგი, აღმოჩნდა 1954 წელს მდ. ბესლეთის მარჯვენა სანაპიროზე, წითელ ხიდთან, ეკლესიის ნანგრევებთან. ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში. სარკოფაგი ანთროპომორფული ფორმისაა. როფის სიგრძეა 2,1 მ, სიგანე თავში – 0,68 მ, სიგანე ბოლოში – 0,40 მ. კედლების სისქეა 0,5 – 0,7 მ. სარკოფაგს მასიური კირქვის სარქველი აქვს გრძივი ქედით (ტაბ. XV,1). ცნობა სარკოფაგში ძვლების ან ინვენტარის შესახებ, არ არსებობს [Воронов Ю. Н., 1969. с. 51. таб. VII, 9, 10; Хрушкова Л., 1984. с. 207].

ბიჭვინთის კირქვის მონოლითური ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგი ორფერდა სარქველით აღმოჩნდა 1980 წელს ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს, მისგან 30 მ დასავლეთით გათხილ ადრექრისტიანულ ტაძარში. ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ აფსიდაში გაითხარა აგრეთვე

[1] ვსარგებლოვ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დოკუმენტაციის და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული ლ. შერვაშიძის გამოუქვეყნებელი საველე ანგარიშებით.

უინვენტარო ქრისტიანული კრამიტსამარხები. სარკოფაგი ტაძრის ჩრდილოეთი აფსიდის დასავლეთით მდებარეობდა. როფის სიგრძეა 2 მ (შიგნიდან), სიგანე – 0,4 მ, კედლის სიმაღლე – 0,3 მ, კედლის სისქე – 0,5 მ. სარქველის კიდეებზე 1 სმ სიღრმის და 2 სმ დიამეტრის მრგვალი ჩაღრმავებებია დატანილი, როგორც ჩანს სანთლებისთვის (ტაბ. XV,2,3). გამთხრელის მიერ სარკოფაგი VI ს-ით თარიღდება [Лорткипанидзе Г., 1981. с. 403; Лорткипанидзе Г., Агрба З., 1982. с. 30. рис. 34а.].

მასიური კირქვისაგან დამზადებული სარკოფაგი ცნობილია სოფ. კამანიდანაც, სოხუმის სიახლოვეს [Хрушкова Л., 1984. с. 207], რომლის შესახებაც უფრო დეტალური ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

1981 წ. სოფ. მრამბაში, ადრექრისტიანული ტაძრის სიახლოვეს, გაითხარა, ასევე, მონოლითური კირქვისაგან გამოთლილი, გეგმაში წაგრძელებული ოვალის ფორმის (2,5X1,0 მ, კედლების სისქეა 0,10-0,11 მ) სარკოფაგი [Бгажба О., 1983. с. 405] (ტაბ. XV,4,5). მსგავსი ფორმის, მხოლოდ, თიხის სარკოფაგი ცნობილია საქართველოს სხვა პუნქტებიდანაც (დასავლეთ საქართველო: ურეკი, დარჩელი, ლია; აღმოსავლეთ საქართველო: აღაიანი, ნასტაკისი, ურბნისი, წეროვანი, ჯეხიჯვარი (ძალისთან), ზულაჩაური, ქსოვრისი, წილკანი, ოძისი, მცხეთა, ნატახტარი, საგურამო, ატენი, ბორჯომის ხეობა). თიხის სარკოფაგი საქართველოში არსებობას იწყებს ძვ.წ. I ს. (აღაიანი - რიყიანების ველის სამაროვანი), ხოლო ფართოდ ვრცელდება ახ.წ. IV-V სს-ში [მირიანაშვილი ნ., 1983, გვ. 100-101, 103; მაკალათია ს., 1941, გვ. 86-90].

რაც შეეხება მთლიანი ქვისგან გამოთლილ სარკოფაგს, ის ასევე, დასტურდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. გვაქვს როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბოლნისი, მცხეთა, ვანი, ურბნისი, სვეტიცხოვლის ტაძარი, ანჩისხატი, ნიქოზი, ბალიჭი, რუსთავი), ასევე შემთხევით მიკვლეული ცალებიც (ქუთაისი (არქიელის გორა), ვანი, ურბნისი, სადგერი, დიღომი, კავთისხევი, შულავერი, ბორჯომის ხეობა, ქვემო ალმე) [ჯაფარიძე ვ., 1972, გვ. 127-129; ჩიტაია გ., 1940, გვ. 1-10].

სარკოფაგების უდიდესი ნაწილი გაძარცვული და მეორეჯერ გამოყენებულია, თუმცა მაინც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი ქრონოლოგიურად განსხვავებული სარკოფაგებისა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ანტიკური ხანის სარკოფაგები, როგორიცაა არმაზისხევისა და ბაგინეთის გაუძარცვავი ცალები. უფრო ადრეული ხანის სამარხად მიიჩნევენ ვანში აღმოჩენილ სარკოფაგს, მიუხედავად იმისა, რომ ის გაძარცვული, ან მეორეჯერ გამოყენებულია. დანარჩენი სარკოფაგები კი უდავოდ ქრისტიანული ხანის ძეგლებს წარმოადგენენ, რასაც სარკოფაგთა შემკულობა (მაგ. ურბნისის, სადგერის, ბალიჭისა და რუსთავის სარკოფაგებზე ჯვრის გამოსახულება; ქვემო ალმეს სარკოფაგზე კი ჯვართან ერთად ჯეირნების გამოსახულება) და მათი აღმოჩენის ადგილი ადასტურებს [ჯაფარიძე ვ., 1972, გვ. 129-130; ჩიტაია გ., 1940, გვ. 5, სურ. 2, 3; პაჭიკაშვილი ნ., 2000, გვ. 22].

საქართველოში აღმოჩენილი სარკოფაგები სარქველის ფორმის მიხედვით რამდენიმე ტიპად იყოფა: ორფერდა სახურავიანი,

ბრტყელი ანუ ბანურსახურავიანი, და თაღოვანსახურავიანი. რაც შეეხება როფის, იგივე ტაგრუცის (სულხან-საბა, ა. შანიძე) ფორმას, თიხის სარკოფაგები ძირითადად წაგრძელებული ოვალის ფორმისაა, ქვის სარკოფაგები კი სწორკუთხედის ფორმისა, თუმცა გამონაკლისია ამ შემთხვევაში მრამზის ქვის სარკოფაგი, რომელიც თიხის სარკოფაგთა მსგავსად, წაგრძელებული ოვალის ფორმისაა; მაგრამ, რაც შეეხება, ანთროპომორფული ფორმის სარკოფაგებს, ისინი უცნობია საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა ზემოთ ნახსენები ბიჭვინთისა და სოხუმის ცალებისა.

III ს-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული (270/80-600 წლებს შორის) რომაულ სამყაროში სარკოფაგთა წარმოების 3 ძირითადი ცენტრი არსებობდა: რომი, რავენა და კონსტანტინოპოლი. მათგან წამყვანი ცენტრი რომი იყო. დღეისათვის რომში ქრისტიანული თემებით შემკული 1200 სარკოფაგია ცნობილი. თუმცა IV ს-ში რომში წარმართული და "ნეიტრალური" თემებით (მაგ. ნადირობის სცენა) შემკული სარკოფაგებიც მზადდებოდა. რაც შეეხება რავენას, აქ 35 ცალი სარკოფაგია შემორჩენილი, ექსპორტი კი რავენიდან საერთოდ არ ივარაუდება. კონსტანტინოპოლში 150 ცალია ცნობილი. ექსპორტი კონსტანტინოპოლიდან არც ისე დიდი იყო. ხშირ შემთხვევაში კონსტანტინოპოლიდან იმპორტირებული სარკოფაგების მინაბაძები მზადდებოდა ადგილობრივ [Koch G., 2000, გვ. 621-627]. ზემოთ ჩამოთვლილი იმპერიის ძირითად ქალაქებს გარდა სარკოფაგთა წარმოება იმპერიის პროვინციებშიც ხდებოდა: იტალია (გარდა რომისა), გალია, რეინის, მოზელისა და დუნაის ხეობები, ბრიტანეთი, ესპანეთი, ჩრდილოეთ აფრიკა,

ბალკანეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები, მცირე აზია, ახლო აღმოსავლეთი (სირია, პალესტინა, არაბეთი), ეგვიპტე [Koch G., 1995, გვ. 115-117]. ამ პროვინციებში დამზადებული სარკოფაგების ექსპორტი ხშირ შემთხვევაში იმპერიის მთავარ ქალაქებში ხდებოდა. მაგალითად ხშირი იყო ალექსანდრიული სარკოფაგების ექსპორტი რომში, მილანში, სპლიტსა (ძვ. სპალატო) და კონსტანტინოპოლში. რაოდენობრივად ყველაზე მეტი სარკოფაგი სირიაშია გამოვლენილი. ისინი იმპერიის ცენტრებში დამზადებული ცალებისაგან განსხვავებით სადად გამოიყურება, მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული და თანმხლები წარწერების საფუძველზე ძირითდად V-VI სს-ით თარიღდება [Koch G., 2000, გვ. 630].

ახ.წ. პირველ საუკუნეებში უბრალო, ადგილობრივი კირქვისაგან დამზადებული, სარკოფაგები ფართოდ გავრცელდა ბოსფორსა და ქერსონესში. მათ ახასიათებს ფორმათა სიმარტივე და ზედაპირის შეუმკობლობა. ყველაზე გვიანდელი სარკოფაგი IV-V სს-ებს მიეკუთვნება [Пятышева Н., 1949, с. 11, 19-20].

ქვის სარკოფაგი, როგორც ქრისტიანული სამარხის ერთ-ერთი ტიპი, სათავეს ანტიკურ ეპოქაში იღებს. ასევეა ანთროპომორფული ქვის სარკოფაგიც, ანტიკურობიდან მოყოლებული იგი ადრექრისტიანულ ხანაშიც წარმატებით გამოიყენებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ ანთროპომორფული სარკოფაგის ფორმა ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმიდან განვითარდა [Buhl M., 1964, გვ. 62]. სამეცნიერო ლიტერატურაში ანთროპომორფული სარკოფაგი ცნობილია აგრეთვე სხვა ტერმინითაც, ე.წ. ფინიკიური

ტიპის სარკოფაგი, სახელწოდება მათი აღმოჩენის ადგილიდან მომდინარეობს; მსგავსი ტიპის სარკოფაგი პირველად უძველესი ფინიკიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი [Schilardi D., 1973, გვ. 468]. თუმცა ეს ტერმინი უფრო ანტიკური პერიოდის ძეგლებზე ვრცელდება, და მათი ფორმაც ჯერ კიდევ ძლიერ ჰგავს და იმეორებს ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმას. მისი არეალი ძირითადად ხმელთაშუა ზღვის აუზით შემოიფარგლება: არადოსი [Lembke K., 1998, გვ., 97-129], სიცილია (Picco Cannita), ტრიპოლისი, ბიბლოსი, ბერიტოსი, დამასკო, გაზა, ამათუსი, ალექსანდრია, მემფისი, [Buhl M., 1964, გვ. 61-76; Buhl M., 1987, გვ. 213-221], სიდონი [Rolf A. Stucky, 1989, გვ. 147-150], კადიზი [Antonio Blanco Freijeiro, Ramón Corzo Sánchez, 1981, გვ. 236-243], კვიპროსი (ლარნაკა - ძვ. კიტიონი) [Karageorghis V., 1963, გვ. 351-353; Karageorghis V., 1973, გვ. 623-624; Karageorghis V., 1981, გვ. 1007-1019], მოდენა [Piacentini P., 1992, გვ. 3-9], პაროსი [Schilardi D., 1973, გვ. 466-471], Beth-Shean (ჩრდილოეთ ისრაელი) [Dotan T., 1982, p. 254-255, Pl. 15, 16, 17]. ანთროპომორფულ სარკოფაგთა წარმოების რამდენიმე ცენტრი არსებობდა ხმელთაშუაზღვისპირეთში: სიდონი, არადოსი, სიცილია, კვიპროსი. მათი წარმოება ძირითადად ძვ. წ. V-IV სს-ში ხდებოდა.

ანთროპომორფული სარკოფაგის ყველაზე ადრეული ქრისტიანული ეგზემპლარი (IV ს.) ჩრდილოეთ აფრიკიდან მომდინარეობს. ადრექრისტიანულ ხანაში ამ ტიპის სამარხის გამოყენება შესაძლოა გამოწვეული იყო მისი ფორმის მსგავსებით საეკლესიო არქიტექტურასთან, მაგალითად, შესაძლოა კავშირის

დანახვა ანთროპომორფული სარკოფაგის აფსიდასა და ეკლესიის აფსიდას შორის. ქრისტიანული ხანის სამარხეული ძეგლების არქიტექტურასთან კავშირს, თავის დროზე, აღნიშნავდა ა. გრაბარი [Grabar A., 1978]. ამ მხრივ საინტერესოა თანამედროვე საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული საფლავის ქვებად მცირე ზომის, მინიატურული, ქვაში კვეთილი ეკლესიების გამოყენება: ჭობისხევი, ლარები, ვალე, წაღვერი (ამირან არაბულის ფოტოარქივი).

რაც შეეხება ანთროპომორფული სარკოფაგების არსებობა-გავრცელებას ადრექრისტიანულ სამყაროში, ისინი არც ისე უხვადაა გამოვლენილი. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ანალოგი. ადრექრისტიანული სარკოფაგების ცნობილი მკვლევარი გ. კოხი თავის ნაშრომში “Frühchristliche Sarkophage”, რომელიც რელიეფებით შემკულ სარკოფაგებს და მათ წარმოება-გავრცელებას ეხება რომის იმპერიაში, ასახელებს ანთროპომორფულ, მხოლოდ გარედან სწორკუთხედში ჩაწერილ სარკოფაგს კონსტანტინოპოლიდან VI-VII სს. [Koch G., 2000, გვ. 414-415, Abb. 51]. მსგავსი ფორმის სარკოფაგები ცნობილია ფენარი ისა-ჯამიდან (ძვ. ლიპსას მონასტერი, სტამბული) - VI ს., ცარიცინ-გრადიდან – VI ს., პროვანსიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) - V-VI სს., Tipasa-ს ბაზილიკიდან, კლდეში კვეთილი ანთროპომორფული ფორმის სამარხები ცნობილია Thélepte-დან (ჩრდილოეთ აფრიკა) [Хрушкова Л., 1984, c. 209; Nikolajević I., 1980, გვ. 306]. ანთროპომორფული, მხოლოდ აგურით ნაგები სამარხი ცნობილია Čalma-დან (სერბეთი). სამარხი ქრისტიანს ეკუთვნოდა,

რასაც ინვენტარი - ძველი და ახალი აღქმის სცენებით შემკული ბრინჯაოს მედალიონები ადასტურებს. სამარხი ლიცინიუსის და კონსტანტინეს მონეტებით IV ს-ის შუა წლებით თარიღდება [Nikolajević I., 1980, გვ. 305-306, სურ. 5]. არის შემთხვევები ძველი, ანტიკური ხანის სარკოფაგების ხელახალი გამოყენებისა. მაგალითად, კუნძულ კვიპროსზე, ლარნაკაში კლასიკური და ელინისტური ხანის ანთროპომორფული სარკოფაგი წარმატებით იყო გამოყენებული მოგვიანებითაც, XI ს-ის სან-ლაზარეს ეკლესიაში [Karageorghis V., 1973, გვ. 624].

სოხუმის სარკოფაგს სარქველის ფორმის მიხედვით ანალოგები ეძებნება აკვიტანიაში (სამხრეთ-დასავლეთი გალია) – ნარბონი, ტულუზა, მარტრ-ტოლოზანი, ბორდო (Saint-Seurin), რომლებიც V-VI სს-ით თარიღდება [Koch G., 2000, გვ. 508, 513, Abb. 71,1; Taf. 171, 172, 174, 176].

აფხაზეთში ანთროპომორფული სარკოფაგების არსებობას ლ. ხრუშკოვა ამ მხარეში ბიზანტიელთა აქტიურობის კიდევ ერთ მანიშნებლად მიიჩნევს. რთული სათქმელია, ეს სარკოფაგები იმპორტია, თუ ადგილობრივი მინაბაძი. არაა გამოსარიცხი მათი ადგილობრივ დამზადება ვივარაუდოთ, რადგან იმდროინდელ სამყაროში არსებული სარკოფაგებისაგან განსხვავებით, რომლებიც უხვადაა ორნამენტირებული, აფხაზეთის ცალები საკმაოდ სადად გამოიყურება და ზუსტი ანალოგიც არ ეძებნებათ. გარდა ამისა, ხშირია შემთვევები ცენტრებისგან მოშორებით, პროვინციებში, მინაბაძების ადგილობრივი დამზადებისა [Koch G., 2000, s.610-620]. რაც შეეხება თარიღს, ბიჭვინთის სარკოფაგი ადრექრისტიანული

ხანის ეკლესიაშია აღმოჩენილი, რამაც განსაზღვრა გარკვეულწილად მისი თარიღი. იგი VI ს-ით თარიღდება. ამავე თარიღს ეთანხმება ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც, რომელიც შეიძლება არაზუსტი, მაგრამ მიახლოებითი ანალოგებია აფხაზეთის სარკოფაგებისთვის. სოხუმის სარკოფაგი აღმოჩენილია არა in situ ვითარებაში, თუმცა ტიპოლოგიურად და მასალის რაგვარობითაც იდენტურია ბიჭვინთის სარკოფაგისა და შესაძლოა, აგრეთვე, VI ს-ით დათარიღდეს. რაც შეეხება მათ კუთვნილებას, ისინი მაღალი სასულიერო (შესაძლოა საეროც) წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ, რადგან მათი დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მათი აღმოჩენაც ეკლესიებს უკავშირდება.

## § 2. კერამიკა

კერამიკაზე მსჯელობისას შევეხებით ქრისტიანული სიმბოლოებით შემკულ, როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტულ ნაწარმს. დავიწყოთ წითელლაკიანი კერამიკით, რომელიც ძირითადად იმპორტს წარმოადგენს და საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის ზღვისპირა ძეგლებზე: ბიჭვინთა, სოხუმი, გუდავა. ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა საგანგებოდ იქნა შესწავლილი ო. ლორთქიფანიძის [ლორთქიფანიძე ო., 1962], ქ. ბერძენიშვილის [ბერძენიშვილი ქ., 1963] და ლ. ასათიანის [ასათიანი ლ., 1977] მიერ.



**წითელლაკიანი ჯამი. ბიჭვინთა.** ჯამის ძირის ფრაგმენტები. შემკულია ჯვრის გამოსახულებით. ჯვარი შტამპითაა ამოტვიფრული სველ თიხაზე.

აღმოჩნდა ბიჭვინთის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემის [1]20 კოშკში, ნახანძრალ, შავი ფერის VI ს-ის 0,60 მ სისქის კულტურულ ფენაში. ამავე ფენაში აღმოჩნდა მინის სასმისის მრგვალი ძირები, რომლებიც კარგად თარიღდება აღნიშნული ეპოქით [ლორთქიფანიძე გ., 1982, გვ. 4, ტაბ. X][1].

ბიჭვინთის ჯამებზე გამოსახული ჯვრები სხვადასხვაგვარია. სამ მათგანზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, რომელიც ორმაგი ხაზითაა გამოყვანილი, ორ მათგანზე კი ხვიითა და წრეხაზებით შემკული ჯვარია დატანილი; მათ მრავლად ეძებნებათ ანალოგები ქრისტიანული აღმოსავლეთის (ანტიოქია, პერგამონი, Jericho, Tarsus, Abu-Mena, Ramat Rahal) და დასავლეთის ძეგლებთან (ათენის აგორა, კორინთი, კოსი); აღნიშნული წითელლაკიანი კერამიკა ჯ. ჰეიესის მიერ V ს. ბოლო VI ს. დასაწყისით თარიღდება. იგი იზიარებს ვააგეს კლასიფიკაციას, რომელმაც თავის დროზე ჯვრებით შემკული წითელლაკიანი კერამიკა «გვიანრომაულ C» ჯგუფში გააერთიანა [Hayes J., 1972. p. 323, 348-349, fig. 67k, 741]. ანალოგიური ჯვრებით შემკული წითელლაკიანი კერამიკა კარგადაა წარმოდგენილი ქერსონესის VI ს-ის II ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში [Голофаст Л., 2001, с. 109, 110, 112-113. рис. 26, 32, 35, 42]. ქ. ბერძენიშვილის აზრით, ბიჭვინთაში აღმოჩენილი წითელლაკიანი ჯამები თიხის სტრუქტურისა და საღებავის რაგვარობის გათვალისწინებით მცირე აზიიდან უნდა იყოს შემოტანილი [ბერძენიშვილი ქ., 1963, გვ. 119].

[1] ვსარგებლობ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დოკუმენტაციის და პუბლიკაციის განყოფილებაში დაცული გ. ლორთქიფანიძის საველე ანგარიშებით.

**წითელლაკიანი ჯამი. სოხუმი.** წითელლაკიანი ჯამის ძირის



ფრაგმენტი. შემკულია ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ადრებიზანტიური ხანის ნგრევის ფენაში. ფენა 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება (მონეტა განსაზღვრა ს. შამბამ) [Гунба М., 1987, с. 5. рис. 9 ; Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37].

**წითელლაკიანი ჯამი. სოხუმი.** წითელლაკიანი ჯამის პირის ფრაგმენტი. ფრაგმენტზე შემორჩენილია ასოები XP. აღმოჩენილია სოხუმის ციხის ტერიტორიაზე



ადრებიზანტიური ხანის ნგრევის ფენაში. ფენა 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება [Гунба М., 1987, с. 5. рис. 9 ; Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37 ].



**ამფორის ფრაგმენტი. სოხუმი.** ფრაგმენტზე ქრიზმა და ბერძნული წარწერაა დატანილი. აღმოჩენილია სოხუმის ციხის ტერიტორიაზე ადრებიზანტიური ხანის ნგრევის ფენაში. ფენა 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება [Гунба М., 1987, с. 5. рис. 10 ; Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37].



**სოხუმი.** კერამიკის ფრაგმენტები ჯვრების გამოსახულებით. აღმოჩნდა სოხუმის რომაული ციხის აღმოსავლეთ ნაწილში, 0,5-1 მ სიმძლავრის 'ბ' ფენაში. ამავე ფენაში გაითხარა კერამიკის გამოსაწვავი ქურა. ფენა IV-VI სს-ით თარიღდება [Воронов Ю., 1969, с. 52, таб. XXX,24].



**პითოსი. წებელდა.** პითოსის ფრაგმენტი ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1979 წ. წებელდის ციხის პერიბოლის შუა ნაწილის ‘ბ’ ჰორიზონტში. აქვე აღმოჩნდა იუსტინიანე I (527-565წწ.) სპილენძის მონეტა, რომელიც მოჭრილია მისი მმართველობის პირველ ათწლეულში [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 14, рис. 85,20].



**პითოსი. წებელდა.** პითოსის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1977 წ. წებელდის ციხის $^{1}$1 ნაგებობის ‘ბ’ ფენაში. ამავე ნაგებობაში აღმოჩნდა კავად I მონეტა, 505-506 წლებში მოჭრილი [Гунба М., 1983, с. 35, рис. 44,7; Воронов Ю., 1982, с. 53].



**დოქი. წებელდა.** დოქის ყურის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა წებელდის ციხის $^{1}$3 კოშკის ‘ბ’ ფენაში. ფენა VI ს. თარიღდება [Воронов Ю., 1982, с. 51, рис. 80,2].



**სამზარეულო ქოთანი. წებელდა.** სამზარეულო ქოთანი ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა წებელდის ციხის $^{1}$3 კოშკის ‘გ’ ფენაში. ფენა VI ს. თარიღდება [Воронов Ю., 1982, с. 52-53, рис. 85:3].



**დოქი. აფუშთა.** პირძაბრიანი დოქი ძირზე რელიეფური ჯვრით. აღმოჩნდა აფუშთის სამაროვნის $^{1}$20 მამაკაცის ინჰუმაციურ სამარხში. თანმხლები სამარხეული ინვენტარი: რკინის შუბისპირი, რკინის ცული. თარიღდება VI-VII სს. [Воронов Ю., 1982, с. 59, рис.27:17,18; Воронов Ю., Вознюк А., Юшин В.,1970, с. 183, рис. 15:2,3].



**დოქი. აფუშთა.** პირმაბრიანი დოქი ჯვრით და ტალღისებრი ორნამენტით შემკული. აღმოჩნდა აფუშთის სამაროვნის ¹2 მამაკაცის ინჰუმაციურ სამხრეთით დამხრობილ სამარხში. თანმხლები ინვენტარი: რკინის ცული, რკინის აბზინდა, რკინის დანა, რკინის მოკლე სატევარი, ვერცხლის სამაჯურის ფრაგმენტი. თარიღდება VI ს. I ნახევრით [Воронов Ю., Вознюк А., Юшин В., 1970, с. 175-6, 188, рис. 3:8; Воронов Ю., 1982, с. 48, рис. 21:39].



**პითოსი. წებელდის ციხე.** პითოსის ფრაგმენტები ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1981 წ. წებელდის ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი ნაგებობის (7X6,2 მ) 'ზ' ჰორიზონტში (0,2-0,3 მ სიმძლავრის). ჰორიზონტი ხასიათდება პითოსების ფრაგმენტების სიმრავლით, მათ შორის რამდენიმე ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებითაა შემკული. 'დ' ჰორიზონტზე გამოვლინდა ოციოდე პითოსის ძირი, ორ მათგანზე ჯვარია გამოსახული [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 26-27, рис. 39, 40, 41, 46].



**პითოსი. წებელდს ციხე.** პითოსის ფრაგმენტები ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1980 წ. წებელდის ციხის ტერიტორიაზე 'ზ' ჰორიზონტში. ფენა გამთხრელის მიერ VI ს-ით თარიღდება [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 22. рис. 45,13].



**დოქი. წებელდის ციხე.** დოქის ყურის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით. აღმოჩნდა 1982 წ. წებელდის ციხის 2-4 ნაგებობის (6,8X5,7 მ) ტერიტორიაზე. ფენა შეიცავდა ამფორის, პითოსის, ჯამების, ქოთნების და კრამიტების ფრაგმენტებს. მათ

შორისაა კრამიტი ჯვრის გამოსახულებით. თარიღდება VI ს-ით [Воронов Ю., Бгажба О., 1985, с. 26-27. рис. 84:3, 56:34].



**პითოსი. წებელდის ციხე.** პითოსის პირის ფრაგმენტი ჯვრების გამოსახულებით. აღმოჩნდა 1977წ. წებელდის ციხის [1]1 კოშკის სიახლოვეს. აქვე აღმოჩნდა ფილა ალფას გამოსახულებით. ფენა VI ს. თარიღდება [Бгажба О., 1983, с. 7, 9. рис. 4:1a, 6:21].



**სოფ. ათარა. ოჩამჩირის რ-ნი.** პითოსის ძირის და პირის ფრაგმენტები ჯვრისმაგვარი ნაჭდევებით. პითოსების მიახლოებითი ზომებია: სიმაღლე 140-150 სმ, პირის დიამეტრი 25-დან 35 სმ-მდე, კორპუსის მაქსიმალური დიამეტრი – 70-90 სმ, ძირის დიამეტრი – 5-6 სმ. თითქმის ყველა ძირზე ჯვრისმაგვარი ხაზებია დატანილი. პითოსები ხასხასა წითელი ფერისაა, დაკბილული ღარებით, თანაბრად გამომწვარი, თიხა ქვიშამინარევიანია. ეს პითოსები ანაკოფიის პითოსებთან სიახლოვის გამო გამთხრელის მიერ VII-X სს-ით თარღდება. აღმოჩენილია 1971-72 წწ. სოფ. ათარაში მეთუნის ქურის გათხრისას [Гунба М., 1985, с. 11, 44. таб. IV, 3-6].



**ლარნაკი. სოფ. ათარა. ოჩამჩირის რ-ნი.** ლარნაკის ძირზე ჯვრისმაგავარი ნაჭდევია დატანილი. კეცი ქვიშამინარევიანია, ზედაპირი ნაპრიალები. ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე – 25 სმ, პირის დიამეტრი – 45 სმ, ძირის დიამეტრი – 16 სმ, კედლის დახრილობა – 45%. აღმოჩენილია 1971-72 წწ. სოფ. ათარაში მეთუნის ქურის გათხრისას [Гунба М., 1985, с. 8-10. таб., VII, 1].



**შაპკა.** კერამიკის ფრაგმენტი ძაღლის, ჯვრისა და ტალღოვანი ორნამენტის (ზღვის იმიტაციის) სქემატური გამოსახულებით. გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ადგილობრივი კერამიკა [Воронов Ю., 1969. таб.XXVII,12]. სხვა დეტალური ინფორმაცია აღმოჩენის ვითარებაზე, თუ თანმხლებ მასალებზე არ მოგვეპოვება.



**შაპკა.** კერამიკის ფრაგმენტი ჯვრის და ტალღოვანი ორნამენტის (ზღვის იმიტაციის) სქემატური გამოსახულებით. გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ადგილობრივი კერამიკა [Воронов Ю., 1969. таб. XXVII,18]. სხვა მონაცემი არ გაგვაჩნია.

**სოფ. აზანთა.** კერამიკის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით [Воронов Ю., 1969, таб. XXVII,17]. აღმოჩენის ვითარების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია.





**დოქი. ალრახუს სამაროვანი. წებელდა.** პირმაზრიანი დოქი, წითელკეციანი, ბრტყელძირიანი, ორი მარყუჟისებრი ყურით. კორპუსის მხარი შემკულია ტალღოვანი ხაზებით და ირიბი ჯვრით კაუჭისებრი ბოლოებით. აღმოჩნდა ალრახუს სამაროვნის 15 ინჰუმაციურ სამხრეთ-დასავლეთით დამხრობილ სამარხში. დოქი გარდაცვლილის მარცხენა ფეხთან იდო, დოქის პირი კი ლანგრით იყო დახურული. ლანგარს წითელი ლაკის ნაკვალევი ჰქონდა, კარგად განლექილი თიხისაგან იყო დამზადებული, ძირზე კი წრე და მინიატურული ცული იყო გამოსახული (წებელდის ნეკროპოლის ტიპის). თანმხლები სამარხეული ინვენტარი: ორი

პირმაბრიანი დოქი, ვერცხლის ჯვრისფორმის ფიბულა, ვერცხლის საყურეები სარდიონით, ორი ქარვის მძივი, სამი ბრინჯაოს ბუდეაბმული ფიბულა, ბრინჯაოს ბეჭედ-საბეჭდავი, რკინის დანა, კონუსური ფორმის მინის ჭიქა 10,5 სმ სიმაღლის. გამთხრელის, მ. თრაფშის მიერ, სამარხი V ს-ით თარიღდება [Трапш М., 1971, с. 110-112. таб. XLII,1].

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ქრისტიანობას უკავშირებს აგრეთვე, წებელდის პირმაბრიან დოქებზე ჯვრისებურად განლაგებულ დაძერწილ წრეებსა თუ რგოლებს, რაც ნაკლებ დამაჯერებელი უნდა იყოს, რადგან ადგილობრივი კერამიკის ეს ორნამენტული მოტივი IV-VI სს-ში სხვაგვარი კომპოზიციური გადაწყვეტითაც გვხვდება, გვაქვს სამკუთხედად, ხუთკუთხედად და ექვსკუთხედად განლაგებული წრეები (ტაბ. XI, 5, 6, 15).

აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის სამზარეულო კერამიკის გარდა, ჯვრებით შემკული სამშენებლო კერამიკაცაა ცნობილი (ტაბ. II,8-17). მაგალითად ბიჭვინთაში 1951-52 წწ. დაზვერვების დროს ზედაპირულად აკრეფილ მასალათა შორის იყო სამშენებლო კერამიკაც - სოლენი მოზრდილი რელიეფური ჯვრით [აფაქიძე ა., 1975, გვ. 104, სურ. 12,1]. 1970 წელს კი “ზზიფის ქვეყნის” დაზვერვების შედეგად გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეთა ხანის კერამიკის ნაშთი ასევე ჯვრის გამოსახულებით [აფაქიძე ა., 1975, გვ. 74, სურ. 9,8]. ბიჭვინთაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენდა რამდენიმე ცალი ბრტყელი კრამიტი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც ბიჭვინთური ბრტყელი

კრამიტის ერთ ქვეჯგუფს შეადგენს [აფაქიძე გ., 1977, გვ. 244]. ბიჭვინთაშივე აღმოჩნდა ყალიბში მოჭრილი ტლანქი აგურის ფრაგმენტი, რომელზედაც 12 სმ სიმაღლის ჯვრის ფეხია შემორჩენილი [აფაქიძე გ., 1977, გვ.231, სურ.508]. კრამიტი ჯვრის გამოსახულებით ცნობილია, აგრეთვე, წებელდის ციხის VI ს-ის კულტურული ფენიდან, რომელიც 1982 წელს წარმოებული გათხრების დროს აღმოჩნდა [Воронов Ю., Бгажба О., 1985, გვ.26-27, სურ.84,3]. ჯვრისმაგვარი ორმაგი ხაზებით შემკული კვადრატული ფორმის აგურები გაითხარა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე VI ს-ის ნგრევის ფენაში, ფენა იუსტინიანე I დროინდელი 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება [Гунба М., Хрушкова Л., 1990, с. 37]. ჯვრისმაგვარი ირიბი ხაზებია დატანილი გიენოსის სამშენებლო აგურებზეც.

ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული კერამიკის გვერდიგვერდ აფხაზეთის ტერიტორიაზე უხვად გვხდება სხვაგვარი, წარმართული თუ ნეიტრალური შინაარსის მქონე ასო-ნიშნებით შემკული კერამიკა ამავე პერიოდისა (ტაბ. XI). განსაკუთრებით ხშირია ხის, სვასტიკის, ცხოველების (ხარის, ცხვრის, თხის, ძაღლის), ასტრალური ნიშნების, მზისა და ვარსკვლავის სქემატური თუ რელიეფური გამოსახულება. გვაქვს ხარისა და ირმის ფორმის სასმისები. საინტერესოა, რომ პროკოპი კესარიელი აბაზგთა დახასიათებისას აღნიშნავს: “ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროსებსს რაღაც გულუბრყვილობით ღმერთებად წარმოუდგენიათ” [Procop. De BG, VIII,3]. აქ მცხოვრები

მოსახლეობის რელიგიურ განწყობას ალბათ ყველაზე უკეთ შაპკაზე აღმოჩენილი პითოსის ფრაგმენტი გამოხატავს, ძაღლის, ჯვრისა და ზღვის სქემატური გამოსახულებით. აქ, თითქოს, წარმართული და ახალი, ქრისტიანული, რელიგიის დაპირისპირებასა და ჭიდილსა აქვს ადგილი. უნდა ითქვას რომ, მსგავსი მსოფლმხედველობრივი განწყობა ამ მთიან რეგიონში დღემდე ასეთივე სახით განაგრძობს არსებობას, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში. ამ მხრივ საინტერესოა რუსი მკვლევარის ა. კრილოვის 2001 წელს გამოსული ნაშრომი "Религия и традиции Абхазов" (რომელიც ნამდვილად არაა ტენდენციურობას მოკლებული), სადაც მიმოხილულია აფხაზეთის ტრადიციული ინსტიტუტები, ტრადიციული რელიგია და დღეისათვის აფხაზეთში არსებული წარმართული სალოცავები – დიდრიპშ-ნიხა, ლძაა-ნიხა, ლიხ-ნიხა, აერგ-ლაპირ-ნიხა, ირონ-ძუარ. საინტერესოა, რომ ეს სალოცავები სწორედ დღეს სარგებლობენ დიდი პოპულარობით აფხაზებში.

## § 3. მინა



**მინის სასმისი. აზგიძრახუ.** ზომა: სიმაღლე 7 სმ, პირის დიამეტრი 8 სმ, ძირის დიამეტრი 5 სმ, კედლის სისქე 2 მმ. სასმისი ნახევარსფერული ფორმისაა, მოყვითალო-მომწვანო მინისგან დამზადებული. შემკულია ფიჭისებრი და წიწვისებური ორნამენტით და წრეში ჩაწერილი ჯვრებით. აღმოჩნდა აზგიძრახუს (წებელდა) სამაროვნის 113

ინჰუმაციურ სამარხში. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით. სამარხეულ კომპლექსში შედიოდა: ძირწვეტიანი წელშეზნექილი ამფორა, პირძაბრიანი დოქი, ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდები, რკინის მაკრატელი, ბრინჯაოს მაღალყელიანი სურა, რკინის დანა, ბრინჯაოს აბზინდა, რკინის ორკბილა ჩანგალი, რკინის მახვილი, რკინის ორი შუბისპირი, მინის მძივი.

გამთხრელის მიერ თარიღდება IV ს. I ნახევრით [Трапш М., 1971, с. 36. таб., VII,1]. ი. ვორონოვი მინის სასმის და სამარხეულ კომპლექსს VI ს. ბოლო – VII ს. I ნახევრით ათარიღებს [Воронов Ю., 1973, с. 75]. მსგავსი ფიჭისებურორნამენტიანი ჭიქის ფრაგმენტები ცნობილია ციხისძირიდან [ინაიშვილი ნ., 1993, გვ. 74]. ანალოგიური ორნამენტით შემკული ცილინდრულტანიანი ჭიქები ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში მთელ რომაულ სამყაროში. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და დასავლეთ ევროპის რომაულ პროვინციებში აღმოჩენილ ანალოგიურ ჭურჭლებს სამარხეული კომპლექსების მიხედვით ახ.წ. IV და V ს. პირველი ნახევრით ათარიღებენ [Сорокина Н., 1979, с. 60-61].

**მინის სასმისი. აბგიძრახუ.** ზომა: სიმაღლე 10 სმ, პირის დიამეტრი 10,4 სმ, კორპუსის დიამეტრი 9,5 სმ, კედლის სისქე 1,5 მმ (ტაბ. XII,6,7). სასმისი ნახევრსფერული ფორმისაა. დამზადებულია მომწვანო ფერის მინისაგან. შემკულია ფიჭისებრი და წიწვისებური ორნამენტით და წრეში ჩაწერილი ჯვრებით. ანალოგიურია ზემოთ აღწერილი სასმისისა. აღმოჩნდა აბგიძრახუს სამაროვნის [1]44 კრემაციულ სამარხში. სამარხეულ კომპლექსში



შედიოდა: რკინის ცული, რკინის დანა, ოთხკუთხა ფორმის ხის ფარის ნაშთები, რკინის გრძელი და მოკლე მახვილი, 1 ბრინჯაოს და 2 ვერცხლის აბზინდა, რკინის შუბისპირები, მშვილდის ძვლის საფარი, რკინის ლაგამი, ბრინჯაოს და ვერცხლის სამაგრები, ძირწვეტიანი წელშეზნექილი ამფორა, ბრინჯაოს ლურსმანი, მინის მძივი, ვერცხლის რგოლი და 2 ვერცხლის ძეწკვი. გამთხრელის მიერ თარიღდება IV ს. პირველი ნახევრით [Трапш М., 1971, с. 69. таб., XXII,3], ნ. სოროკინას მიხედვით კი IV-V ს. პირველი ნახევრით [Сорокина Н., 1979, с. 60].

**მინის სასმისი. ბიჭვინთა.** ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ნატეხის ზომაა: 3X4 სმ. ნატეხის მიხედვით ჭურჭელი პირგადაშლილი დაბალი სასმისია (პირის დიამ. 13 სმ, მინის სისქე 0,2-0,25 სმ). დამზადებულია ღია მწვანე მოცისფრო მინისაგან. ფრაგმენტზე შემორჩენილია ბერძნული წარწერის სამი ასოს CÏ² ქვედა მოხაზულობა, ორნამენტის ნაწყვეტი და ფრინველის (ფარშავანგის) გამოსახულება. დამუშავებულია ამოკაწრვით. აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარის XVIII უბნის 7 კვადრატში, 0,55 მ სიღრმეზე.

სასმისი შესწავლილი და დათარიღებულია ნ. უგრელიძის მიერ. იგი სასმისის წარწერას აღადგენს ПIE ZHCHC – "შესვი იცოცხლე". რაც განმარტავს სასმისის დანიშნულებას – იგი ზიარების ჭურჭელია. სასმისის უახლოესი ანალოგია 1938 წ. მცხეთა-სამთავროს სამაროვანზე 24-ე ორმოსამარხში აღმოჩენილი სასმისი ფარშავანგის და სიცოცხლის ხის გამოსახულებით და წარწერით ПIE ZHCHC. ორივე სასმისს ნ. უგრელიძე სირიულ

იმპორტად მიიჩნევს და IV-V სს. ათარიღებს [უგრელიძე ნ., 1981, გვ., 103-104; უგრელიძე ნ., 1951; Угрелидзе Н., 1983, გვ. 2].



**მინის სასმისი. ბიჭვინთა.** ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ნატეხის ზომაა: 5,5X6,7სმ. დამზადებულია მოცისფრო-მომწვანო მინისაგან. ნატეხი დიდი ზომის სასმისის ბრტყელი ძირის ფრაგმენტია მწყემსის და ბატკნის გამოსახულებით, რომელთა ზედაპირი მთლიანი ამოხეხვითაა შესრულებული. აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარის III უბანზე, ტაძრის აფსიდაში. სასმისი შესწვლილი და დათარიღებულია ნ. უგრელიძის მიერ IV ს-ით. სასმისი ზიარების ჭურჭელია. დამუშაების ტექნიკის მიხედვით კიოლნის სახელოსნოს ნაწარმადაა მიჩნეული [უგრელიძე ნ., 1981, გვ., 105-106].



**მინის სასმისი. ბიჭვინთა.** შემორჩენილია ფრაგმენტულად (7 ფრ.). ფრაგმენტების მიხედვით ნახევარსფერული უქუსლო სასმისია (პირის დიამ. 15 სმ, მინის სისქე – 0,15-0,2 სმ). დამზადებულია მომწვანო-მოყვითალო მდარე ხარისხის მცირედ გამოფიტული და ხორკლიანი მინისაგან. აღმოჩენილია ბიჭვინთის ნაქალაქარის III უბნის IV ფენაში, 1,0 მ სიღრმეზე. ერთ ფრაგმენტზე გამოსახულია ჭაბუკის თავი პროფილში. მეორე ნატეხზე (ზომა 5,5X3,5სმ) - მოსასხამით შემოსილი ყმაწვილის ტანის ზედა ნაწილი. სასმისის დანარჩენ ნატეხებზე მსგავსად შემოსილი და ანალოგიურ პოზაში მდგომი ფიგურაა გამოსახული. შესრულებულია ღრმა და ზედაპირული



ამოხეხვით და ამოკაწრვით. სასმისი განსაზღვრული და დათარირებულია ნ. უგრელიძის მიერ V-VI სს. ეს ზიარების ჭურჭელია. სასმისზე სავარაუდოდ ტყუპების გამოსახულებაა. ტყუპი, ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, მაისის თვის აღმნიშვნელია, ისევე როგორც ფარშავანგი მაისის და აღდგომის სიმბოლოა ადრეულ ქრისტიანებში. სასმისი სავარაუდოდ აქვილეს (სამხრეთ იტალია) სახელოსნოს ნაწარმია [უგრელიძე ნ., 1981, გვ. 107-108, ტაბ. V].

როგორც ვხედავთ, IV-VI სს. პალეოქრისტიანული სიმბოლოებითა და სიუჟეტებით შემკული მინის ნაწარმი არც ისე უხვადაა წარმოდგენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათი რაოდენობა სულ 5 ეგზემპლარით შემოიფარგლება, ამათგან ორი სუფრის ჭურჭელია, 3 კი ზიარების ჭურჭელი, რომელიც სავარაუდოდ დანიშნულებისამებრ გამოიყენებოდა, ამაზე მათი აღმოჩენის ადგილიც მიუთითებს. სამივე მათგანი იმპორტს წარმოადგენს.

რაც შეეხება წებელდის სასმისებს, მათი ზუსტი წარმომავლობა არაა დადგენილი, ცნობილია რომ ფიჭისებრი ორნამენტით შემკული სასმისები ჩვეულებრივ სირიულ სახელოსნოებს უკავშირდება. მაგრამ რადგანაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ პერიოდში მინის ნაწარმის უჩვეულო კონცენტრაცია შეინიშნება, არაა გამორიცხული რომ ეს სასმისები ადგილობრივ, სებასტოპოლისში ან პიტიუნტში მზადდებოდა. მინის ლოკალური წარმოებით შესაძლოა დასაქმებული ყოფილიყვნენ რომაელი ჯარისკაცები მშვიდობიანობის პერიოდში,

ან ტყვედ ჩავარდნილი ხელოსნები, ან სულაც აღმოსავლეთის პროვინციებიდან გადმოსახლებული თავისუფალი ხელოსნები. მინის ნაწარმის ძირითადი მომხმარებლები, როგორც ჩანს, ადგილობრივი ნობილიტეტი იყო.

## § 4. მცირე პლასტიკის ძეგლები

### ჯვრები



**ოქროს ჯვარი. გიენოსი.** ზომა: 33X24 მმ; წონა 2,15 გრ. ჯვარი ოქროს თხელი ფირფიტისგანაა დამზადებული. ჯვრის ოთხივე მკლავზე ნახვრეტია დატანილი, როგორც ჩანს საგანზე დასამაგრებლად გამოიყენებოდა. აღმოჩნდა გიენოსის ეკლესიის აფსიდასთან, 60 სმ სიღრმეზე. მოყვითალო-მურა თიხნარში. ამავე ფენის ზედა ჰორიზონტში გამოვლინდა მინის ჭურჭლის ფრაგმენტები IV-V სს. (სოროკინას მიხედვით), VI საუკუნისთვის დამახასიათებელი წელშეზნექილი ამფორა [Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., 1987; Кобахия Б., Хрушкова Л., Шамба С., Тб., 1987; Кобахия Б., Шамба С., 1985]. გიენოსის ჯვრის ახლო ანალოგს წარმოადგენს ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ჯვარი Castel Trosino-დან (იტალია), დაცულია მეტროპოლიტენ მუზეუმში, თარიღდება VI ს. ბოლო VII ს. დასაწყისით [From Attila to Charlemagne, 2000, s. 151, p. 13,17; Vallet F., 1995, s. 341, p. 4:1,7].

**ოქროს ჯვარი. აბგიძრახუ.** ზომა: სიმაღლე 1,5 სმ, სიგანე – 1,5 სმ (მ. თრაფშის მიხედვით); სიმაღლე 8 სმ (საკიდით), სიგანე – 4,5 სმ (ლ. ხრუშკოვას მიხედვით). ჯვარი ოქროს თხელი ფურცლისგანაა დამზადებული. მკლავები ოთხწახნაგაა. მკლავთა გადაკვეთაზე თვალბუდეა (თვალი დაკარგულია). შესრულებულია რამდენადმე დაუდევრად – თვალბუდე ცენტრს არ ემთხვევა, მკლავთა ბოლოებიც არაერთგვაროვნადაა დამუშავებული. აღმოჩენილია წებელდაში, აბგიძრახუს სამაროვნის [1]15 ინჰუმაციურ დასავლეთით დამხრობილ სამარხში. კომპლექსში შედიოდა მთის ბროლის მრავალწახნაგა მძივები, ფიბულა ჯვრისფორმის კორპუსით, მინის ჭურჭელი [Трапш М., 1971, გვ. 38, 206, ტაბ.IX,6]. გამთხრელის მიერ თარიღდება V ს. (მ თრაფში). მკვლევართა მეორე ნაწილი მას VI ს. ბოლო VII ს. I ნახევრით ათარიღებს (ა. ამბროზი, ი. ვორონოვი, ლ. ხრუშკოვა) [Амброз А., 1971, გვ. 110; Воронов Ю., 1975, გვ. 80, 113; Хрушкова Л., 1979, გვ. 62-63]. ბოლო თარიღი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, რადგან გულსაკიდი ჯვრების ტარების ჩვეულება, როგორც ცნობილია, მხოლოდ VI ს-დან იწყება, ხოლო აფხაზეთის მთიან რეგიონში V ს-ით დათარიღებული ეგზემპლარის არსებობა ნაკლებად სარწმუნოა.





**ვერცხლის ჯვარი. ხაშუფსე.** ზომა: სიგრძე (საკიდით) 6,5 სმ, სიგანე – 5 სმ. ვერცხლის ტოლმკლავა ჯვარი, მკლავთა გადაკვეთაზე თვალბუდით (თვალი

დაკარგულია). აღმოჩნდა 1969 წ. ხაშუფსის ციხის მახლობლად გამართულ სამარხში. შესწავლილი და დათარიღებულია ლ. ხრუშკოვას მიერ VI ს. მეორე ნახევრით [Хрушкова Л., 1979, с. 64].



**ბრინჯაოს ჯვარი. ქ. გაგრა.** აღმოჩენილია 1904 წ. გაგრის ციხის სიახლოვეს გამოვლენილ მდიდრულ სამარხში. სამარხეული კომპლექსი შეიცავდა ორ ვერცხლის ფიბულას ჯვრისფორმის კორპუსით, ხუთ ვერცხლის სამაჯურს, ბრინჯაოს სარკეს, დიადემას, ვერცხლის ორ საყურეს და ჰონორიუსის (395-426) ოქროს მონეტას. კომპლექსი ი. ვორონოვის მიერ VI ს. მეორე ნახევრით – VII ს. დასაწყისით თარიღდება [Воронов Ю., 1979, с. 54. рис. 37,9].



**ვერცხლის ჯვარი. შაპკა.** დამზადებულია ვერცხლის თხელი ფირფიტისაგან. მკლავთა გადაკვეთაზე თვალბუდეა. აღმოჩენილია შაპკის სამაროვანზე. თარიღდება VI ს. ბოლოთი [Хрушкова Л., 1979, с. 64. рис. 42,2].

**სპილენძის (თუ ბრინჯაოს) ჯვარი. გერზეული.** აღმოჩნდა გერზეულის ციხის მახლობლად, [1]2 ცისტერნის ჩრდილოეთ კედელთან VIII-IX სს-ის ფენაში [Бгажба О., Воронов Ю., 1980, с. 35].





**ვერცხლის ჯვარი. ბიჭვინთა.** აღმოჩნდა ბიჭვინთის კასტელუმის XVIII კოშკში. გამთხრელის მიერ VI ს-ით თარიღდება [ლორთქიფანიძე გ., 1991, ტაბ. XXVI,1].

**ტყვიის ჯვარი. ბიჭვინთა.** აღმოჩნდა 1983 წ. ბიჭვინთის კასტელუმის XVIII კოშკში 2,80 მ სიღრმეზე. ფენა მონეტით VI ს. თარიღდება. ამავე ფენაში



აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიბულა ჯვრისფორმის კორპუსით [Лордкипанидзе Г., 1983 г., с. 6. таб. IX].



**რკინის ჯვარი. ბიჭვინთა.** ნაპოვნია შემთხვევით პიტიუნტის სამაროვანზე. გ. ლორთქიფანიძე ჯვარს IV ს-ით ათარიღებს [ლორთქიფანიძე გ., 1991, ტაბ. XXVII,1]. ბიჭვინთიდან კიდევ სამი, V-VI სს-ით დათარიღებული, ჯვარია ცნობილი [Khroushkova L., 1989, გვ. 2685, სურ. 30] (ტაბ. XIII,4,5,6), მაგრამ მათი აღმოჩენის ვითარებაზეც ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

**სპილენძის ჯვარი. სოხუმი.** აღმოჩნდა სოხუმში 2001-2004 წწ. ე.წ. თურქული ციხის ტერიტორიაზე VI ს-ის ეკლესიის გათხრებისას გამოვლენილ სამარხში. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ სპილენძის ჯვრითა და ოქროს წვრილი მეწკვით იყო წარმოდგენილი [Abramzon M., Vysokii M., 2005]. ფოტო არ გაგვაჩნია.



**ბრინჯაოს ჯვარი. სოხუმი.** ზომა: სიმაღლე-4,7 სმ (საკიდის გარეშე), სიგანე-4,5 სმ. აღმოჩნდა სოხუმის გარეუბანში (Матросская слобода) მიწის სამუშაოების დროს. XX ს-ის 30-იანი წლებიდან ინახება სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში [Гельбак Л., 1974, გვ. 168-174]. ჯვარს გარშემო ღარი შემოუყვება, ზედაპირზე გამოსახულია ჯვარცმა. ქრისტე წარმოდგენილია ფრონტალურად. ჩაცმულია სადა გრძელ მკლავებიან სამოსში. მაცხოვარი გამოსახულია ცოცხალი – ღია თვალებით, სახის მშვიდი გამომეტყველებით, უშარავანდოდ. სავარაუდოდ ჯვარი ქვის ყალიბშია ჩამოსხმული. მსგავსი ჯვრების ჩამოსასხმელი ყალიბი ცნობილია ქერსონესიდან [Якобсон А., 1959, სურ. 179,4]. დამზადების ეს ტექნიკა მათ მასიურ წარმოებაზე

უნდა მიუთითებდეს. ჯვარი არქეოლოგიურ კომპლექსს არ უკავშირდება, ამიტომ დათარიღებისას ძირითადი ყურადღება ჯვრის კომპოზიციურ გადაწყვეტას ექცევა. ჯვარცმაში მიცვალებული ქრისტეს (დახუჭული თვალებით, მოხრილი სხეულით, სახეზე აღბეჭდილი სულიერი და ფიზიკური ტანჯვით) გამოსახვა იწყება VIII-IX სს-დან, მანამდე კი V ს-ში გამოთქმული ჯვარცმის განმარტება იყო გავრცელებული, რომლის მიხედვით მაცხოვარი ჯვარზე მიცვალებულის სახით არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოსახული, ვინაიდან იგი იყო “სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი” [Чубинашвили Г., 1959, გვ. 84-90; Амиранашвили Ш., 1956, გვ. 29-30]. ვინაიდან სოხუმის ჯვარზე ცოცხალი ქრისტეა გამოსახული, ჯვარი შესაბამისად VII-VIII სს-ით უნდა დათარიღდეს [Хрушкова Л., 1979, с. 65. рис. 43,1]. სოხუმის ანალოგიური ჯვარცმის გამოსახულებიანი ორი ჯვარია ცნობილი სოფ. შენაქოდან, მხოლოდ მაცხოვარი აქ დახუჭული თვალებითაა გამოსახული, თარიღდება IX-X სს-ით [დოლაბერიძე რ., 1974, გვ. 68-69].



**ბრინჯაოს ჯვარი. ლიხნი.** ზომა: სიმაღლე-6 სმ (საკიდის გარეშე), სიგანე-5,5 სმ. აღმოჩნდა სოფ. ლიხნში ტაძრის მახლობლად. ინახება სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში [Гельбак Л., 1974, გვ. 168-174]. კომპოზიციურ მსგავსებას ავლენს ზემოთ აღწერილ სოხუმის ბრინჯაოს ჯვართან. ჯვარს გარშემო ღარი შემოუყვება, ზედაპირზე გამოსახულია ჯვარცმა. ქრისტე წარმოდგენილია ფრონტალურად. ჩაცმულია სადა გრძელ მკლავებიან და ძირამდე დაშვებულ კოლობიუმში. მაცხოვარი

გამოსახულია ცოცხალი – ღია თვალებით, სახის მშვიდი გამოსახულებით, თავზე შარავანდედით თუ გვირგვინით. ეს იკონოგრაფიული სახე ახლო ანალოგს პოულობს გველდესის VIII-IX სს. ბარელიეფებთან [Шмерлинг Р., 1962, ტაბ. 4]. სოხუმის ჯვრის მსგავსად ლიხნის ჯვარიც VII-VIII სს-ით თარიღდება [Хрушкова Л., 1979, с.65, рис., 43,2],

**რკინის ჯვარი. სოფ. ლიძავა.** სიმაღლე 76 მმ, სიგანე 50 მმ, სისქე 5 მმ. აღმოჩნდა სოფ. ლიძავაში 1995 წელს ადრექრისტიანული ტაძრის არქეოლოგიური გათხრების დროს, ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში. გამთხრელების მიერ ტაძარი IV-V სს-ით განისაზღვრა [Барцыц Р., 2003, с. 223-227].

**ბრინჯაოს ჯვარი. სოფ. ლიძავა.** ჯვარზე წმინდანია გამოსახული. ჯვრის სიმაღლეა 55 მმ, სიგანე 44 მმ. აღმოჩნდა სოფ. ლიძავაში 1995 წელს ქრისტიანული ტაძრის არქეოლოგიური გათხრების დროს, ტაძრის შიგნით გამართულ სამარხში. გამთხრელების მიერ ტაძარი IV-V სს-ით განისაზღვრა [Барцыц Р., 2003, с. 223-227].

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ჯვრები ძირითადად გულსაკიდი ჯვრების სახითაა წარმოდგენილი. მიჩნეულია რომ გულსაკიდი ჯვრების ტარების ჩვეულება ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ VI ს-დან იწყება და ყველაზე უკეთ დათარიღებულ ეგზემპლარად იუსტინე I ოქროს ჯვარი (519 წ.) ითვლება. აფხაზეთში გულსაკიდი ჯვრები როგორც ნამოსახლართა კულტურულ ფენებში, ასევე სამარხეულ კომპლექსებშია გამოვლენილი და მათ მომხმარებლად, როგორც

ჩანს კლერიკალური წრეები და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ნაზიარები ადგილობრივი მოსახლეობა იყო.

## აბზინდები



**ბრინჯაოს აბზინდა. ქ. გაგრა.** ფერადი მინით ინკრუსტირებული ჯვრით შემკულია ბრინჯაოს აბზინდა აღმოჩნდა ქ. გაგრაში, მდ. ციხერვის ზედა ტერასის მარცხენა სანაპიროზე გამოვლენილ კომპლექსში, რომელიც შეიცავდა რკინის ხმალს, ფერადი მინით ინკრუსტირებულს და რკინის ცულს. კომპლექსი თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით და VII ს-ის დასაწყისით [Воронов Ю., 1979, с. 53, рис. 37,22]. გაგრის აბზინდის ახლო ანალოგს წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიაში მოკრაია ბალკას $^1$121 კატაკომბურ სამარხში აღმოჩენილი მოოქროვილი აბზინდა ასევე ფერადი მინით (ცისფერი და წითელი) ინკრუსტირებული, რომელიც ტოლმკლავა ჯვარს ქმნის. თარიღდება V ს-ის ბოლო და VI ს-ის პირველი ნახევრით [Афанасьев Г., 1980, с. 143,150, рис. 1,25].



**ბრინჯაოს აბზინდა. აბგიძრახუ**. ბრინჯაოს აბზინდა ოვალური ფორმის, მოძრავი სამწახნაგა ენით. გარსაკრავი ინკრუსტირებულია ჯვრისებურად განლაგებული სახვადასხვა ფერის მინით და ღია პასტით. აბზინდის შიდა ზომებია: 9X25მმ, ენის სიგრძე – 2,3სმ, გარსაკრავი ოვალის დიამეტრი – 2,6X3,6სმ. აღმოჩნდა წებელდაში აბგიძრახუს სამაროვნის $^1$14 ინჰუმაციურ, დასავლეთით დამხრობილ სამარხში. თანმხლები ინვენტარი: მასრიანი შუბისპირი, ცული და ვერცხლის

ფიბულა ბრტყელი ჯვრისფორმის რკალით. სამარხი გამთხრელის მიერ V ს-ით თარიღდება [Трапш М., 1971, с. 37-38, таб. VIII,5].

## მშვილდსაკინძები



**ჩიტის ფორმის მშვილდსაკინძი. შაპკა.** ჩიტის ფორმის ბრინჯაოს მშვილდსაკინძი ღია ლურჯი მინით ინკრუსტირებული აღმოჩნდა შაპკის სამაროვნის [14] ინჰუმაციურ ჩრდილოეთით დამხრობილ სამარხში, იუსტინიანეს ბორცზე. თანმხლები სამარხეული ინვენტარი: ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს ჯვრისებრი ფიბულა, ბრინჯაოს ზარაკები, ორი ბრინჯაოს საყურე, 139 მძივი (სარდიონის, ქარვის, მინის), ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის დანა და სხვ. სამარხი თარიღდება VII ს-ის მეორე ნახევრით [Воронов Ю., Юшин В., 1973. с. 184, рис. 13:5,21].

ადრექრისტიანული ხანის ძეგლებზე ჩიტის (ფარშავანგის) გამოსახულება ხშირია და მას თითქმის ისეთივე სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც წარმართობის დროს. სახელდობრ, იგი უკვდავების, აღდგომისა და გაზაფხულის სიმბოლოა ადრინდელ ქრისტიანობაში.

ამავე ქვეთავში შევეხებით ჯვრისებრი მოყვანილობის მშვილდის მქონე და ბუდეაბმულ მშვიდსაკინძებს. მსგავსი ფიბულები აფხაზეთის სხვადასხვა პუნქტშია გამოვლენილი: გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, ლაფსთა, კალდახვარა, მცარა, წებელდა, შაპკა, აფუშთა, ახჩარხუ, აბგიძრახუ, აჰაცარახუ,



აუახუამახუ, ალრახუ (ტაბ. XIV). მათი უმრავლესობა ვერცხლის ან ბრინჯაოსგანაა დამზადებული. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს აღემატება. უკეთ შესწავლილობის გამო რაოდენობრივად მეტი ჯვრისებრი მშვილდსაკინძი წებელდაშია გამოვლენილი. წებელდის სამაროვანთა გამთხრელი და მკვლევარი მ. თრაფში ამ სამაროვნებზე (აბგიძრახუ, აჰაცარახუ, აუახუამახუ, ალრახუ) გამოვლენილ ჯვრისებ ფიბულებს 4 ქვევარიანტად ჰყოფს მათი ფორმის მიხედვით [Трапш М., 1971, გვ. 184-186].

წებელდის სამაროვანთა ერთ-ერთი პირველი გამთხრელი ი. გრძელიშვილი წებელდის ჯვრისებრ ფიბულებს III-IV სს-ით ათარიღებს [გრძელიშვილი ი., 1947, გვ. 94]. იგივე თარიღს იზიარებს მ. თრაფში რომელიც ჯვრისებრ მშვილდსაკინძებს წებელდური კულტურის ლოკალურ სპეციფიურ თავისებურებად მიიჩნევს და მათ წარმოებას ადგილობრივად ვარაუდობს [Трапш М., 1971, с. 216].

ანალოგიურ ფიბულებს ბ. კუფტინი V ს-ის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს [Куфтин Б., 1949, с. 93-95] და იმოწმებს ა. სპიცინს, ახალ ათონში აღმოჩენილი მსგავსი ფიბულების თაობაზე, რომელიც კეისარ ანასტასიოსის (491-518 წწ.) მონეტასთან ერთად არის ნაპოვნი [Спицын А., 1907, с. 103-107]. ასევე V ს-ით ათარიღებს ბიჭვინთის ნაქალაქარზე გამოვლენილ ანალოგიურ ფიბულებს ვ. თოლორდავა. ნ. უგრელიძე კი ჯვრისებრ ფიბულებს IV-V სს. მიაკუთვნებს [უგრელიძე ნ., 1967, გვ. 51].

ა. ამბროზი, რომელმაც ფიბულებს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა, ჯვრისებრ მშვილდსაკინძებს თავისი კლასიფიკაციის V

სერიაში აერთიანებს (მათ შორისაა აფხაზეთის, მცხეთის, სამთავროს, მინგეჩაურის, შემახის, დაღესტნის – ჩირ-იურტის ფიბულები) და მათ წარმოშობასა და არსებობას V-IX საუკუნეებით განსაზღვრავს [Амброз А., 1966, с. 55].

მსგავსი ფორმის ფიბულები, აფხაზეთის გარდა, გამოვლენილია როგორც დანარჩენ დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში: ნოქალაქევი, მოდინახე, ციხისძირი, სამთავრო, ქვემო ალევი, გურჯაანი, ყოღოთო [აფხაზავა ნ., 1979, გვ. 13-17, ტაბ.XVII; აფხაზავა ნ., 1988, გვ. 58]. მაგრამ აღმოსავლურქართული ფიბულების ძირითადი ნაწილი რკინისგანაა დამზადებული და შედარებით მცირე ზომისაა [აფხაზავა ნ., 1979, გვ. 20; უგრელიძე ნ., 1967, გვ. 51] განსხვავებით იგივე წებელდის, ან ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ზოგიერთი ოლქის ფიბულისაგან, ისინი ბრინჯაოს ან ვერცხლისგანაა დამზადებული და უფრო დიდი და ტლანქია.

საერთოდ ჯვრისებრი ფიბულების გავრცელების ტერიტორია თითქმის მთლიანად ემთხვევა ისტორიულ საქართველოს. ამ ტიპის მშვილდსაკინძთა თითო-ოროლა ეგზემპლარი აღმოჩენილია საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშრებულ ქვეყნებსა თუ პუნქტებში: დიურსო, ჩმი, ხარაჩოი, დაღესტანი, ხინისლი, მინგეჩაური, დვინი [აფხაზავა ნ., 1988, გვ. 58-59]. ნ. აფხაზავა მშვილდსაკინძთა ამ სახეობას თავისი გენეზისითა და ევოლუციით ქართულად მიიჩნევს და მათი გაჩენის ხანად, ი. გრძელიშვილისა და მ. თრაფშის მსგავსად, III-IV საუკუნეთა მიჯნას თვლის [აფხაზავა ნ., 1979, გვ. 14].

ცნობილია შემთხვევები ჯვრისფორმის ფიბულის კრემაციულ სამარხშიც აღმოჩენისა, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია აპიანჩას სამაროვნის №40 კრემაციული სამარხი, სადაც სამი ჯვრისფორმის ფიბულა აღმოჩნდა. სამრხეული კომპლექსი წარმოდგენილი იყო: ორი ბრინჯაოს აბზინდით, რკინის სატევრით, ორი შუბისპირით და დანით, მოზაიკური მძივით, მოყვითალო-მომწვანო ფერის მინის სასმისით და წებელდური ცულით, რომელიც პითოსის სამხრეთით მიწაში იყო ჩარჭობილი [Гунба М., 1978, გვ. 47-48, ტაბ. XL], როგორც ჩანს შესრულებულია რიტუალი. ანალოგიურ კრემაციულ სამარხს ჯვრისფორმის ფიბულით წარმოადგენს ალრახუს სამაროვნის №7 სამარხი [Гунба М., 1978, გვ. 17, ტაბ. VIII] და ა.შ. აღნიშნული შემთხვევები, ჯვრისფორმის ფიბულების კრემაციულ სამარხში აღმოჩენისა, სავარაუდოდ, აფხაზეთის ამ მთიან რეგიონში დაკრძალვის წესის კონსერვატიზმით უნდა აიხსნას.

## § 5. რელიეფური სკულპტურის ძეგლები

აფხაზეთში ქრისტიანული სიმბოლოებით და სიუჟეტებით შემკული ადრექრისტიანული ხანის რელიეფური სკულპტურის ძეგლები გამოვლენილია ბიჭვინთაში, მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბაში, დრანდასა და გაგრაში.

წებელდის ციხეში გამოვლენილ №2 ეკლესიას უკავშირდება დეკორატიული დეტალები, რომელიც დღეს დაკარგულია, მაგრამ მილერის მიერ გამოქვეყნებული ჩანახატებით შესაძლებელია მისი ფორმებისა და ორნამენტების წარმოდგენა. კაპიტელის ერთ მხარეზე გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი წრეში, მეორეზე კი - ვაზი, მესამეზე - ვაზი ტოლმკლავა ჯვართან ერთად, მეოთხეზე - მტრედი, რომელიც ყურძენს შეექცევა და ხარის თავი [Миллер А., 1909, გვ 71-82, სურ. 6]. გამოსახულება ძლიერ სქემატურია (ტაბ. XVIII,4). მოტივების უმრავლესობა ტიპიურია ადრექრისტიანული ძეგლებისთვის. მაგალითად, ვაზისა და მტრედის მოტივი გვხვდება აკვანების ეკლესიაში (VI ს. ბოლო) - სამხრეთ-აღმოსავლეთის სადგომში გამავალი კარის თავზე - აქ ვაზის მტევნებს ჩიტები კენკავენ. ვაზის ყლორტები გამოსახულია წილკნის, მცხეთის ჯვრის, ატენის სიონის სარკმლის თავსართებზე, ვაზისა და ბროწეულის გამოსახულება გვაქვს ბანას ტაძრის გარშემოსავლელის სარკმელთა სიახლოვეს [თუმანიშვილი დ., 1993, გვ. 126]. ხარის თავის გამოსახულება უფრო ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, როგორც მაგალითად, ბოლნისის პილასტრის კაპიტელი [Чубинашвили Г., 1940, таб.IV]. ხარის მოტივი, მათი რელიეფური გამოსახულება, იგივე წებელდაში ცნობილია ადგილობრივ კერამიკაზეც.

წებელდის ციხის №2 ეკლესიას, რომელსაც უკავშირდება დასახელებული კაპიტელი, VI ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Хрушкова Л., 1982, გვ. 161].

სოფ. მრამბის (წებელდა) ადრექრისტიანულ ტაძარს უკავშირდება, ადრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული ფილები. ისინი კირქვისგანაა დამზადებული. ერთ-ერთ მათგანზე (ზომა : 80X47X14სმ) გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი, ჯვრის გვერდებზე - ყურძნის მტევნები, მარჯვნივ - ჩიტი, რომელიც ყურძენს შეექცევა. ჯვრის ყველა მკლავში მოთავსებულია ვარდული, ჯვრის გვერდებზე კი - ბორჯღალი წრეში (ტაბ.XVII,3) [Хрушкова Л., 1980, გვ. 32].

მრამბის მეორე ფილაქვაზე (ზომა: 43X30X10სმ) გამოსახულია ტოლმკლავა ჯვარი წრეში როზეტებით (ტაბ.XVIII,3). შესრულების მანერით იგი ძალზედ ახლოს დგას წინა რელიეფებთან [Хрушкова Л., 1980, გვ. 33].

იგივე დეკორი, მედალიონი ტოლმკლავა ჯვრით, ცნობილია გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკიდან (ტაბ. VI,3). იგი სამხრეთ და დასავლეთ კარის ტიმპანებსა და დასავლეთ კედელს ამკობს [დიდებულიძე მ., 1977, გვ. 16-26; დიდებულიძე მ., 1995, გვ. 70].

მოტივი წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა ჯვრისა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად "ბოლნური ჯვრის" სახელითაა ცნობილი, თუმცა იგი ძალზედ გავრცელებულ დეკორს წარმოადგენს მთელს ადრექრისტიანულ სამყაროში. კარგადაა იგი წარმოდგენილი ადრე შუა საუკუნეების კოპტურ ძგლებზე [Gui I., Duval N., Gaillet J.-P., 1992, ტაბ. LXXXII; Kaufmann C., 1917, გვ. 278-279, სურ. 186], კაპადოკიის მღვიმურ ეკლესიებში (V ს.) [მაჩაბელი კ., 1991, გვ. 83], ნუბიაში [Godlewski L., 1986, სურ. 6], პალესტინასა და სირიაში [Avi-Yonah M., 1981, გვ. 102, სურ. 17].

ხშირია ეს მოტივი Oboda-ს (ნეგევის უდაბნო, სამხრეთ ისრაელი) ადრექრისტიანულ ნაგებობებზე [Negev A., 1997, სურ. 197, 198, 199, 284, 186].

აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი ორნამენტი ათეულობითაა აღმოჩენილი. თუკი ლ. მუსხელიშვილი, თავის დროზე, აღნიშნავდა, რომ ე.წ. "ბოლნური ჯვრის" ტიპის ორნამენტის გავრცელების არე მაშავრის სისტემას არ სცილდებაო [მუსხელიშვილი ლ., 1941, გვ. 78-79], დღეისათვის ეს მოტივი დასავლეთ საქართველოშიც არაერთ ძეგლზე დასტურდება, მაგალითად, ნოქალაქევში კვადროვანი გალავნის ფრაგმენტზე [ნოქალაქევი-არქეოპოლისი, 1981, გვ. 114, ტაბ.XXX,2], პეტრა-ციხისძირში, ბობოყვათის დაბლობში გათხრილი სამნავიანი ბაზილიკის მიდამოებში [ინაიშვილი ა., 1974, გვ. 147, ტაბ.V,2], კაცხის სვეტზე [ცინცაძე ვ., 1964, გვ. 52], მოწამეთაში, ციხესიმაგრის კარიბჭის კედელში [ლანჩავა ო., 1996, გვ. 185-187], სოფ. ღრმაღელეში ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილ ფილაქვაზე [გურია, 2001, ტაბ. VI,3].

მრამბაში აღმოჩნდა მთელი სერია არქიტექტურული რელიეფებისა, სადაც გამოყენებულია იგივე მოტივები; ტოლმკლავა ჯვარი წრეში, ჩიტები და ვაზის მტევნები. ყურძნის მტევანი და ჩიტი - მეტად გავრცელებული თემაა, როგორც ადრექრისტიანულ, ისე უფრო მოგვიანო დროის ხელოვნებაში. ამ გამოსახულებათა სემანტიკა საყოველთაოდაა ცნობილი: ჩიტი - ქრისტიანული სული, ქრისტეს სწავლებას (მტევნები) ნაზიარები. ადრექრისტიანულ ლიტერატურაში ეს სახე მეტად მყარია და

გამომდინარეობს სახარების ტექსტიდან "მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები" (იოანე 15,5).

დეკორი - ტოლმკლავა ჯვარი წრეში ცნობილია, აგრეთვე, სოხუმის მთის ერთ-ერთ სვეტზე (ტაბ. XVII,4). სვეტი, ალბათ, თავის დროზე, კანკელს განეკუთვნებოდა. აღმოჩენის ვითარება უცნობია. თარიღდება VI ს-ით [Хрушкова Л., 1980, გვ. 33-34].

მრამბის პირველ ფილასთან სიუჟეტურ მსგავსებას ამჟღავნებს კულამბას (ოჩამჩირის რაიონი) რელიეფი, რომლის ცენტრში ჯვარია მოთავსებული, ჯვრის მკლავებზე, ერთიმეორის პირისპირ - ორი მტრედია, ჯვრის მკლავებს მტევანი ჩამოუყვება (ტაბ. XVI,6); კულამბას გამოსახულება მაღალი რელიეფით გამოირჩევა. ჩიტები ჯვრის განივ ტოტებზე მეტად პოპულარული ადრექრისტიანული მოტივია, იგი ძირითადად სირიული ტაძრების (VI ს.) დეკორს წარმოადგენს. მაგრამ აქ ვაზის მტევნების ნაცვლად ალფა (α) და ომეგაა (ω) გამოსახული. კულამბას რელიეფი VI ს-ით თარიღდება [Хрушкова Л., 1980, გვ. 33].

მრამბის ეკლესიას განეკუთვნება ერთი საინტერესო ფილაქვა, რომელზედაც სასმისი და ორი ფარშავანგია გამოსახული (ზომა: 40X33X10სმ) (ტაბ. XVII,1). ეს კომპოზიცია ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ქვეყნის ძეგლებზე და გვხვდება მთელი პირველი ათასწლეულის მანძილზე. მისი წარმომავლობა აღმოსავლეთს უკავშირდება, კერძოდ, იგი ასახავს სპარსელთა წარმოდგენას სამოთხის შესხებ; რომაელებთან ეს თემა უკავშირდებოდა ზეციური უკვდავების იდეას; ფარშავანგი უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლოა პირვანდელ ქრისტიანებშიც

[Lother L., 1929, p. 33, 84]. V-VI სს-ში ფარშავანგისა და სასმისის კომპოზიცია ფართოდ გავცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში. რაშიც განსაკუთრებული როლი, სირიამ შეასრულა, სადაც ძალზედ ხშირია ფარშავანგის გამოყენება ადრექრისტიანულ დეკორში [Хрушкова Л., 1980, გვ. 33-34].

პირველი საუკუნეებიდან ეს მოტივი საქართველოშიც შემოდის, რასაც მათი აღმოჩენა ადასტურებს რიგ ძეგლებზე: ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, რომელსაც გარედან შემოუყვება ბერძნული წარწერა: "შესვი, იცოცხლე"; არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლში ნაპოვნი ვერცხლის ტარიანი ჭურჭელი (აზარფეშის მსგავსი), რომელიც ფარშავანგის გამოსახულებით არის შემკული, ამ ფორმის ჭურჭელი ახ.წ. I-III სს-თა სამარხებშია გავრცელებული; აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი, გაურკვეველი დანიშნულების ბრტყელი ოთხკუთხა შავი ქვა (IV-VI სს.); ადრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ფარშავანგის გამოსახულებას ვხვდებით ბოლნისში და უკანგორში [უგრელიძე ნ., 1951, გვ. 309-310], ვაშნარის VI ს-ის კაპიტელზე და წვერო-დაბალის სტელაზე (VI ს.) [Хрушкова Л., 1977, გვ. 75-76]. ფარშავანგის გამოსახულება ბოლნურ მედალიონთან ერთად გვაქვს კიზილ-ქილისას V ს-ის ბაზისის ფრაგმენტზე (ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წყობაში) [ჯაფარიძე ვ., 1982, გვ. 52, 80. ტაბ. XXI,1,2]. მეტად საინტერესო სიმბოლური კომპოზიცია გვაქვს აგრეთვე სათხის ეკლესიის ჩრდილოეთი ეკვდერის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ჭრილში ჩაშენებული სტელის ბაზის ფრაგმნეტზე: კლასიკური ბოლნური

მედალიონი და ფრთებგაშლილი ფარშავანგის რელიეფური გამოსახულება, რომელსაც ნისკარტით მტევანი უჭირავს (V-VI ს. პირველი ნახევარი) [ჯაფარიძე ვ., 1982, გვ. 84-86, ტაბ. VIII,1].

მრამბის რელიეფის კომპოზიციის ცენტრალურ მოტივს დიდი სემანტიკური დატვირთვა აქვს, ხშირად ესაა ევქარისტული ჭურჭელი ნაკურთხი ღვინით ან ვაზის მტევნით - აქ ქრისტეს სწავლება ან თვით ქრისტე მოიაზრება. მაგრამ, ჩიტისა და სასმისის მოტივი უკავშირდება შედარებით ახლებურ წარმოდგენას სულის უკვდავების შესახებ, მანამდე ზიარების ჭურჭელს სიცოცხლის ხის მოტივი ცვლიდა, რომელიც ძველთაგანვე აღორძინებისა და სამოთხის სიმბოლო იყო [Ladner G., 1992, s. 138-139]. მსგავსი მოტივით შემკული ჭურჭელი ცნობილია დასავლეთ საქართველოდან, მაგ., შორაპნის ნახანძრალ ფენაში აღმოჩენილი დოქის ფრაგმენტი წყალჩიტებისა და სიცოცხლის ხის გამოსახულებით, რომელსაც ვ. ჯაფარიძე VI ს-ით ათარიღებს (ვსარგებლობ ვ. ჯაფარიძის მიერ გათხრილი შორაპნის გამოუქვეყნებელი მასალით).

მრამბის ფარშავანგებიან რელიეფს ლ. ხრუშკოვა VI-VII სს-ით ათარიღებს, რადგან ამ დროიდან განსაკუთრებით ვრცელდება ფარშავანგის თემა, თუმცა არ გამორიცხავს უფრო მოგვიანო პერიოდსაც - VII -VIII სს. [Хрушкова Л., 1980, გვ. 35]. თუმცა მოხმობილი ანალოგები, ალბად, უფრო VI ს-ის სასარგებლოდ მეტყველებს.

მრამბის ეკლესიას უკავშირდება, აგრეთვე, აქვე აღმოჩენილი ანტეფიქსი ჯვრითა და სხვა სიმბოლოებით (ვარსკვლავი, მათვარე,

ხე და ა.შ.) (ტაბ. XVIII,5) [Воронов Ю., Бгажба О., 1985, გვ. 33, ტაბ. XXVIII].

აფხაზეთის ადრექრისტიანული სკულპტურის ძეგლებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წებელდის ბარელიეფებს, რომელიც XIX ს. 80-იან წლებში გრაფინია უვაროვას მიერ აღმოჩნდა ე.წ. "ვორონოვის ეკლესიაში" [Уварова П., 1894 таб. VII, VIII]. 1969 წ. ლ. შერვაშიძის მიერ ამ ეკლესიის გათხრისას გამოვლინდა კიდევ სამი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი უეჭველად პირველ ფილას ეკუთვნოდა, მეორე კი მეორე ფილაქვის ცენტრალურ ნაწილს [Шервашидзе Л., 1975, გვ. 90-91, таб. I, II, III]. უძველეს ამ ფილაქვათაგან დ. აინალოვმა უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, მან დაწვრილებით გაარჩია კომპოზიციები და დაადგინა: ერთი მხრივ, სრულიად ცხადია, რომ ეს რელიეფები იკონოგრაფიის მხრივ ადრექრისტიანულ ძეგლს ეკუთვნის, ხოლო მეორეს მხრივ, ფორმებისა და ყოფაცხოვრების დეტალების შესრულების მიხედვით, ცხადია მათი კავშირი სასანიანთა ხანის ირანულ რელიეფურ ხელოვნებასთან [Аиналов Д., 1895, გვ. 233-243].

ფილაქვებს, როცა მთელი ყოფილან, ზომა ჰქონიათ დაახლოებით 125X87 სმ. ორივე ფილის ცენტრში მოთავსებულია ორი სცენა, დანარჩენი კომპოზიციები კი მათ ირგვლივაა დაჯგუფებული. ერთ ფილაქვაზე წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით მუხლებზე. ზემოთა ფრიზზე წარმოდგენილია სცენა ორი მხედრით. რომელთაგან ერთი ადამიანის ფიგურას ამარცხებს (გმირავს), მეორე კი - გველს.

ფილაქვის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია კომპოზიცია: დანიელი ლომებთან ორმოში. ქვემოთ - მცირე ფრაგმენტი ირმის გამოსახულებით. ამ ფილაქვის ქვედა კომპოზიცია არ შენახულა (ტაბ. XVIII,2).

მეორე ფილაქვაზე გამოსახულია ჯვარცმა, ხოლო მის ქვეშ ანგელოზი და მირონმცხებელი დედანი კუბოსთან. ფილაქვის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია პეტრე მოციქულის უარყოფა, მასთან მამალი და იმავე მოციქულის ჯვარცმა თავქვე. მარჯვნივ - აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვა (ცხვარი წარმოდგენილია ხის ტოტებზე დაკიდებული). აქვეა ჭაბუკი, რომლსაც ჯორი მოჰყავს, ხოლო ქვემოთ ნათლისღება. ქვედა ნაპირზე მოთავსებულია წმ. ევსტატეს სასწაულის სცენა (ლ. ხრუშკოვას და დ. აინალოვის მიხედვით), ირმის რქებში მოჩანს ქრისტეს თავი, ამ კომპოზიციის გვერდით გამოსახულია ორი კაცის გამოსახულება, ერთის თავზე ჯვარია, მეორეს კი ხელში სანთლები უჭირავს. ეს ორი ფიგურა ევსტატეს სცენისგან ხის მოტივითაა გამოყოფილი (ტაბ. XVIII,1).

ლ. ხრუშკოვას აზრით, აქ ქტიტორების გამოსახულებასთან გვაქვს საქმე, ამ ფიგურების ზომებში სხვაობა, მათ ასაკობრივ სხვაობაზე უნდა მიუთითებდეს, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქტიტორული პორტრეტებისათვის [Хрушкова Л., 1980, გვ. 46-49]. მსგავსი კომპოზიციები გვხვდება X ს-ის სხიერის კანკელზე, სადაც გამოსახულია ქტიტორი ორ შვილთან ერთად [Шмерлинг Р., 1962, გვ. 9]. თვით ჩვეულება, კანკელის დეკორაციის მიზნით ქტიტორთა

გამოსახულების გამოყენება, ადრექრისტიანული ეპოქიდან იწყება. ხშირია ეს მოტივი სირიისა და ლიბიის კანკელის სვეტებზე VI საუკუნეში [Хрушкова Л., 1980, გვ. 46-49].

ის, რომ აქ ქტიტორები არიან გამოსახულნი, ადასტურებს ტანსაცმლის ტიპი. გრძელი სამოსი, ქამრით, ძირს გაფართოებული, გრძელი მკლავებით, ეს ტრადიციული აღმოსავლური კოსტუმია. მისი ვარიანტები ცნობილია VII-X სს-ების პლასტიკაში: კატაულისა და უსანეთის სტელა, რუისის ფასადის რელიეფები [Чубинашвили Н., 1972, таб.76,88; Чубинашвили Г., 1970, таб.70], სხეირის კანკელი, შენაქოს ბრინჯაოს ჩამოსხმული ჯვრები [დოლაბერიძე რ., 1974, გვ. 65-69], მსგავსი ჯვრები (VII-VIII სს.) ნაპოვნია აფხაზეთში სოხუმის მახლობლად და სოფ. ლიხნში [Гельбак Л., 1974, გვ. 168-175]. ქტიტორთა გვერდით განლაგებულია ევქარისტული ჭურჭელი - დოქი ღვინით და თეფში პურით.

სტილურად ეს რელიეფები, როგორც წირქოლის რელიეფები და მთელი რიგი სხვა რელიეფები წარმოადგენენ ბოლნისის სიონის, ჯვრის და მარტვილის რელიეფებისაგან სრულიად განსხვავებულ ჯგუფს. ესენი უფრო და უფრო იჩენენ არა ქანდაკებრივ, არამედ გრაფიკულ მიდგომას: ეს თითქოს ქვაზე ამოფხაჭნილი ნახატებია. ვორონოვის რელიეფები საკმაოდ ამაღლებულია ფონზე და საკმაოდ მომრგვალებულია ნაპირებზე, ისე როგორც წირქოლისა [ჩუბინაშვილი გ., 1936, გვ. 210].

წებელდის იკონოგრაფია შეიცავს ისეთ მოტივებს, რომელიც არქაულად გამოიყურება, მაგრამ ეს მოტივები აღმოსავლურ-ქრისტიანულ ძეგლებზე დიდი ხნის განმავლობაში გვხვდება. მაგ.,

ქრისტეს აპოკალიფსური ხილვების სცენა დამახასიათებელია როგორც ადრექრისტიანობისთვის, ასევე IX–XI საუკუნეებისთვის საქართველოსა და კაპადოკიაში. საქართველოში ამ სცენის პოპულარობა კარგად ჩანს X ს-ის მოხატულობაში - ტბეთი, ხახული, იშხანი, ოშკი, გარეჯი (ხარიტონის მღვიმე) [Амиранашвили Ш., 1963, გვ. 165-168].

რაც შეეხება წებელდის ბარელიეფთა თარიღს, აქ მკვლევართა მოსაზრება არაერთგვაროვანია: დ. აინალოვი მათ ათარიღებდა ჯერ VII-VIII სს-თი, უფრო მოგვიანებით კი VI-VIII სს [Айналов Д., 1901, გვ. 33-202]; გ. ჩუბინაშვილის თარიღია VI–VII სს-ები. იგი წებელდის ბარელიეფებს განიხილავდა, როგორც სკულპტურის ნაბიჯს სტილისტურ ევოლუციაში [ჩუბინაშვილი გ., 1936, გვ. 208-9]; შ. ამირანაშვილი წებელდის ბარელიეფებს ტიპიურ ადრექრისტიანულ VI ს-ის ნაწარმოებად მიიჩნევდა, უმთავრესად მათი ხუთნაწილიან დიპტიხებთან მსგავსების საფუძველზე [Амиранашвили Ш., 1963, 121]; ნ. ჩუბინაშვილი ითვალისწინებდა რა ბარელიეფთა სასანაურ ელემენტებს, ძეგლს VI-VII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებდა [Чубинашвили Н., 1972, გვ. 87-90]; ნ. ალადაშვილი და ვ. ბერიძე წებელდის ბარელიფებს VII ს-ით ათარიღებენ რელიეფის იკონოგრაფიის ადრეული ელემენტების აღნიშვნით [Беридзе В., Аладашвмли Н. и др., 1973, გვ. 210-211]; რ. შმერლინგი მათ "გარდამავალი პერიოდის" ე.ი. VII-VIII სს-ის ძეგლად მიიჩნევდა. იგი ეთანხმებოდა აინალოვისა და ჩუბინაშვილის თარიღს [Шмерлинг Р., 1965, გვ. 69]; ასევე, VII-VIII საუკუნეებს იზიარებს რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე [Mepisaschvili

R., Zinzadse W., 1977, s. 225]; ლ. შერვაშიძემ წებელდის ბარელიეფები ბიჭვინთის მოზაიკას შეადარა, და გაიზიარა რ. შმერლინგის მოსაზრება [Шервашидзе Л., 1978, გვ. 186-187]; ლ. ხრუშკოვა წებელდის ბარელიეფებს VIII-IX სს-ით ათარიღებს, იგი ძირითადად სიუჟეტის შინაარსიდან გამოდის, - რადგან ხატმებრძოლეობის პერიოდისთვის არაა დამახასიათებელი თეოფანეს ხილვისა და ჯვარცმის სცენების ერთად წარმოდგენა, ამ სცენების შერწყმა მხოლოდ ხატმებრძოლეობის შემდგომ პერიოდში იქნებოდა შესაძლებელიო – ასკვნის მკვლევარი [Хрушкова Л., 1980, с. 54]; განსხვავებული მოსაზრება გააჩნია წებელდის ბარელიფების შესახებ გ. ნარსიძეს. იგი წებელდის ბარელიეფებს არა კანკელის ფრაგმენტებად, არამედ ქვაში კვეთილ ხატად მიიჩნევს. "ნადირობის სცენაში" გამოსახული ფიგურა მისი აზრით, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანია. ქტიტორების გამოსახულებაში კი, იგი წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს გამოსახულებას ხედავს. ძეგლს გ. ნარსიძე IV ს-ით, კერძოდ 325 წლით ათარიღებს [ნარსიძე გ., 1994, გვ. 23-26]; გ. ნარსიძის შეხედულებას წებელდის ხატის შესახებ იზიარებს მ. წოწელია. წებელდის ბარელიეფის №2 ფილაზე, ორი წმინდა მხედრის გამოსახულებით, მან სასანიან მეფეთა ატრიბუცია – ატაშდანი ალით და ლეგიტიმურობის ნიშანი და ორი, არამეული და ფალაური წარწერა ამოიკითხა. სამი არამეული ასო (M)KL’=(მ)ეფე და სამი ფალაური ასო wrh ( ), = “ვარაჰრანს” [წოწელია მ., 2000, გვ 18].

როგორაც არ უნდა გადაწყდეს წებელდის ბარელიეფების თარიღის თუ რაობის საკითხი, ერთი კი ცხადია, რომ ეს ძეგლი ადრექრისტიანული ხანის საკმაოდ ორიგინალურ ძეგლს წარმოადგენს და ამ რეგიონში გარკვეული აღმოსავლური გავლენის მაჩვენებელია.

მეტად საინტერესო ადრექრისტიანული ბარელიეფებია აღმოჩენილი ანაკოფიაში (ახალი ათონი). ფილაქვის ფორმიდან ჩანს, რომ ისინი სარკმლის ქუდის ფუნქციას ასრულებდნენ. ფილაქვებს ქვემოდან გააჩნიათ ნახევარწრიული, პროფილირებული ამონაკვეთი. კომპოზიცია მცირე ჩაღრმავებაშია წარმოდგენილი (ტაბ. XVI,2). პიველ რელიეფზე (ზომა: 45X35სმ) გამოსახულია ლომი ნახტომში, რომელიც ორ ვარდულს შორისაა მოქცეული [Латышев В., 1911, გვ. 22-23]. ლომის გამოსახულება ჩვეულებრივ დეკორს წარმოადგენს ქრისტიანული ტაძრებისათვის, მაგრამ ქრისტიანულ სიმბოლიკაში იგი უფრო ძველი ეპოქიდან შემოვიდა. მეტად პოპულარული იყო ეს მოტივი ძველაღმოსავლურ ხელოვნებაში როგორც სიძლიერისა და ძალაუფლების სიმბოლო. ირანში იგი მზესა და მეფეს განასახიერებს. მსგავსი გამოსახულებანი ავგაროზის ფუნქციას ასრულებდნენ, მათ გამოიყენებდნენ ძირითადად სარკმლებისა და პორტალის მოსართავად [Хрушкова Л., 1980, გვ.26-27]. საქართველოს ძეგლებზე ლომის მოტივი სარკმლის მორთულობაში გვხვდება VIII-IX სს-ში, ეს მოტივი უფრო მოგვიანო ხანაშიც, X-XI სს-ში, არ წარმოადგენს იშვიათობას [Шмерлинг Р., 1965, с. 92. рис. 6].

რაც შეეხება ვარდულს, ის ძველი სოლარული სიმბოლოების რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ბევრგანაა ცნობილი. კავკასიის ხალხებში, მათ შორის აფხაზებშიც ხეზე კვეთაში ფართოდ გამოიყენებოდა ვარდულის მოტივი [Чубинашвили Н., 1958, გვ. 83]. VI-VII სს-ის ქრისტიანულ სკულპტურაში ვარდულის მოტივი უკავშირდება არა ბიზანტიურ სამყაროს, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთის "ბარბაროსულ" ტერიტორიებს (ლომბარდია, პროვანსი, ესპანეთი). იგი ცნობილია სასანურ ძეგლებზეც [Хрушкова Л., 1980, გვ. 26-27].

ანაკოფიის მეორე ფილაქვაზე (ზომა: 45X35სმ) ცენტრში წარმოდგენილია თევზი, გვერდებზე კი - სქემატური კიპარისის გამოსახულება. თევზი - ერთ-ერთი ყველზე ცნობილი ქრისტიანული სიმბოლოა ფართო მნიშვნელობისა [Dölger F. J., 1927], აქ მოიაზრება ქრისტიანული სული, თვით იესო ქრისტე, ევქარისტული მსხვერპლი და ა.შ. [Becker U., 1998, გვ. 91].

თევზის გამოსახულებიანი ფილაქვა ცნობილია მრამბის ეკლესიიდან. გამოსახულება ძალზედ სქემატურია (ტაბ. XVI,4) [Воронов Ю., Бгажба О., 1985, გვ. 33, ტაბ. XXVI,3].

თევზია გამოსახული ბიჭვინთის მოზაიკაზე [დიდი პიტიუნტი, 1978, სურ. 151, 152], ვერცხლის ლამბაქსა და თასსზე ზაგინეთიდან [Мачабели К., 1976, გვ. 66-67], თევზი და ღუზაა გამოსახული სარდიონის ბეჭდის თვალ-ინტალიონებზე სვეტიცხოვლის და სამთავროს სამაროვნის თიხის ფილასამარხებიდან [ბიბილური თ., 1983, გვ. 50, 52, 55]. თევზი და ღუზა ძალზედ გავრცელებული და პოპულარული

ადრექრისტიანული სიმბოლოა. ღუზა იმედის, სიმტკიცისა და ერთგულების სიმბოლოა ადრეულ ქრისტიანებში, ამ მოტივის გამოსახვა ხშირია სამარხეულ ძეგლებსა და სარკოფაგებზე [Becker U., 1998, s. 21]. თევზის მოტივი წმინდა აღმოსავლური წარმომავლობისაა. იგი ფართოდაა გავრცელებული ირანში და ახლო აღმოსავლეთში. თევზი მოიხსენიება ავესტაში, იგი თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა სირიაში. კავკასიაში თევზის კულტის არსებობაზე მიუთითებს ვეშაპების გამოსახულება კოლხეთის ბრინჯაოს ცულებზე. აფხაზეთში თევზს ნაყოფიერების ფუნქცია მიეწერებოდა, და მას ზოგიერთი ავადმყოფობის განკურნებაც შეეძლო [Хрушкова Л., 1980, გვ. 30].

კიპარისი, ისევე როგორც პალმა - გავრცელებული მოტივია ადრექრისტიანულ ხელოვნებაში. ესაა სიმბოლო, რომელიც გამოხატავს რწმენის, გამარჯვებისა და მარადიული ცხოვრების იდეას. იგი უკავშირდება ძველ აღმოსავლურ საიქიო (სულის მოსახსენებელი) რწმენა-წარმოდგენებს [Becker U., 1998, გვ. 212]. კიპარისის, როგორც უკვდავების სიმბოლოს გამოსახულება, კარგადაა შერწყმული თევზის მოტივთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობაა - ევქარისტია. ანაკოფიის ამ ფილას ახლო ანალოგები ეძებნება ქერსონესის VI ს-ის ძეგლებთან, [1]19 ეკლესიის კედელში ჩაშენებულ ფილაქვასთან ჯვრისა და კიპარისების გამოსახულებით და კაპიტელთან რომელიც ასევე კიპარისით, ჯვრითა და სხვა მცენარეული მოტივებითაა შემკული [Якобсон А., 1959, с. 148, 200, рис. 34,*3,4*; 102].

ანაკოფიის მესამე ფილაქვაზე (ზომა: 45X35სმ) წარმოდგენილია ტოლმკლავა ჯვარი, ჯვრის გვერდითი მკლავები შეერთებულია ხარისა და ლომის ნახევარფიგურულ გამოსახულებასთან. მკლავებს ქვემოთ კი მოცემულია ტრადიციული წარწერა HC XC NIKA (IC XC NIKA-ს ნაცვლად), მაგრამ ეს წარწერა ფაქტიურად წაშლილია, გვიან შესრულებული წარწერის გამო (ტაბ. XVI,1). ხარი და ლომი - ევანგელისტების მარკოზისა და ლუკას სიმბოლოებს წარმოადგენენ [Латышев В., 1911, გვ. 22-23]. თუმცა ისინი აუცილებელი ატრიბუტების - წიგნის და ფრთების გარეშე არიან გამოსახულნი.

ანაკოფიის ეს რელიეფი ახლო ანალოგებს პოულობს სოხუმის მთაზე აღმოჩენილ რელიეფთან. სოხუმის ფილაქვის ცენტრში მოთავსებულია ტოლმკლვა ჯვარი, ფილაქვის ქვედა ნაწილში გამოსახულია ლომისა და ხარის ნახევარფიგურები. ლომი ერთი თათით ხარის რქას ეხება (ტაბ. XVII,5) [Хрушкова Л., 1980, გვ. 28].

მეტად დამახიასიათებელია ხარისა და ლომის გამოსახვა სომხეთისა და საქართველოს ფასადური სკულპტურისათვის. ხარის კულტი უპირველეს ყოვლისა ძველ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. იგი ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში, ისე აღმოსავლეთში. ხარი მითრას კულტსაც უკავშირდება, რომელიც ძალზედ პოპულარული იყო ახ.წ. I ს-დან ირანიდან, ვიდრე რომამდე. თავისი გამოსახულება ჰპოვა მან საქართველოშიც (იგულისხმება ფიალები ცხენის გამოსახულებით ბორიდან, არმაზისხევიდან და

ზღუდერიდან) [Мачабели К., 1976, გვ. 84-85; Амиранашвили Ш., 1963, გვ. 80].

ანაკოფიის მიდამოებიდან ცნობილია კიდევ ერთი ქვიშაქვის ფილა (ზომა: 75X53სმ), რომელზედაც თაღის ქვეშ განლაგებული სამი რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა წარმოდგენილი. ცენტრაული მათგანი დიდი ზომისაა (ტაბ. XVI,5). ჯვარი, რომლის ქვედა გრძივი მკლავი ბოლოში ტრაპეციისმაგვარად ფართოვდება (ბიზანტიური ჯვარი, ანუ croix longue) ტიპიურია V-VI სს-თვის. ა. გრაბარის დაკვირვებით, მსგავსი ფორმის ჯვარი იმეორებს გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ფორმას [Grabar A., 1963, გვ. 31].

ამრიგად, ანაკოფიის რელიეფებზე დეკორატიულობა ნაკლებად შეიმჩნევა, ყველაფერი არაჩვეულებრივი სიმარტივითაა გადმოცემული, ამიტომაც იგი, უფრო ადრექრისტიანული ხანით უნდა დათარიღდეს. ანაკოფიის რელიეფები VI ს. II ნახევრით და VII ს-ის I ნახევრით თარიღდება [Хрушкова Л., 1980, გვ. 30] და უცილობლად, საკულტო ნაგებობიდან მომდინარეობენ.

ადრექრისტიანული მოტივებით შემკულ რელიეფებს განეკუთვნება მდ. ბესლეთთან გამოვლენილი ფილაქვა. გამოსახულების ცენტრში წარმოდგენილია ვაზის კუნწულა, გვერდებზე კი - ვიწრო, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ფოთლები (ტაბ. XVII,2). ეს მცენარეული მოტივი თითქოს პალმის იმიტაციას წარმოადგენს. თარიღდება VI ს-ით [Хрушкова Л., 1980, გვ. 37].

მეტად საინტერესო ბარელიეფია ცნობილი დრანდის ტაძრიდან, რომელიც დღეს დაკარგულია, მაგრამ ცნობილია პ.

უვაროვას პუბლიკაციით. შემორჩენილია სავარძელში მჯდომი ქრისტეს ფიგურა, მას მარცხენა ხელში კოდექსი უჭირავს, მარჯვენათი კი მოწყალებას გასცემს (Majesta Domini-ს ტიპი). ქრისტედან მარცხნივ ორი ანგელოზია (ტაბ. VIII,3). მსგავსი ფიგურები კომპოზიციის მარჯვენა ნაწილშიც უნდა ყოფილიყო განლაგებული. რელიეფი საკმაოდ მაღალია. ლ. ხრუშკოვა დრანდის ბარელიეფს VI ს-ის I ნახევრით ათარიღებს და მსგავსად მარმარილოს ნაკეთობებისა, ბერძნულ და ბერძნოფილურ ადგოლობრივ მოსახლეობას უკავშირებს [Хрушкова Л., 1980, გვ. 38-39].

განხილული რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო VI-VIII სს. თავსდება, საკულტო ნაგებობებს ეკუთვნოდნენ და უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთში აქტიური საეკლესიო მშენებლობის არსებობისა აღნიშნულ პერიოდში.

## დ ა ს კ ვ ნ ა

აფხაზეთი, ისე როგორც მთლიანად დასავლეთი საქართველო, როგორც ანტიკურ, ისე ადრეფეოდალურ ხანაში განიცდიდა რომის და შემდეგ, ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას. ყოველივე ამან, თავისი ასახვა ჰპოვა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე კულტურულ სფეროში, ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში.

აფხაზეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილი. საეკლესიო ტრადიციით კი აქ სამისიონერო მოღვაწეობას ეწოდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ ქანაანელი; ხოლო IV ს-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დადასტურდა. IV-VI სს-ში ბიჭვინთასა და მის მიდამოებში 9 ქრისტიანული ტაძარი შენდება. VI ს-დან კი აქტიურად იშლება საეკლესიო მშენებლობა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა ზოლში (ცანდრიფში, გაგრა, ანაკოფია, მიუსერა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა), ასევე აფხზეთის მთისწინა და მთიან რეგიონებში (ხაშუფსე, ლიხნი, დრანდა, ჯგერდა, წებელდა, შაპკა, მრამბა). სწორედ საეკლესიო მშენებლობას უკავშირდება მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბასა და დრანდაში აღმოჩენილი ქრისტიანული სიუჟეტებით შემკული რელიეფური სკულპტურის ძეგლები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრექრისტიანული საკულტო არქიტექტურა ძირითადად ბაზილიკური ტიპის რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი: ორნავიანი ბაზილიკა (ბიჭვინთა), სამნავიანი ბაზილიკა (ბიჭვინთის №2 და №3 ეკლესიები, ალაჰაძე, განთიადი, სოხუმი) და სამეკლესიანი ბაზილიკა (გაგრა, მიუსერა, აბაანთა, ქიაჩ-აბა). გარდა ამისა, წარმოდგენილია დარბაზული ტიპის ეკლესია (ბიჭვინთა, ანაკოფია, გიენოსი, წებელდის №2 და №3 ეკლესიები, მრამბა, შაპკა, ხაშუფსე),

ბაპტისტერიუმი, როგორც ცალკე მდგომი შენობა (გუდავა) და ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ტაძარი (დრანდა).

აფხაზეთის ადრექრისტიანულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში კარგად ჩანს დასავლური და აღმოსავლური სამშენებლო ტარდიციებისა და ცალკეული ელემენტების შერწყმა. აფხაზეთის ბაზილიკებისთვის არაა დამახასიათებელი სტანდარტული "ელინისტური" ტიპი (ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პიტიუნტის მეორე ბაზილიკა, რომელიც ელინისტური ბაზილიკის კლასიკურ ტიპს განასახიერებს) [Хрушкова Л., 1991], მაგრამ სამშენებლო ტექნიკის სფეროში (შერეული წყობა, ე.წ. opus mixtum, აგურის გამოყენება თაღებსა და კამარაში, ამფორები კამარაში - კონსტრუქციის შემსუბუქების მიზნით, პროკონესის დეკორატიული მარმარილოს გამოყენება) აფხაზეთის ძეგლები კონსტანტინოპოლსა და მცირე აზიის ზღვისპირა რეგიონის არქიტექტურას უახლოვდება; მეორეს მხრივ, აფხაზეთის ძეგლები მთელ რიგ ფორმებში ავლენენ გარკვეულ მსგავსებას მცირე აზიის შიდა რეგიონთან: ხუთწახნაგოვანი აფსიდა, თლილი ქვის კვადრებით წყობის ტექნიკა, სწორკუთხა ან კვადრატული ბოძების გამოყენება, ნაცვლად კოლონებისა, ბაზილიკების ორფერდა ნივნივისებური გადახურვა. როგორც ჩანს, აფხაზეთის ძეგლებისთვის რ. კრაუტჰაიმერის მიერ შემოთავაზებული ადრექრისტიანული ძეგლების დაყოფა სამ დიდ რეგიონად (Krautheimer R., 1979) პირობითად გამოიყურება.

საყურადღებო ფაქტია აფხაზეთში სამეკლესიანი ბაზილიკების არსებობა, რაც დასტურად უნდა მივიჩნიოთ ქართლსა და ეგრისს შორის არსებული საეკლესიო-კულტურული ერთიანობისა VI-VII საუკუნეებში, რამაც საფუძველი შეუმზადა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების საბოლოო გაერთიანებას IX ს-ში.

მოსახლეობის სულიერი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან სამაროვნები. გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვნები, თუ ცალკეული სამარხები ძირითადად ნაქალაქართა თუ ნამოსახლართა მახლობლად (ბიჭვინთა, წებელდა, ხაშუფსე, აჩმარდა, ლაფსთა, აჭანდარა) და ეკლესიებთან, ან უშუალოდ ეკლესიებშია გამოვლენილი (განთიადი, ბიჭვინთა, სოხუმი, ანაკოფია, ოჩამჩირე), რომლებიც ძირითადად ქრისტიანული წესის დაცვითაა გამართული. მთიან რეგიონში გამოვლენილ სამაროვანთა დიდი ნაწილი გარკვეული კონსერვატიზმით ხასიათდება, რითაც უნდა აიხსნას დაკრძალვის წესის მრავლფეროვნება და სამარხეული ინვენტარის სიმრავლე.

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე უნდა ითქვას რომ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი, გასაგები მიზეზების გამო (აქ უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა და გზების არსებობა იგულისხმება), უფრო აქტიურადაა ჩაბმული იმ ეპოქალურ მოვლენებში, რასაც ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება ჰქვია, რადგან აქ უფრო ადვილად აღწევდა დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან შემოსული იმპულსები;

განსხვავებით მთისწინა და მთიანი რეგიონებისაგან, სადაც, მართალია, არანაკლები ინტენსივობით იგება ქრისტიანული ტაძრები, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ ძველ, წარმართულ რწმენა-წარმოგდენებსა და წეს-ჩვეულებებს ინარჩუნებს. ამის საუკეთესო მაგალითია, თუნდაც, კრემაციული სამარხების არსებობა მთიან აფხაზეთში VII საუკუნემდე. მთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის რელიგიურ განწყობას ყველაზე უკეთ, ალბათ, მაინც, ადგილობრივ კერამიკაზე დატანილი ქრისტიანული და ნეიტრალური შინაარსის მქონე სიმბოლოები გამოხატავს. აქ, თითქოს, წარმართული და ახალი, ქრისტიანული, რელიგიის დაპირისპირებასა და ჭიდილსა აქვს ადგილი. და უნდა ითქვას რომ, მსგავსი მსოფლხედველობრივი განწყობა ამ მთიან რეგიონში დღემდე ასეთივე სახით განაგრძობს არსებობას; ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ამ ფაქტს ქართლისაგან განსხვავებით, გაცილებით გვიან, VI ს. 20-იან წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი (ს. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ვ. ლექვინიძე, დ. ლეთოდიანი). ამ მოსაზრებას თავის დროზე ს. ყაუხჩიშვილი დაუპირისპირდა, იგი წერილობით წყაროებზე (ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა სია) დაყრდნობით, შეეცადა ეჩვენებინა დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინთა) უკვე IV

ს. 20-იან წლებში მძლავრი ქრისტიანული ორგანიზაციის არსებობა, რომელიც არა მხოლოდ ქრისტიან ბერძნებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც გულისხმობს. უფრო მოგვიანებით, ს.ყაუხჩიშვილის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალითაც დადასტურდა; თუმცა ბიჭვინთაში ქრისტიანობის შეღწევა III ს-შიც ივარაუდება [რამიშვილი რ., 1991], როცა ბიჭვინთაში პირველი ქრისტიანების ფარული თემი არსებობს, რასაც სამარხის სტელა ადასტურებს ფარული ჯვრით [ლორთქიფანიძე გ., 1991; მშვილდაძე მ., 2003].

ქრისტიანული გარემოს არსებობა IV საუკუნეში არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასტურდება, არამედ შიდა ეგრისშიც, კერძოდ ნოქალაქევ-არქეოპოლისში, სადაც ასევე გამოვლენილია ადრეული ტაძრები (IV-V სს.). რომელთაგან უძველესი ეკლესია – დარბაზული ტიპის ნაგებობა ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ახლო ანალოგს სწორედ ბიჭვინთის უძველესი ტაძარი წარმოადგენს - IV ს. პირველი ნახევრით თარიღდება [ზაქარაია პ., კაპანაძე თ., 1991, გვ. 166-7, 261]. ფრიად საყურადღებო მონაპოვარია III-IV სს-ით დათარიღებული ქვაჯვარის ფრაგმენტი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით ნოქალაქევიდან [ლომიტაშვილი დ. 2003, გვ. 46]. მიუხედავად ამ ადრეული თარიღებისა, ახალი მსოფლმხედველობის მასიურად დამკვიდრება, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რეგიონებში, V ს. და უფრო VI ს-ში უნდა მომხდარიყო, სწორედ ამ დროით თარიღდება გამოვლენილი ადრექრისტიანული ტაძრების უმრავლესობა და არქეოლოგიური მონაცემები (ქრისტიანული სიმბოლოებით

შემკული სამზარეულო, სამეურნეო თუ სამშენებლო კერამიკა, მინის ნაწარმი და მცირე პლასტიკის ძეგლები); თუმცა, ამ მხრივ, დღემდე ერთადერთ გამონაკლისად ბიჭვინთის კონცხი რჩება, რომელიც ადრეული ტაძრების უჩვეულო მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა, და როგორც ჩანს, IV-VI სს-ში მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა.

## მითითებული ლიტერატურის სია


1. **ალექსიძე ზ.,** ეპისტოლეთა წიგნი. თბ., 1968.
2. **ამირანაშვილი შ.,** ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944.
3. **ასათიანი ლ.,** ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. დიდი პიტიუნტი. II. თბ., 1977.
4. **აფაქიძე ა.,** "დიდი პიტიუნტი" - არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. დიდი პიტიუნტი. ტ. 1. თბ., 1975.
5. **აფაქიძე ა.,** ბიჭვინტა 1972 (ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე-გათხრითი სამუშაოების ანგარიში). დიდი პიტიუნტი, ტ. II, თბ., 1977.
6. **აფაქიძე ა., აგრბა ზ.,** ბიჭვინტის არქეოლოგიური ექპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში. დიდი პიტიუნტი. ტ. II. თბ., 1977.
7. **აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ო.,** მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, მაცნე, 3, 1965.
8. **აფხაზავა ნ.,** ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.

9. **აფხაზავა ნ.**, ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
10. **ბაგრატიონი ვ.**, საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.
11. **ბერიძე ვ.**, ქართული ხელოვნება და შუა საუკუნეების დასავლეთი. საბჭოთა ხელოვნება. თბ., 1974. №8.
12. **ბერიძე ვ.**, კულტურის ძეგლები აფხაზეთში. "ჯვარი ვაზისა". თბ., 1995, №1.
13. **ბერძენიშვილი ნ.**, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII, თბ., 1990.
14. **ბერძენიშვილი ქ.**, წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა. მსკა. თბ., 1959. ტ. II.
15. **ბერძენიშვილი ქ.**, ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის. მსკა. თბ., 1963. №3.
16. **ბერძენიშვილი ქ.**, **ფუთურიძე რ.**, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. კატალოგი. დიდი პიტიუნტი, ტ. I, თბ., 1975.
17. **ბიბილური თ.**, თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1983.
18. **ბიბილური თ.**, საქართველოში თიხის ფილასამარხების გავრცელების საკითხისათვის. საქ. მეცნ. აკად. მაცნე. 2, 1982.
19. **გაგოშიძე ი.**, **ქორიძე ე.**, **გოგიჩაიშვილი ა.**, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბ., 1986.

20. **გამახარია ჯ.**, აფხაზეთი და მართმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბ., 2005.

21. **გამყრელიძე გ.**, ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ., 1996.

22. **გამყრელიძე გ.**, ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. თბ., 2001.

23. **გამყრელიძე თ.**, ძველი კოლხეთის სატომო სახელის ისტორიიდან. "მაცნე". ისტორიის სერია. 1991. №2.

24. **გეორგიკა,** ტ. 1, თბ., 1961.

25. **გეორგიკა,** ტ. 2, თბ., 1965.

26. **გეორგიკა,** ტ. 3, თბ., 1936.

27. **გეორგიკა,** ტ. 4, ნაკ. 1, თბ., 1941.

28. **გეორგიკა,** ტ. 4, ნაკ. 2, თბ., 1952.

29. **გობეჯიშვილი გ.**, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

30. **გოილაძე ვ.**, ეგრისის ისტორიის ერთი ფურცელი. მნათობი, №10, 1988.

31. **გოილაძე ვ.**, ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ., 1991.

32. **გრძელიშვილი ი.**, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული ნაშთები აფხაზეთში (1945 წ. ექსპედიციის ანგარიში). მოამბე, ტ. VIII, 1947.

33. **გუნბა მ. მ.**, დასავლეთ საქართველო და ბიზანტია, სოხუმი, 1962.

34. **გურია,** მხარის კვლევა-ძიების შედეგები, ტ. III, თბ., 2001.

35. **დიასამიძე ბ.**, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეებში), ბათუმი, 2001.

36. **დიდებულიძე მ.**, ძველი გაგრის ეკლესია. ძმ, №45, 1977.
37. **დიდებულიძე მ.**, ძველი გაგრის ეკლესია. "ჯვარი ვაზისა", 1995, №1.
38. **დოლაბერიძე რ.**, ადრეული შუა საუკუნეების ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები. ძმ, №35, 1974.
39. **დუნდუა გ.**, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV სს. დიდი პიტიუნტი, ტ. I, თბ., 1975.
40. **ზამთარაძე მ.**, გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIV-B, 1979.
41. **ზაქარაია პ.**, **ლექვინიძე ვ.**, ჭაქვინჯისა და გუდავის 1968-1969 წწ. ექპედიციის წინასწარი ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცები, II, თბ., 1971,
42. **ზაქარაია პ.**, **ლექვინიძე ვ.**, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. საქ. სახ. მუზ. არქეოლოგიური ექსპედიციაები, III, თბ., 1974.
43. **ზაქარაია პ.**, **კაპანაძე თ.**, ციხეგოჯი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991.
44. **თოდუა თ.**, საქართველოს შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახ.წ. II-IV სს-ის სამარხეული ძეგლების მიხედვით. საისტორიო ძიებანი, წელიწდეული, 3, 2000.
45. **თოდუა თ.**, რომაული სამყარო და კოლხეთი I-IV სს. თბ., 2003.
46. **თოლორდავა ვ.**, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. ვანი, II, თბ., 1976.

47. **თუმანიშვილი დ.,** შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ერთიანობის შესახებ. ლიტერატურა და ხელოვნება, №3-6, თბ., 1993.
48. **თუმანიშვილი დ.,** სიმბოლურობა შუა საუკუნეების ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში. ლიტერატურა და ხელოვნება, №2, თბ., 1993.
49. **თუმანიშვილი დ.,** აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები. "ჯვარი ვაზისა", №1, თბ., 1995.
50. **ინაიშვილი ა.,** პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. სდსძ, IV, თბ., 1974.
51. **ინაიშვილი ნ.,** ადრე შუა საუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან. სდსძ, ტ. X, თბ., 1981.
52. **ინაიშვილი ნ.,** ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. რქეოლოგიური ძეგლები. სდსძ, ტ. XXI, თბ., 1993.
53. **ინაძე მ.,** ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. მაცნე, ისტორიის სერია, 1992, №1; №2.
54. **ინაძე მ.,** აფხაზეთის ძველი მოსახლეობა. მნათობი, №2, 1992.
